

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2010, # 11

სამოქალაქო პროცესი

1. სარჩელის უზრუნველყოფა
2. სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა
3. დაუსწრებელი გადაწყვეტილება
 - დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილი შესაგებლის წარუდგენლობის გამო
 - დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლები
 - დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო
 - დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა
 - განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება
4. შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები
5. უსწორობის გასწორება

1. სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრება

განჩინება

#ას-148-141-2010 1 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

საჩივრის დავის საგანი: გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს "ჯ. ი-ის" სარჩელი მოპასუხე შპს "რ-ეს" მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: შპს "რ-ეს" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სასწორი კომპიუტერის და კომპრესორის ღირებულების - 35 300 აშშ დოლარის, ნარდობის ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოების ღირებულების - 1 900 აშშ დოლარისა და თანხის გადაუხდელობით მიყენებული 998.4 აშშ დოლარის ზიანი, მთლიანობაში - 38 198.4 აშშ დოლარის გადახდა; ამავე განჩინებით მოპასუხეს შპს "ჯ. ი-ის" სასარგებლოდ დაევალი იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის - 900 ლარის ანაზღაურება; მოპასუხესვე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 1 145.95 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში შპს "ჯ. ი-ის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "რ-ემ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. გარდა ამისა, აპელანტმა მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისისა და 30 ივლისის განჩინებების გაუქმება, რომლებითაც პირველ შემთხვევაში მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა მტკიცებულების (ს. ი-ძის ხელწერილი გადასახდელი თანხის აღიარების თაობაზე) საქმეზე დართვის შესახებ დაკმაყოფილდა, ხოლო მეორე შემთხვევაში დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის შუამდგომლობა მტკიცებულებათა სიიდან მოპასუხის შესაგებელზე თანდართული, არასახელმწიფო ენაზე შესრულებული საბუთის ამორიცხვის თაობაზე.

2009 წლის 8 ოქტომბერს შპს "ჯ. ი-მა" ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში განცხადება წარადგინა, რომლითაც მოითხოვა შპს "რ-ეს" სახელზე რეგისტრირებულ მოძრავ ქონებაზე, კერძოდ, სატვირთო ავტომანქანა "მერსედეს-ბენც აქტოსზე" ყადაღის დადება და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე მისი გასხვისების აკრძალვა, აგრეთვე, სს "საქართველოს ბანკისა" და სს "თბილკრედიტბანკის" ბათუმის ფილიალებში შპს "რასეს" საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით შპს "ჯ. ი-ის" (წარმომადგენელი თ. მ-ძე) განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ყადაღა დაედო შპს "რ-ეს" კუთვნილ სატვირთო ავტომანქანას. იმავდროულად დადგინდა ამ განჩინების დაუყოვნებლივ აღსრულება, რა მიზნითაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის ცნობით დგინდებოდა, რომ შპს "რ-ეს" 2009 წლის 8 ოქტომბრის მდგომარეობით გააჩნდა ბიუჯეტის დავალიანება - 33 658 ლარი. საქმის მასალების თანახმად, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში მითითებული ავტომანქანა წარმოადგენდა მოპასუხის საკუთრებას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა ეფუძნებოდა სარწმუნო გარემოებებს მოპასუხის მიერ მოძრავი ქონების შესაძლო გასხვისების თაობაზე. სასამართლოს ჩამოყალიბდა ვარაუდი, რომ მოპასუხეს სახელმწიფოსთან წარმოშობილი დავალიანების დაფარვის მიზნით შეიძლებოდა გაესხვისებინა მოძრავი ქონება. დასახელებულმა ფაქტობრივმა გარემოებამ სასა-

მართლოს შეუქმნა დასაბუთებული ვარაუდი უზრუნველყოფის მითითებული ღონისძიებების მიღების საჭიროებაზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოძრავი ნივთის გასხვისების შემთხვევაში სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება გართულდებოდა.

განმცხადებლის მეორე მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა შპს "რ-ეს" ანგარიშებზე ყადაღის დადებას, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგზე:

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი ვერ ასაბუთებდა, თუ რატომ გამწვანდებოდა გადაწყვეტილების აღსრულება ფულად ანგარიშებზე ყადაღის არარსებობის შემთხვევაში. მხოლოდ მხარის ვარაუდი არ იყო საკმარისი ქონების დაყადაღებისათვის. საბანკო ანგარიშსწორების დაყადაღებით, ფაქტობრივად, საწარმოს მოესპობოდა შესაძლებლობა, განეხორციელებინა საბანკო ანგარიშსწორებები, ნედლეულის შესაძენად გადაერიცხა თანხა, საწარმოში დასაქმებული პირებისათვის გადაეხადა ხელფასი ან გადაეხადა სხვა გადასახადი.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მხარეს არ ჰქონდა წარდგენილი რაიმე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ შპს "რ-ემ" გაანულა თავისი ანგარიშები, გაკოტრდა, მალავდა თავის სახსრებს სხვა ანგარიშებზე გადატანით ან ყიდდა უძრავ ქონებას.

აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 9 ოქტომბრის განჩინებაზე საჩივარი წარადგინა აგრეთვე შპს "ჯ. ი-მა" (წარმომადგენელი თ. მ-ძე), რომელმაც მოითხოვა განჩინების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც განმცხადებელს შპს "რ-ეს" საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებაზე უარი ეთქვა. იმავდროულად, საჩივრის ავტორმა მოითხოვა სს "საქართველოს ბანკისა" და სს "პროკრედიტ ბანკის" ბათუმის ფილიალებში მოწინააღმდეგე მხარის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება.

საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ 2009 წლის 9 ოქტომბრის განჩინების მიღებისთანავე მოპასუხემ გაასხვისა მესამე პირზე მოძრავი ქონება (ავტომანქანა), რომელსაც ყადაღა უნდა დადებოდა. ამასთან, სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ უარი განაცხადა ყადაღის რეგისტრაციაზე იმ საფუძველით, რომ ქონება უკვე გასხვისებული იყო მესამე პირზე. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად, უზრუნველყოფის ღონისძიება დარჩა გამოუყენებელი. შესაბამისად, შესაძლო იყო სარჩელსაც დაეკარგა იურიდიული ინტერესი, რაც მოსარჩელის უფლებების აშკარა შელახვად ჩაითვლებოდა.

საჩივრის ავტორმა მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ მოპასუხემ განახორციელა გარკვეული საბანკო ოპერაციები, კერძოდ, 23 000 ლარის საბანკო ანგარიშიდან გატანა. შპს "რასეს" მიერ მითითებული საბანკო ოპერაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა შეუძლებელი იყო საბანკო ინფორმაციის კონფიდენციალურობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინებით შპს "ჯ. ი-ის" საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 9 ოქტომბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც შპს "ჯ. ი-ს" უარი ეთქვა მოპასუხე შპს "რ-ეს" კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების თაობაზე; შპს "ჯ. ი-ის" განცხადება დაკმაყოფილდა - ყადაღა დაედო მოპასუხე შპს "რ-ეს" კუთვნილ საბანკო ანგარიშებს - სს "საქართველოს ბანკის" ბათუმის ფილიალში და სს "პროკრედიტ ბანკის" ბათუმის ფილიალში, დადგინდა აღნიშნული განჩინების დაუყოვნებლივ აღსრულება, რა მიზნითაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი. სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელის ვარაუდი იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობას შეეძლო გამოეწვია საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინებაზე საჩივარი შეიტანა შპს "რ-ემ" (წარმომადგენელი რ. ც-ძე), რომელმაც მოითხოვა შერჩეული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

საჩივრის თანახმად, შპს "რ-ეს" გააჩნია ბიუჯეტის დავალიანება 33 658 ლარის ოდენობით. საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ამ თანხას ყოველ გადაცილებულ დღეზე ერიცხება 0.07%. თუკი საზოგადოებამ ვერ მოახერხა თანხების სხვა წყაროებიდან მოძიება, დავალიანების დასაფარად აუცილებელი გახდება საზოგადოების ქონების რეალიზაცია. ქონების რეალიზაციის შემთხვევაში საბანკო ანგარიშებზე ყადაღის არსებობა გამოიწვევს ანგარიშზე მოხვედრის შემდგომ თანხის უმოდროდ დატოვებას, აღნიშნული კი, თავის მხრივ, განაპირობებს საზოგადოების გაკოტრებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 იანვრის განჩინებით შპს "რ-ეს" საჩივარი დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასაბუთებული იყო მოსარჩელის ვარაუდი იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების - შპს "რ-ეს" ფულად სახსრებზე ყადაღის დადების -

გამოუყენებლობას შეეძლო გამოეწვია შემდგომში საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა. შერჩეული უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განჩინება იყო დასაბუთებული და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუკი მისი არარსებობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. მითითებული ნორმა გულისხმობს, რომ სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას უნდა შეამოწმოს, რამდენად არის გამართლებული საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, გააზრებულად გადაწყვიტოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასა და აღსრულების შეუძლებლობას შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მასალების შეფასება იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გამართლებულია.

საქმის მასალების თანახმად, შპს "ჯ. ი-ის" სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს შპს "რ-სათვის" თანხების დაკისრება. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით აღნიშნული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - შპს "რ-ეს" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სასწორი კომპიუტერისა და კომპრესორის ღირებულების - 35 300 აშშ დოლარის, ნარდობის ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოების ღირებულების - 1 900 აშშ დოლარის, აგრეთვე, თანხის გადაუხდელობით მიყენებული 998.4 აშშ დოლარის ზიანი, მთლიანობაში - 38 198.4 აშშ დოლარის გადახდა.

მოცემულ შემთხვევაში შპს "ჯ. ი-ის" მოთხოვნა, რომელსაც წარმოადგენს სს "საქართველოს ბანკისა" და სს "პროგრესბანკის" ბათუმის ფილიალებში მოწინააღმდეგე მხარის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება, მოტივირებულია იმით, რომ შპს "რ-ემ" ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით დაყადაღებული მოძრავი ქონება, კერძოდ, კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა ამ განჩინების გამოტანისთანავე გაასხვისა, აღნიშნულის გამო სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ ყადაღის რეგისტრაციაზე უარი განაცხადა და, ფაქტობრივად, უზრუნველყოფის ღონისძიება დარჩა გამოუყენებელი, გარდა ამისა, მოსარჩელის აზრით, შპს "რ-ეს" მიერ საბანკო ანგარიშიდან 23 000 ლარის გატანა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის აუცილებლობას ასაბუთებს.

საქმეზე უდავოდ დასტურდება ის გარემოება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ შპს "ჯ. ი-ის" განცხადების განხილვის შედეგად ყადაღა დაედო შპს "რ-ეს" კუთვნილ მოძრავ ქონებას - სატვირთო ავტომანქანას, იმავდროულად, დადგინდა ამ განჩინების დაუყოვნებლივ აღსრულება, რა მიზნითაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი. საქმეში წარმოდგენილია სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს II განყოფილების უფროსის 9.11.2009წ. წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ შპს "რ-ეს" კუთვნილი სატრანსპორტო საშუალება - მერსედეს-ბენცი, 2009 წლის 9 ოქტომბრის #BV030232 ერთობლივი განცხადების საფუძველზე გადაფორმდა მ. ი-ის სახელზე. აქედან გამომდინარე, ვერ მოხერხდა მითითებულ სატრანსპორტო საშუალებაზე ყადაღის დარეგისტრირება.

მოცემულ შემთხვევაში ანგარიშზე ყადაღის დადებით შპს "რ-ეს" ეკრძალება ამ ანგარიშზე თვითონ განახორციელოს აქტიური ოპერაცია, მაგრამ ამით ხელი არ ეშლება ანგარიშზე თანხების აკუმულირებას. საქმის მასალებიდან გამომდინარე, შპს "რ-ე" მაინც ვერ ახორციელებს სს "პროგრესბანკში" არსებულ საბანკო ანგარიშზე აქტიურ ოპერაციებს, რადგან მასზე დადებულია ინკასო სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანების გამო. რაც შეეხება მეორე ანგარიშს, შპს "რ-ე" ვერ ადასტურებს, რომ ამ ანგარიშზე ერიცხება უფრო მეტი თანხა, ვიდრე ეს სადავო თანხის ოდენობაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს წარმოდგენილ საჩივარს და უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "რ-ეს" საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფა**განჩინება**

#ას-252-237-2010

12 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: პარტნიორთა კრების სხდომის ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, წილის ნატურით გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აპრილის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა. მ-ოვის სააპელაციო საჩივარი საქმეზე - ა. მ-ოვის სარჩელის გამო შპს "მ-ეს" მიმართ პარტნიორთა კრების სხდომის ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და წილის ნატურით გამოყოფის შესახებ, გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება კი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს "მ-ეს" დირექტორ ტ. თ-ევის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე, გაუქმდა ამავე პალატის 2008 წლის 11 იანვრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა შპს "მ-ეს" საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებას: გარდაბანში, ... ქუჩის #32-ში მდებარე ორსართულიან სავაჭრო ცენტრს, გარდაბანში, ... ქუჩის #31-ში მდებარე საცხოვრებელ სახლსა და ... ქუჩას შორის არსებულ 400 კვ.მ მიწის ნაკვეთს, გარდაბანში, ... ქუჩის #94-ში განთავსებულ რუსულ სკოლასა და #96-ში მდებარე შენობებს შორის არსებულ 200 კვ.მ მიწის ნაკვეთს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ა. მ-ოვის წარმომადგენელმა პ. ჯ-იამ შეიტანა საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ შპს „მ-ეს“ დირექტორის მოთხოვნა ემყარება იმ საფუძველს, რომ მხარეებს შორის არსებული დავა შპს „მ-თან“ მიმართებით აღარ არსებობს, ვინაიდან წილის ნატურით გამოყოფის თაობაზე 2008 წლის 10 აპრილს განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში. განმცხადებელმა პალატას დაუმალა ის ფაქტი, რომ 2008 წლის 5 სექტემბერს გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო სარჩელი შპს „მ-ეს“ მიმართ ა. მ-ოვისათვის კომპენსაციისა და დივიდენდის სახით სოლიდურად თანხის დაკისრების მოთხოვნით. ამდენად, დავა იმავე მხარეებს შორის გრძელდება, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამჟამად სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს კომპენსაციისა და დივიდენდის გადახდა. მითითებული სარჩელი შეტანილ იქნა 2008 წლის 5 სექტემბერს, ანუ მაშინ, როდესაც სადავო ქონების ნატურით გამოყოფაზე დავა არ იყო დამთავრებული და სააპელაციო პალატის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე განჩინება მოქმედებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარემ შეგნებულად არ მოითხოვა ახალ სარჩელთან ერთად შპს „მ-ეს“ ქონებაზე ყადაღის დადება, რადგან უკვე ყადაღადადებულ ქონებაზე ხელმეორედ ყადაღის დადება არასწორად ჩათვალია. აღსანიშნავია, რომ გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ - დივიდენდის გადახდის ნაწილში დაკმაყოფილდა, ხოლო კომპენსაციის ნაწილში უარი ეთქვა, რაც სამომავლოდ გასაჩივრდება სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მარტის განჩინებით ა. მ-ოვის საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ შპს „მ-ეს“ მიმართ ა. მ-ოვის მიერ საზოგადოების პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობისა და წილის ნატურით გამოყოფის თაობაზე 2007 წლის 18 მაისს წარდგენილი სარჩელის უზრუნველსაყოფად 2008 წლის 11 იანვრის განჩინებით ყადაღა დაედოს შპს „მ-ეს“ საკუთრებაში არსებულ ქონებას. ამავე სასამართლოს 2008 წლის 10 აპრილის განჩინებით ა. მ-ოვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება შპს „მ-ეს“ მიმართ ა. მ-ოვის მიერ 2007 წლის 18 მაისს წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. სააპელაციო პალატის განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2008 წლის 11 დეკემბერს გამოტანილი განჩინებით საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და განუხილველად დატოვების შემდეგ. ამდენად, ა. მ-ოვის სარჩელზე წარმოება დასრულდა 2008 წლის 11 დეკემბერს და სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დაბრკოლების თავიდან აცილება. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველი აღარ არსებობს და გასაჩივრებული განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მართებულად გაუქმდა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნების საფუძველი შეიძლება იყოს სხვა სარჩელის წარდგენა, თუნდაც დავა მიმდინარეობდეს იმავე მხარეებს შორის. პალატამ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს კონკრეტულ საქმეზე განხორციელებულ საპროცესო მოქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დაბრკოლების თავიდან აცილებას, იგი მიიღება კონკრეტული სასარჩელო მოთხოვნის ხასიათის გათვალისწინებით და ამ მოთხოვნის ადეკვატურია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებით უნდა გაუქმდეს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე, სარჩელის უზრუნველყოფის არსისა და დანიშნულების გათვალისწინებით, ერთი სარჩელის უზრუნველსაყოფად მიღებული ღონისძიება არ შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს სხვა სარჩელის უზრუნველსაყოფად, მხარეთა იდენტურობისა თუ დავის საგნის ხასიათის მსგავსების მიუხედავად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. მ-ოვის წარმომადგენელ პ. ჯ-იას საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 იანვრის განჩინებით ა. მ-ოვის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა და შპს „მ-ეს“ კუთვნილ უძრავ ქონებას დაედო ყადაღა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასაბუთებას და თვლის, რომ გასაჩივრებული 2010 წლის 22 თებერვლის განჩინებით ა. მ-ოვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მართებულად გაუქმდა, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება ყოველი კონკრეტული დავის სამართლებრივი თავისებურებების გათვალისწინებით და მიმართულია საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელის შესაწყობად. მითითებულ მოსაზრებას განამტკიცებს ამავე კოდექსის 199-ე მუხლის მეხამე ნაწილის დანაწესი, რომ გაუმართლებელია იმ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელსაც კანონიერ ძალაში

შესული სასამართლო გადაწყვეტილებით უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე. კანონის ამ დანაწესის თანახმად, სარჩელზე უარის თქმით ისპობა მისი უზრუნველყოფის ღონისძიების სამართლებრივი მნიშვნელობა და დანიშნულება.

ამავდროულად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ კონკრეტულ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად და მისი მოქმედების გავრცელებას, თუნდაც იმავე მხარეებს შორის დავაზე, მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველგვარ სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ ა.მ-ოვის მიერ შპს "მ-ეს" მიმართ პარტნიორთა კრების სხდომის ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და წილის ნატურით გამოყოფის შესახებ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა გავრცელდეს, ამავე მხარეებს შორის მიმდინარე სხვა დავაზე (ა. მ-ოვის სარჩელის გამო შპს "მ-ეს" მიმართ კომპენსაციისა და დივიდენდის ანაზღაურების თაობაზე) აღძრული სარჩელის უზრუნველსაყოფადაც, ვინაიდან დაუშვებელია ერთ საქმეზე დადგენილი სარჩელის უზრუნველყოფა გავრცელდეს სხვა სარჩელის მიმართ.

ამასთან, მითითებულ გარემოებაზე გავლენას ვერ მოახდენს მხარის არგუმენტი, რომ ა.მ-ოვის მიერ აღძრული ახალი სარჩელის უზრუნველსაყოფად ყადაღა უნდა დაედოს მოპასუხის იმავე ქონებას, რომელიც დაყადაღებულ იქნა პირველ შემთხვევაშიც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ა. მ-ოვის წარმომადგენელ პ. ჯ-იას საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 თებერვლისა და 4 მარტის განჩინებები დარჩეს უცვლელი. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფა

განჩინება

#ას-473-409-09 24 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. მ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა დანაშაულით მიყენებული 3400 ლარის ზიანის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე და მისი შვილი წარმოადგენენ გორის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის მფლობელებს. მოპასუხემ თ. მ-მის მიწის ნაკვეთზე არსებული ვაზი უნებართვოდ აჩეხა, მოხსნა და მიითვისა რკინის მილებისგან შემდგარი ტალავერი, ჩამოუხსნა ჭიშკარი და მოანგრია ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე სახლის კედელი, რითიც ამ უკანასკნელს მიაყენა 3400 ლარის მატერიალური ზიანი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო წინასწარი გამოძიება, თუმცა შეწყდა ამნისტიის გამო.

რ. მ-შვილმა სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელე ვერ ასაბუთებდა მიყენებული ზიანის არსებობას.

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. მ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. მ-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. ამასთან,

აპელანტმა დააზუსტა მოთხოვნის ოდენობა, მოითხოვა დანაშაულით მიყენებული 3273 ლარის ზიანისა და მიუღებელი სარგებლის - 3000 ლარის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 იანვრის განჩინებით თ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი 3273 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში მიღებულ იქნა განსახილველად, ხოლო მიუღებელი სარგებლის - 3000 ლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა რ. მ-შვილის მიერ სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) ვადაში წარუდგენლობის გამო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მოპასუხეს დაეკისრა 3273 ლარის ზიანის ანაზღაურება.

2009 წლის 12 თებერვალს თ. მ-ძემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის სახით მოპასუხის კუთვნილ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების მოთხოვნით. განმცხადებელმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მის სასარგებლოდ გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მოპასუხეს დაეკისრა 3273 ლარის ანაზღაურება. ვინაიდან გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული არ არის, სარჩელის უზრუნველყოფის სახით ყადაღა უნდა დაედოს მოპასუხის კუთვნილ უძრავ ქონებაზე, რადგან არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ მხარე გაასხვისებდა თავის ქონებას, რითაც გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 თებერვლის განჩინებით განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე თ. მ-ძემ შეიტანა საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მაისის განჩინებით თ. მ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმე განსახილველად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივნისის განჩინებით თ. მ-ძის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 თებერვლისა და 19 მაისის განჩინებები და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის განჩინებით თ. მ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა - ყადაღა დაედო რ. მ-შვილის კუთვნილ, გორის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე (#11 კვარტალი, #058 ნაკვეთი, 739 კვ.მ) საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთს შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით, 198-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში განცხადების ავტორის მიერ წარდგენილი უძრავი ნივთის შესახებ ამონაწერის თანახმად, ქონება, რომლის დაყადაღებასაც მოითხოვს, განმცხადებელი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე რ. მ-შვილის საკუთრებაა. სააპელაციო პალატამ საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა დაედოს რ.მ-შვილის ზემოხსენებულ კუთვნილ ქონებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე თ.მ-ძემ შეიტანა საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა იმდაგვარად, რომ ყადაღა დაედოს რ.მ-შვილის კუთვნილ გორის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე ხევში - 0,08 ჰა და ვერაზე - 0,25 ჰა მიწის ნაკვეთებს შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა რა თ.მ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, ყადაღა დაადო განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ არასრულ ქონებას. მხარე იმთავითვე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებაში ითხოვდა ყადაღის დადებას სადავო, ე.წ ხევისა და ვერის ნაკვეთებზე. თ.მ-ძის კუთვნილ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით დავა მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე და კერძო საჩივრის ავტორისათვის ცნობილი გახდა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერი მითითებულ ნაკვეთებზე გაყალბებულია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, რ. მ-შვილის თანასაკუთრებაშია გორის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე 739 კვ.მ მიწის ნაკვეთი. პალატამ გაითვალისწინა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია 3 273 ლარი და მისი ღირებულების პროპორციულია, ყადაღა დაედოს ზემოხსენებულ 739 კვ.მ ნაკვეთს. რაც შეეხება 0,08 ჰა ხევისა და 0,25 ჰა ვერის ვენახების დაყადაღებას,

პალატამ საკმარის მტკიცებულებად არ ჩათვალა გორის რაიონის ... თემის საკრებულოს 2003 წლის 29 იანვრის #54 ცნობა, რომ რ.მ-შვილს სოფელ ...-ში უკავია 0,40 ჰა მიწა სამ ნაწილად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. მ-ძის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განჩინებები დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება.

დასახელებული ნორმა ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წესსა და პირობებს, კერძოდ, სარჩელის უზრუნველსაყოფად მხარემ უნდა მიუთითოს, სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენებას ითხოვს და დაასაბუთოს მისი გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, თუ მხარის მოთხოვნა ეხება სარჩელის უზრუნველყოფის სახით უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, კანონმდებელი ითვალისწინებს განმცხადებლის ვალდებულებას, სათანადო მტკიცებულებით - საჯარო რეესტრის მონაცემებით უტყუარად დაადასტუროს, რომ დასაყადებელი ქონება ნამდვილად მოწინააღმდეგე მხარეს ეკუთვნის.

განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელმა თ. მ-მემ მოითხოვა რა რ. მ-შვილის უძრავ ქონებაზე - გორის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე 739 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, საცხოვრებელი სახლზე, ასევე 0,08 ჰა ხევისა და 0,25 ჰა ვერის ვენახებზე ყადაღის დადება, უძრავი ნივთების რ.მ-შვილისადმი კუთვნილება საჯარო რეესტრის ამონაწერით დაადასტურა მხოლოდ 739 კვ.მ ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის ნაწილში (მიწის (უძრავი ქონების) შესახებ 2007 წლის 17 აგვისტოს საჯარო რეესტრის ამონაწერი), ხოლო ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული ვენახები რ.მ-შვილის საკუთრება იყო, განმცხადებელმა დააფუძნა გორის რაიონის ... თემის საკრებულოს გამგებლის მიერ 2003 წლის 9 იანვარს გაცემულ #54 ცნობას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ ზემოაღნიშნული ცნობა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებას არ წარმოადგენს და მის საფუძველზე სადავო უძრავი ნივთის რ.მ-შვილის კუთვნილად მიჩნევა და მასზე ყადაღის დადება დაუშვებელია.

ამასთან, საეჭვო დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ გასაჩივრებული განჩინებით დაყადებული ქონება (რ.მ-შვილის კუთვნილი 739 კვ.მ მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი), თ.მ-ძის მოთხოვნის ღირებულების - 3 273 ლარის გათვალისწინებით, გონივრულ უზრუნველყოფას წარმოადგენს და მისი შეცვლის ობიექტურ საჭიროებაზე მხარეს არ მიუთითებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებები კანონიერია და კერძო საჩივრით მათი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლის არსებობა მხარეს არ დაუსაბუთებია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

თ. მ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრისა და 2010 წლის 11 თებერვლის განჩინებები დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

განჩინება

#ას-627-588-10

2 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ი-ოვას სარჩელი შპს "ნ-ის", მ. მ-ძისა და ჟ. მ-ძის მიმართ საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი შპს "ნ-სა" და მ. მ-ძეს შორის, სანოტარო წესის დაცვით, 2004 წლის 3 დეკემბერს გაფორმებული "საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის" შესახებ ხელშეკრულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით მ. მ-ძისა და ჟ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ი-ოვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2010 წლის 6 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ნ. ი-ოვას წარმომადგენელმა ვ. ც-ძემ და მოითხოვა მ. მ-ძის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში,, კორპუსი 1, ბინა 22-ზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების - ყადაღის დადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის განჩინებით ნ. ი-ოვას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა - ყადაღა დაედო მოპასუხე მ. მ-ძის საკუთრებაში არსებულ ქონებას, რომლის მახასიათებლებია: ზონა, გარდაბანი 81,, ფართი - 57.30 კვ.მ.

აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა მ. მ-ძემ, მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის განჩინების გაუქმება და თავის კუთვნილ ბინაზე ყადაღის მოხსნა იმ საფუძველით, რომ ნ. ი-ოვას სარჩელი უსაფუძვლოა და სარჩელის არდაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაბამისი იურიდიული ინტერესი აღარ იარსებებს და არც არაფრის უზრუნველყოფა იქნება საჭირო. ამასთან, საჩივრის ავტორის განმარტებით, სარჩელის ღონისძიების უზრუნველყოფის გამოყენებისას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის შესაბამისად, დაცული უნდა იყოს მოპასუხის ინტერესიც, რაც მდგომარეობს შესაძლო ზიანის უზრუნველყოფაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ივნისის განჩინებით მ. მ-ძის საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და უსაბუთებლობის გამო და საქმის მასალებთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა მ. მ-ძის საჩივარი და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს

აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. იმისთვის, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იქნეს გამოყენებული, უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, კერძოდ, განცხადებაში უნდა მიეთითოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გამო უზრუნველყოფის ღონისძიებების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და ასევე მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფის იმ ღონისძიებებზე, რომელთა გატარებაც განმცხადებელს მიზანშეწონილად და გამართლებულად მიაჩნია.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს უძრავი ქონება, რომლის თაობაზე დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობაც არის სარჩელის მოთხოვნა. ამასთან, მოსარჩელე თვლის, რომ იგი თავად არის სადავო ბინის პრივატიზებაზე უფლებამოსილი პირი, რის გამოც, საკასაციო სასამართლოს აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ დავის საგანი საჭიროებდა დაცვას.

გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილი უძრავი ქონების შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ მოსარჩელე ითხოვს იმ უძრავი ქონების დაყადაღებას, რომელიც წარმოადგენს მოპასუხე მ. მ-მის საკუთრებას, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" პუნქტის თანახმად, მართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

სარჩელის უზრუნველყოფა დამოკიდებულია ვარაუდზე, რომ შესაძლოა მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნებისაგან თავის დაღწევის მიზნით განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც საბოლოოდ შეუძლებელს გახდის მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მსჯელობისას, სასამართლო არ იკვლევს სარჩელის საფუძვლიანობას და მის დასაბუთებულობას, არამედ ხელმძღვანელობს სამართლებრივი დასკვნით, რომ შესაძლოა სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება, რომ ნ. ი-ოვას სარჩელი უსაფუძვლოა და სარჩელის არდაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაბამისი იურიდიული ინტერესი აღარ იარსებებს და არც არაფრის უზრუნველყოფა აღარ იქნება საჭირო, საკასაციო სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული.

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის შესაბამისად, დაცული უნდა იყოს მოპასუხის ინტერესიც, რაც მდგომარეობს შესაძლო ზიანის უზრუნველყოფაში. აღნიშნულს, განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოსარჩელისათვის მოთხოვნა ხდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი. მოცემულ შემთხვევაში კი, საჩივრის ავტორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, ვერ განსაზღვრა რომელი ფაქტები უნდა დასდებოდა საფუძვლად მის მოთხოვნას ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დაედასტურებინა ფაქტები და დაესაბუთებინა უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების აუცილებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. მ-მის საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მ. მ-მის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება

განჩინება

#ას-687-643-10

26 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ლ. ლაზარაშვილი

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 19 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა შპს "ა. ჯ. ლ-ის" წარმომადგენელმა თ. გ-ვამ და მოითხოვა მოპასუხე ხ. გ-ანის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, საარბიტრაჟომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, ყადაღის დადება.

განმცხადებლის განმარტებით, მოპასუხე ხ. გ-ანის მხრიდან, 2009 წლის 6 მარტს შპს "ა. ჯ. ლ-სა" და ხ. გ-ანს შორის გაფორმებული სალიზინგო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, საარბიტრაჟომ სარჩელით მიმართა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს - შპს "დავების განმხილველ ცენტრს" მოპასუხისათვის დავალიანების მთლიანი თანხის - 105 764.88 ლარის დაკისრების თაობაზე. მოპასუხის არაკეთილსინდისიერებიდან და ასევე იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ შპს "ა. ჯ. ლ-ის" წინაშე არსებული დავალიანების გარდა, ხ. გ-ანს გააჩნდა ფინანსური ვალდებულებები სხვადასხვა ორგანიზაციების მიმართაც, განმცხადებელმა აუცილებლობად მიიჩნია საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფა, ვინაიდან მოთხოვნილი დავალიანების თანხის ოდენობიდან გამომდინარე, არსებობდა საშიშროება იმისა, რომ, მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი იქნებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 მაისის განჩინებით შპს "ა. ჯ. ლ-ის" წარმომადგენლის - თ. გ-ვას განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა - ყადაღა დაედო ხ. გ-ანის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას შემდეგი სარეგისტრაციო მონაცემებით:

1. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #01.10.14.003.007.01.500; მისამართი: ქ. თბილისი, ... ქუჩა #5.173.00 კვ.მ;

2. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #01.15.05.014.008; მისამართი: ქ. თბილისი, ... ქ.#15 მოპასუხე ხ. გ-ანის წილი: 4/14 შენობა-ნაგებობიდან საერთო სასარგებლო 251.18 კვ.მ-ით (მათ შორის - საცხოვრებელი 189.14 კვ.მ, დამხმარე 62.04 კვ.მ) სამეურნეო 46.69 კვ.მ. (დაყადაღებული აქვს საგადასახადოს);

3. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #01.10.14.004.036; მისამართი: ქ. თბილისი, ... ქუჩაზე, სასატუმრო ხიზლისა და ვაკე-საბურთალოს პოლიციის შს სამმართველოს შორის 57 კვ.მ (საგადასახადო ვალდებულება).

აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა ხ. გ-ანმა, მოითხოვა მისი გაუქმება და თავის კუთვნილ ქონებაზე ყადაღის მოხსნა ან წინააღმდეგ შემთხვევაში - შპს "ა. ჯ. ლ-თვის", სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის შესაბამისად, მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, არანაკლებ 50000 ლარის წარმოდგენის დავალდებულება.

საჩივრის ავტორის განმარტებით, 2009 წლის 6 მარტს მასთან დადებული ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ფულადი ვალდებულება უზრუნველყოფილი იყო 2009 წლის 6 მარტის #10056 იპოთეკის ხელშეკრულებით, რომლის თანახმად, მესაკუთრე ნ. მ-ძის კუთვნილი, ქ.თბილისში, ... ქ.#5-ში მდებარე #29 საცხოვრებელი ბინა დაიტვირთა ხ. გ-ანთან შპს "ა. ჯ. ლ-ის" მიერ გაფორმებული #10056 ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ფულადი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად და, შესაბამისად, დამატებით სამი უძრავი ნივთის დაყადაღება, მოსარჩელის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, გადაჭარბებული ღონისძიება იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ივნისის განჩინებით ხ. გ-ანის საჩივარი ამავე სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის განჩინებაზე დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული და საქმის მასალებთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹

მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა ხ. გ-ანის საჩივარი და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

"არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, მხარეს შეუძლია, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 192-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მეორე ნაწილის "ვ" და "ი" ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹⁸ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადების საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია, საარბიტრაჟო სარჩელის მიმართ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება ამ კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 192-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მეორე ნაწილის "ვ" და "ი" ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

ამავე კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა წინასწარი და დროებითი ხასიათის ღონისძიებაა და ხდება დარღვეული ან სადავო უფლების შესახებ სასამართლოს არსებითი მსჯელობისაგან დამოუკიდებლად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ხშირ შემთხვევაში კრედიტორისათვის, რომლის სასარგებლოდაც გადაწყდება დავა, სასამართლოს მიერ დადგენილ მოთხოვნას პრაქტიკული ღირებულება ეკარგება, რადგან აღმოჩნდება, რომ სასამართლოში საქმის განხილვის ხანგრძლივობის გამო ფაქტობრივი ვითარება კრედიტორის საუარესოდ შეიცვალა; ან მოვალე ამასობაში გადახდისუუნარო გახდა, ან ქონება, რომელზედაც უნდა მიქცეულიყო აღსრულება, მოვალემ გაასხვისა. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი კონცენტრირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლში, კერძოდ კი იმ წინადადებაში, რომლის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ყველა საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლომ, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღსრულებლობის საშიშროებაზე. მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმ კონკრეტული გარემოებების არსებობა, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია ფულადი ვალდებულების შესრულება. საარბიტრაჟო სარჩელის ავტორი უთითებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების - ყადაღის გამოყენების აუცილებლობა გამოწვეულია მოპასუხის მიერ იმ ქონების გასხვისების საშიშროებით, რომელზეც მომავალში უნდა მოხდეს გადაწყვეტილების აღსრულების მიქცევა. აქედან გამომდინარე, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას.

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსარჩელესთან დადებული ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ფულადი ვალდებულება უზრუნველყოფილი იყო 2009 წლის 6 მარტის

#10056 იპოთეკის ხელშეკრულებით, რომლის თანახმად, ნ. მ-ძის კუთვნილი, ქ.თბილისში, ... ქ.#5-ში მდებარე #29 საცხოვრებელი ბინა დაიტვირთა ხ. გ-ანთან შპს "ალიანს ჯგუფი ლიზინგის" მიერ გაფორმებული #10056 ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ფულადი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად და, შესაბამისად, დამატებით სამი უძრავი ნივთის დაყადაღება, მოსარჩელის ინტერესების უზრუნველსაყოფად, გადაჭარბებული ღონისძიება იყო.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი 2009 წლის 6 მარტის იპოთეკის ხელშეკრულების 6.3 მუხლის თანახმად, თუ იპოთეკის საგანზე გადახდევინების მიქცევით მიღებული სარგებელი (იპოთეკარის საკუთრებაში გადასული იპოთეკის საგანი ან იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა) სრულად არ ფარავს უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით, იპოთეკარი უფლებამოსილია, გადახდევინება მიაქციოს მესაკუთრის ან/და იპოთეკარის მოვალის ნებისმიერ ქონებაზე.

მოცემულ შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსარჩელე ითხოვს, რომ მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაეკისროს ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ფულადი ვალდებულების - 105764,48 ლარის გადახდა. მართალია, ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ფულადი ვალდებულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთულია ნ. მ-ძის კუთვნილი, ქ.თბილისში, ... ქ.#5-ში მდებარე #29 ბინა, მაგრამ საჩივრის ავტორი ვერ უთითებს და ვერც ასაბუთებს, რომ აღნიშნული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი იქნება საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიება მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებით, რაც გამომდინარეობს 2009 წლის 6 მარტის #10056 იპოთეკის ხელშეკრულებიდან.

საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ძალაში დატოვების შემთხვევაში მოსარჩელეს უნდა დაევალოს უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა 50000 ლარის ოდენობით. პალატა თვლის, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის შესაბამისად, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა იმ პირისათვის, რომელიც მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფას, ხდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზიანი. ამასთან, იმ ფაქტების მტკიცების ტვირთი, რომლებიც ასაბუთებს მოსალოდნელ ზიანს და მის ოდენობას, ეკისრება მოპასუხეს. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი ვერ უთითებს, თუ რა ზიანი ადგება მას უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებით და, შესაბამისად, ვერ ასაბუთებს უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების აუცილებლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ხ. გ-ანის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 მაისის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

განჩინება

#ას-795-744-10

4 ოქტომბერი, 2010 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენა, სამკვიდრო ქონების მიღება, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. რ-იკმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ბ-ოკის, ვ. პ-იასა და ნოტარიუს მ. ფ-მის მიმართ სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენის, სამკვიდრო ქონების მიღების, ასევე, ი. ბ-ოკსა და ვ. პ-იას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: გ. რ-იკი არის ვ. რ-იკის შვილიშვილი და პირველი რიგის მემკვიდრე, რადგან ბების გარდაცვალების დროს მოსარჩელის მამა უკვე გარდაცვლილი იყო. ვ. რ-იკის გარდაცვალების შემდეგ გ. რ-იკი ჩამოვიდა საქართველოში და კანონით დადგენილ ვადაში ფაქტობრივად დაეუფლა ბების დანაშთ ქონებას. მოგვიანებით მხარემ შეიტყო, რომ სადავო სამკვიდრო უკანონოდ მიიღო და ვერა პობერეჩსკაის მიჰყიდა ი. ბ-ოკმა. ამასთან, ვ. პ-იასათვის ცნობილი იყო, რომ სადავო უძრავი ქონების კანონიერი პირველი რიგის მემკვიდრე იყო მოსარჩელე, შესაბამისად, იგი კეთილსინდისიერ შემძენად ვერ ჩაითვლება.

მოპასუხე ვ. პ-იამ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ სადავო სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი. მოსარჩელეს არ გააჩნია იურიდიული საფუძველი, მოითხოვოს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით გ. რ-იკის სარჩელი დაკმაყოფილდა - აღიარებულ იქნა ფაქტი, რომ გ. რ-იკს მიღებული აქვს მისი ბების - ვ. რ-იკის სამკვიდრო ქონება, დადგინდა მოსარჩელის სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა, ი. ბ-ოკსა და ვ. პ-იას შორის 2009 წლის 3 თებერვალს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ი. ბ-ოკმა და ვ. პ-იამ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

გ. რ-იკის წარმომადგენელმა ე. ლ-იამ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ზუგდიდის შს სამმართველოს უზნის ინსპექტორის მიერ მისი სახლიდან გამოსახლების შეჩერება, რადგან არსებობს ვარაუდი, რომ ვ. პ-ია გასახვისებს სადავო ქონებას, რაც შეუძლებელს გახდის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების აღსრულებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ივნისის განჩინებით გ. რ-იკის წარმომადგენელ ე. ლ-იას განცხადება დაკმაყოფილდა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიზნით შეჩერდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს უზნის ინსპექტორის განყოფილების მიერ გ. რ-იკის მინდობილი პირის - ე. ლ-იას გამოსახლება ზუგდიდში, ... ქ.#36-ში მდებარე სადავო ფართიდან. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე, 191-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ განმცხადებელი ითხოვს სადავო ფართიდან მისი გამოსახლების შეჩერებას, რადგან არსებობს მოპასუხის მიერ კუთვნილი უძრავი ნივთის გასახვისების საშიშროება. ამდენად, მხარემ მიუთითა გარემოებაზე, რომლის გამოც გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობამ შესაძლოა გაართულოს გადაწყვეტილების აღსრულება და მატერიალური ზიანი მიაყენოს მას. აღნიშნული კი განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ვ. პ-იამ შეიტანა საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: გასაჩივრებული განჩინებით შეუძლებელია იმის განსაზღვრა, განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებანი საკმარისია თუ არა დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ საჭიროა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. განმცხადებელს სათანადოდ არ დაუსაბუთებია თავისი მოთხოვნა იგი მხოლოდ მხარის ვარაუდს ეფუძნება. სააპელაციო სასამართლოს სადავო

განჩინება არ ზღუდავს ვ. პ-ის კუთვნილი ნივთის გასხვისებასთან მიმართებით და მას ნებისმიერ დროს შეუძლია გაყიდოს იგი. ამდენად, გასაჩივრებული განჩინების მიღებით გადაწყვეტილების უზრუნველყოფა ვერ მოხდება. მოწინააღმდეგე მხარის გამოსახლების შეჩერებით ილახება საჩივრის ავტორის, როგორც მესაკუთრის უფლება, ისარგებლოს ქონებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აგვისტოს განჩინებით ვ. პ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. პ-ის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და გ. რ-ის წარმომადგენელ ე. ლ-ის განცხადება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ამავე კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით მოითხოვოს ჯერ კიდევ აღუსრულებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენდაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის - მოსარჩელისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულებება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის - გადაწყვეტილების აღსრულება.

განსახილველ შემთხვევაში გ. რ-ის წარმომადგენელმა ე. ლ-იმ მოითხოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად ზუგდიდის შს სამმართველოს უზნის ინსპექტორის მიერ ე. ლ-ის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის - საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლების შეჩერება, რის საფუძველზეც დაასახელა ვარაუდი, რომ ვ. პ-ია გაასხვისებს სადავო ქონებას და ამით შეუძლებელი გახდება ან გართულებება გადაწყვეტილების აღსრულება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. ლ-ის ზემოხსენებული მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან მისი დაკმაყოფილება ემსახურება არა მოსარჩელე გ. რ-ის კანონიერი უფლებების დაცვას, არამედ თავად ე. ლ-ის ინტერესების უზრუნველყოფას - სადავო სახლის მფლობელობის გაგრძელებას, რაც ეწინააღმდეგება სარჩელისა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის სამართლებრივ მიზანსა და დანიშნულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება განიხილება მოსარჩელის ინტერესების დაცვის ფარგლებში, შესაბამისად, იგი გამოიყენება მოსარჩელის და არა მესამე პირის, თუნდაც მოსარჩელის წარმომადგენლის უფლებების დასაცავად. მოცემულ შემთხვევაში კი ე. ლ-ია არის არა მოსარჩელე, არამედ - მისი ნდობით აღჭურვილი პირი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზუგდიდში, ... ქ.#36-ში მდებარე, ვ. პ-ის სახელზე რიცხული სადავო ფართიდან ზუგდიდის შს სამმართველოს უზნის ინსპექტორის მიერ ე. ლ-ის გამოსახლების შეჩერება გ.რემესნკის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ ზუგდიდის რაიონ-

ნული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის აუცილებელ და ეფექტურ საშუალებას არ წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნულის თაობაზე მხარის მოთხოვნას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

- ვ. პ-ის საჩივარი დაკმაყოფილდეს.
 გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ივნისისა და 12 აგვისტოს განჩინებები.
 გ. რ-იკის წარმომადგენელ ე. დ-იას განცხადება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
 საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

განჩინება

#ას-623-584-10

7 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 28 ნოემბერს გარდაბნის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა გ. ა-ოვამ მოპასუხე შპს "პ-ის" მიმართ და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 აპრილის განჩინებით გ. ა-ოვას წარმომადგენლის შუამდგომლობა სასარჩელო მოთხოვნის გამოთხოვასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა - განუხილველად დარჩა გ. ა-ოვას სარჩელი.

აღნიშნული კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ა-ოვამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით გ. ა-ოვას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 აპრილის განჩინება.

2009 წლის 14 მაისს გარდაბნის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა გ. ა-ოვამ მოპასუხე შპს "პ-ის" მიმართ და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. ა-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა - გაუქმდა გ. ა-ოვასა და მოპასუხე შპს "პ-ს" შორის 2008 წლის 8 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება საცხოვრებელ ბინაზე ქ. გარდაბანში, ... ქ. #36ა-ში.

აღნიშნული სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "პ-მა".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით შპს "პ-ის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. ა-ოვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გ. ა-ოვას შპს "პ-ის" სასარგებლოდ დაეკისრა 1200 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს გ. ა-ოვასა და შპს "პ-ს" შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება საცხოვრებელ ბინაზე ქ. გარდაბანში, ... ქ. #36ა-ში. ნასყიდობის ფასი მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა 64 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი

89 600 ლარით, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ ნასყიდობის საგანი გაიყიდა 30 000 ლარად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სესხის ხელშეკრულების მხარეები არ წარმოადგენდნენ ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს, მაგრამ დადგენილია, რომ უ. ე-ენი არის შპს "3-ის" პარტნიორი, ხოლო შ. ა-ოვა გამყიდველის დედა, რომელიც იღებდა მონაწილეობას ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დროსაც და ასევე ბინის ნასყიდობასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წარმოებულ მოლაპარაკებებში.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა გ. ა-ოვამ.

2010 წლის 25 ივნისს გ. ა-ოვამ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის განჩინებით გ. ა-ოვას განცხადება უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების შესახებ დაკმაყოფილდა - შპს "3-ს" აეკრძალა ქ. გარდაბანში, ... ქ.#36ა-ში მდებარე უძრავი ქონების გასხვისება, ასევე, შპს "3-ს" აეკრძალა აღნიშნული უძრავი ქონების მიმართ ყოველგვარი სარემონტო სამუშაოების ჩატარება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით გ. ა-ოვას საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის განჩინებით გ. ა-ოვას განცხადება უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების შესახებ დაკმაყოფილდა - შპს "3-ს" აეკრძალა ქ. გარდაბანში, ... ქ.#36ა-ში მდებარე უძრავი ქონების გასხვისება, ასევე, შპს "3-ს" აეკრძალა აღნიშნული უძრავი ქონების მიმართ ყოველგვარი სარემონტო სამუშაოების ჩატარება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით გ. ა-ოვას საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, ვინაიდან გ. ა-ოვას საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განჩინება უნდა გაუქმდეს, ვინაიდან არ არსებობს უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის საჭირო წინაპირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე და 199¹ მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის განჩინება უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების შესახებ;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრება

განჩინება

#ას-882-830-10

11 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლე ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ი-ანის წარმომადგენელმა მ. ს-ირმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის შეტანამდე მისი უზრუნველყოფის მიზნით შპს "ვ. მ-ის" პარტნიორ რ. ჰ-ელის აქცია-თა 45%-ის დაყადაღება. მხარემ მიუთითა, რომ აპირებს რ. ჰ-ელის წინააღმდეგ სარჩელის აღ-მკვრას ვალდებულების შესრულების შესახებ. მოპასუხის არაკეთილსინდისიერი მოქმედებებიდან გა-მომდინარე, საჭიროა, მოსარჩელის კანონიერი ინტერესები გარანტირებულ იქნეს შესაბამისი უზ-რუნველყოფის ღონისძიების განხორციელებით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის განჩინებით განცხადება არ დაკმა-ყოფილდა, რაც გაასაჩივრა ე. ი-ანმა. ამავე სასამართლოს 2010 წლის 29 იანვრის განჩინებით სა-ჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმესთან ერთად გაეგზავნა სააპელაციო პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის გან-ჩინებით ე. ი-ანის წარმომადგენელ მ. ს-ირის საჩივარი დაკმაყოფილდა - გასაჩივრებული განჩი-ნება გაუქმდა და შპს "ვ. მ-ში" რ. ჰ-ელის კუთვნილ 45% აქციებს დაედო ყადაღა. ამავე პალა-ტის 2010 წლის 28 ივნისის განჩინებით სარჩელის წინასწარ უზრუნველყოფის ზემოხსენებული ღონისძიება გაუქმდა და სადავო აქციებს ყადაღა მოეხსნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ათდღიან ვადაში სარჩელის შეუტანლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ე. ი-ანის წარმომადგენელმა მ. ს-ირმა შეიტანა საჩივა-რი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინებით საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 5 დღის ვადაში მისი გამოსწორება, ამავე პალატის 2010 წლის 9 აგვისტოს განჩინებით კი საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის გამო-უსწორებლობის გამო და საქმესთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ ე. ი-ანის წარმომადგე-ნელ მ. ს-ირის საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თა-ნახმად, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე შეიძ-ლება საჩივრის შეტანა. ამავე კოდექსის 197¹ მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, ზემდგომი ინ-სტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენი-ლი წესებით, ხოლო 419-ე მუხლის მესამე ნაწილი ადგენს, რომ ზემდგომი სასამართლოს განჩი-ნება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო განჩინება, რომლითაც სარჩე-ლის უზრუნველყოფის ღონისძიება უქმდება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრის შეტანის გზით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ვინაიდან ასეთ დროს ზემდგომი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და მასზე საჩივარი აღარ დაიშვება.

მოცემულ შემთხვევაში ე. ი-ანის წარმომადგენელმა მ. ს-ირმა განსახილველი საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სარჩელის წინასწარ უზრუნველყოფის გაუქმებასთან დაკავ-შირებით. აღნიშნული განჩინება სააპელაციო პალატამ გამოიტანა როგორც ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ, რადგან თავდაპირველად მ. ს-ირმა თავისი მარწმუნებლის სახელით განცხადება შეიტანა რუსთავის საქალაქო სასამართლოში და საქმე მ. ს-ირის განცხადების დაუკმაყოფილებლო-ბის შემდეგ განსახილველად გაეგზავნა ზემდგომ - თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომელ-მაც თავდაპირველად დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა, თუმცა მოგვიანებით გასაჩივრებული განჩი-ნებით თავადვე გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ე. ი-ანის წარმომადგენელ მ. ს-ირის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაზე დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ე. ი-ანის წარმომადგენელ მ. ს-ირის საჩივარი დარჩეს განუხილველად.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-489-800-09

17 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

სარჩელის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 21 მარტს შპს „კ. შ-ის“ წარმომადგენელმა სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ და აღნიშნა, რომ თბილისში, კრწანისის რაიონში, ... ქ.#75-ის მიმდებარედ არსებული 3660 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით 2004 წლიდან შპს „კ. შ-ის“ საკუთრებაა. აღნიშნული მიწის ნაკვეთის მეზობლად მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილებას. იგი 2006 წელს გადაეცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რომელმაც დაიკავა არა მარტო მისთვის გადაცემული მიწის ნაკვეთის შესაბამისი ფართი, არამედ შპს „კ. შ-ის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ თავდაპირველად მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ შპს „კ. შ-ის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი გამიჯნული იქნებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთიდან, რომელიც ამ დროისათვის დამაგრებული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე; ამ მიზნით ჩატარებულ იქნა შესაბამისი სახის აზომვითი, საკადასტრო სამუშაოები და გამოიყო მიწის ფართები ერთმანეთისაგან წითელი ხაზებით.

2007 წლის მეორე ნახევარში თავდაცვის სამინისტროს სარგებლობაში არსებული მიწის ფართი გადაეცა სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს, რომელმაც მისთვის გადაცემული ტერიტორია დაიკავა და ამასთან, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიც.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მზად იყო, გაეღო ხარჯი, აემუშებინა ახალი საქვაბე მოწყობილობა, რომელსაც იყენებდა მოპასუხე და რომელიც მდებარეობს მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობაში. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით უცნობი იყო.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხის მოქმედებით ირღვევა მისი საკუთრების უფლება, ვერ ახერხებს საკუთარი ნივთით სარგებლობას და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით მოითხოვს მოპასუხის - საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უკანონო მფლობელობიდან მოსარჩელის საკუთრებაში არსებული, თბილისში, კრწანისის რაიონში, ... ქ.#75-ის მიმდებარედ 3660 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და განლაგებული არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების გამოთხოვა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძველით, რომ თბილისში, ... ქ.#75-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური ფლობს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 26 ივნისის #1-1\958 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მფლობელი იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. უშუალოდ აღნიშნული სამინისტროდან გადაეცა სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს მითითებულ მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები. მოპასუხის მტკიცებით, ის წარმოადგენს სადავო მიწის ნაკვეთის კეთილსინდისიერ მფლობელს, რადგან მას არ შეუცვლია გადმოცემამდე არსებული მდგომარეობა. მოპასუხე ფლობს იმ ტერიტორიას, რაც მას ფაქტიურად გადასცეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 6 ივნისის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „კ. შ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „კ. შ-ი“ წარმოადგენს თბილისში, ... ქ.#75-ის მიმდებარედ 3660 კვ.მ #023 მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული საერთო 786 კვ.მ-ის მქონე შენობა-ნაგებობების მესაკუთრეს;

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს მისი არსებობის ვადით გადაეცა თბილისში, ... ქ.#75-ის მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 20542 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით, რაც დასტურდება მოპასუხის და მესამე პირის წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 26 ივნისის #1-1\958 ბრძანების ასლითა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წარმომადგენელთა შორის 2007 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 20542 კვ.მ, მქონე მიწის ნაკვეთი #029 და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები მოპასუხისათვის გადაცემამდე წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მფლობელობის უფლების ქვეშ მყოფ ობიექტს, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 28 დეკემბრის და 2007 წლის 26 ივნისის #1-1\1511 და #1-1\958 ბრძანებებით, საჯარო რეესტრის ამონაწერებითა და მოპასუხე მხარის და მესამე პირის ახსნა-განმარტებებით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა რაიმე სახის წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა დადგენილიყო მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის უძრავი ნივთების მფლობელობის ფაქტი, შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ უზრუნველყო სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი იმ ერთ-ერთი კომპონენტის არსებობის დადასტურება, როგორცაა მოპასუხის მიერ მოსარჩელის ნივთის მფლობელობა. ამდენად, სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელი ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის მოთხოვნას და სარჩელი დაუსაბუთებულად მიიჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა „კ. შ-ის“ წარმომადგენელმა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის, მდებარე თბილისში, კრწანისის რაიონში, ... ქ.#75-ის მიმდებარედ, ფართით - 3660 კვ.მ, გამოთხოვა და მასზე განთავსებული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების 786,60 კვ.მ-ის გადაცემა შპს „კ. შ-სათვის“ თავისუფალ მდგომარეობაში.

აპელანტმა ასევე მოითხოვა საქმეზე მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დართვაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 ივლისის საოქმო განჩინების გაუქმება და შპს „კ. შ-ის“ განცხადების მასალების საქმეზე დართვის შესახებ დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 თებერვლის განჩინებით შპს „კ. შ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „კორიატ იტ ვე დიშ ტიჯარეტ სანაი ლიმიტედ შირკეთის“ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და ამ გარემოებების მიმართ მის მიერ გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს და ჩათვალა, რომ შპს „კორიატ იტ ვე დიშ ტიჯარეტ სანაი ლიმიტედ შირკეთის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებული და კანონიერი იყო და არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება და იგი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება გახდეს ამავე კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული წესით; კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის საოქმო განჩინებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მტკიცებულება მოსარჩელის მიერ წარდგენილი არ ყოფილა სასარჩელო განცხადებასთან ერთად, ასევე, არც სასამართლოს 2008 წლის 6 ივნისის და 2006 წლის 19 ივნისის სხდომებზე; იგი მხარის მიერ წარდგენილი იქნა მხოლოდ 2008 წლის 4 ივლისის სხდომაზე; ამასთან, მოსარჩელის მიერ დასაბუთებული არ ყოფილა მითითებული მტკიცებულების სარჩელთან ერთად ან წინა სასამართლო სხდომებზე წარუდგენლობის საპატიო მიზეზი, რის გამოც სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მოთხოვნის გათვალისწინებით არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „კ. შ-ის“ წარმომადგენელმა გ. ნ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანით სასამართლომ უხეშად შელახა საქართველოს კონსტიტუციური საფუძვლები, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა პირდაპირ აწესრიგებს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება იქნეს მიჩნეული სახელმწიფოს ქმედებები მიზანშეწონილად თავისი ნება-სურვილის განხორციელებისას. განსახილველ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დახურულ ობიექტად სხვისი საკუთრების გადაქცევას ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მაშინ, როდესაც არ იყო გამოკვეთილი კერძო საკუთრების არც საზოგადოებრივი და არც სახელმწიფოებრივი საჭიროება. სასამართლომ კი თავისი არასწორი მოსაზრებები და მსჯელობა უკანონო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახადა.

კასატორის აზრით, საქმის წარმოებისას მოხდა არსებითი ხასიათის პროცესუალური დარღვევები როგორც პირველი ინსტანციის, ასევე - სააპელაციო სასამართლოებში, რამაც საბოლოოდ განაპირობა არასწორი შედეგი.

კასატორის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ მიიღო მათი დოკუმენტაციები, საქმეში მესამე პირის - ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ვინაიდან სამინისტროს მონაწილეობამ ცხადი გახადა, რომ არსებობდა ორი მიწის ნაკვეთი, შესაბამისად, დავა მისი საკუთრების არსებობა-არარსებობის შესახებ მოისპო.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარღვია საპროცესო კანონმდებლობა, როდესაც მხარი დაუჭირა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ საფუძველით, რომ სააპელაციო საჩივარი არ აკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან გადაწყვეტილების გამოტანისას სწორედ ეს მუხლები უხეშად დაირღვევა.

კასატორის განმარტებით, სასამართლოების მიერ არასწორად იქნა გამოყენებული მტკიცების ტვირთის გადანაწილების პრინციპი, ვინაიდან სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ ზეპირ განცხადებას მოპასუხის მხრიდან იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური არ იმყოფება კერძო საკუთრებაში, რომლის ფართობიც 3660 კვ.მეტრია და მასზე განთავსებულია 786 კვ.მ შენობა-ნაგებობები. აღნიშნული სასამართლო სხდომის დასკვნის ეტაპზე თავად მითითებულმა სამსახურმა გახადა სადავო და, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის გამოყენება მოსარჩელის ნაცვლად ამ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო მოპასუხის საწინააღმდეგოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სარჩელის საგანს წარმოადგენს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოპასუხე მხარე შესაგებლით არ უარყოფდა სადავო ნივთის ფლობის ფაქტს, მოპასუხე სარჩელის უარსაყოფად მიუთითებდა მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ იგი სადავო ნივთს ფლობდა მართლზომიერად. საქმის მასალებით ასევე ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 ივნისის მთავარ სხდომაზე სასამართლომ საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხის მხარეზე მესამე პირად ჩართო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ამავე განჩინებით მესამე პირს დაევალა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში წარმოედგინა თავისი წერილობითი მოსაზრებები. სარჩელი და თანდართული დოკუმენტები მესამე პირს კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა 2008 წლის 10 ივნისს. მესამე პირს განჩინებით დადგენილ ვადაში არ წარმოუდგენია არც

თავისი მოსაზრებები და არც რაიმე მტკიცებულება. მტკიცებულებები მესამე პირმა წარმოადგინა 2008 წლის 19 ივნისის სხდომაზე. სასამართლომ წარმოდგენილი მტკიცებულებები მიიღო და იმ საფუძველით, რომ წარმოდგენილი იყო ახალი მტკიცებულებები, სასამართლომ საოქმო განჩინებით დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა საქმის გადადების თაობაზე. 2008 წლის 3 ივლისს მოსარჩელის წარმომადგენელმა მესამე პირის მიერ წარმოდგენილი მასალის პასუხად სასამართლოში წარადგინა დამატებითი მტკიცებულებები. 2008 წლის 4 ივლისის საოქმო განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენელს უარი ეთქვა მტკიცებულებების მიღებაზე და იმავე დღეს მიღებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს – უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხის მიერ სადავო მიწის ნაკვეთის ფლობის ფაქტი.

მოსარჩელემ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად გაასაჩივრა 2008 წლის 4 ივლისის საოქმო განჩინებაც. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხის მიერ სადავო მიწის ნაკვეთის ფლობის ფაქტი. რაც შეეხება მტკიცებულებათა მიღებაზე უარის თქმის განჩინებას, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად არ მიიღო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რადგან მოსარჩელის მიერ დასაბუთებული არ ყოფილა მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის აღნიშნული დასკვნა დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 219-ე მუხლი არ უკრძალავს მხარეებს, მთავარ სხდომაზე წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე. ამასთან, მითითებული ნორმები შეიცავს დანაწესს, რომლის თანახმად, სასამართლო ახალ მტკიცებულებებს მიიღებს და გაითვალისწინებს ახალ გარემოებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული, აგრეთვე, თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვებოდა მთავარ სხდომაზე. თუ სასამართლო განსახილველად დაუშვებს ახალ გარემოებებს ან მიიღებს ახალ მტკიცებულებებს, მოწინააღმდეგე მხარეს ახალი გარემოებებისა და მტკიცებულებების გასაქარწყლებლად შეუძლია მოითხოვოს საქმის განხილვის გადადება. სასამართლო საქმის განხილვას გადადებს, თუ მიიჩნევს, რომ წარსადგენ მტკიცებულებებს არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის.

საქმეში არსებული მასალებიდან გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას დაირღვა შეჯიბრებითობის პრინციპი. კერძოდ, მოსარჩელეს არ მიეცა თანაბარი შესაძლებლობა, გაექარწყლებინა მოპასუხის მხარეზე მთავარ სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებები. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოპასუხე შესაგებლით სადავო ნივთის ფლობის ფაქტს არ უარყოფდა, მოპასუხის მხარეზე მესამე პირმა მტკიცებულებები წარადგინა მთავარ სხდომაზე, რაც სასამართლომ მიიღო და გადადო სხდომა სწორედ იმ საფუძველით, რომ მოსარჩელეს ჰქონოდა შესაძლებლობა, გაექარწყლებინა მთავარ სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებები. მაგრამ შემდეგ სხდომაზე სასამართლომ არ მიიღო მოსარჩელის მტკიცებულებები. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მტკიცებულებათა წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, რის გამოც სასამართლოს უნდა მიეღო წარმოდგენილი მტკიცებულებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ დაირღვა საპროცესო სამართლის ნორმები, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

შპს „კ. შ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

სასამართლო ხარჯები განისაზღვროს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლოში გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-629-937-09

4 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2000 წლის 4 აპრილს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. გ-მემ მოპასუხეების - ლ. ა-ულისა და შპს „ა. დ-ის“ წინააღმდეგ. მოსარჩელემ მოითხოვა ლ. ა-ულს მოსარჩელის სასარგებლოდ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი და ამასთან, სინამდვილისათვის შეუსაბამო ცნობების გავრცელებისათვის მორალური ზიანის - 30 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ასევე მოითხოვა მოპასუხე შპს „ა. დ-ს“ კორპორაცია „ქ-სა“ და შპს „ა-ს“ მენაბრეების სასარგებლოდ დაკისრებოდა 15 000 აშშ დოლარის გადახდა და დავალებოდა ვრცელი სტატიის გამოქვეყნება, რომელიც შეეხებოდა დედოფლისწყაროს რაიონის „ქ. ქ-ის“ კოოპერატივის განზრახ გაკოტრებას და ამ კოოპერატივის ქონების განაივებას იმ პირების მიერ, რომლებმაც ლ. ა-ული გამოიყენეს იარაღად მოსარჩელისა და სხვათა უკანონო ბრალდებისათვის, რათა ყურადღება ნამდვილი დამნაშავესაკენ არ მიმართულიყო; განხორციელებულიყო წარდგინება მოპასუხე შპს „ა. დ-ის“ მიმართ „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების გადამეტებისათვის, სინამდვილისათვის შეუსაბამო, პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელებისათვის; მიღებული ყოფილიყო განჩინება მოპასუხეების - ლ. ა-ულისა და შპს „ა. დ-ის“ მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ და მასალები გადაგზავნილიყო საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ გაზეთ „ა. დ-ის“ 2000 წლის 3-9 მარტის გამოშვებაში გამოქვეყნდა ანონსი სათაურით - „მომავალ ნომერში“, რომელშიც გავრცელდა მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველი, სინამდვილისათვის შეუსაბამო შემდეგი შინაარსის ცნობები: „რედაქციაში შემოვიდა მოქალაქეთა ჯგუფის განცხადება, რომელიც ბრალს სდებს დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე ნ. ბ-ულს მასში, რომ ამ უკანასკნელმა კორუფციის საფუძველზე ჩაიღინა რამდენიმე კანონდარღვევის ფაქტი. განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ სასამართლოს თავმჯდომარემ რაიონულ ბიუჯეტში გადასარიცხი 325 ათასი ლარი მიითვისა, საოლქო სასამართლოს განჩინება რაიონული სასამართლოს ხელით გააუქმა, სასამართლო განჩინებით პიროვნებისათვის მიკუთვნებული ქონება გაასხვისა და ა.შ, ასევე გაასხვისა შპს „ა-ს“ მენაბრეების ყადაღადადებული ქონება. აღნიშნული ფაქტები ცნობილია შესაბამისი ორგანოებისათვის, მაგრამ არავინ რეაგირებს. ამ ფაქტების შესახებ ჟურნალისტურ გამოძიებას შემოგთავაზებთ გაზეთის შემდეგ ნომერში“.

გამოქვეყნებული ანონსის საფუძველზე მოსარჩელემ მიმართა შპს „ა. დ-ს“ მოთხოვნით, რათა ამ უკანასკნელს ეცნობებინა, თუ ვინ იყვნენ ამ განცხადების ავტორები, რომელიც საფუძველად დაედო ანონსის პუბლიკაციას, აღნიშნულ მოთხოვნაზე მოპასუხე შპს „ა. დ-მ“ მოსარჩელეს წარუდგინა ანონიმური (ხელმოუწერელი) განცხადება და მხოლოდ ზეპირსიტყვიერად განუმარტა, რომ იგი წარდგენილი იყო ლ. ა-ულის მიერ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხემ არ შეამოწმა ანონიმურ განცხადებაში მითითებული ფაქტების სინამდვილე და ისე გამოაქვეყნა ანონსი. გარდა ამისა, დამალა წერილის ავტორთა ვინაო-

ბა, გამოქვეყნებული ანონსით იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ნ. გ-მე და სხვა მეანაბრეები იყვნენ განცხადების ავტორები და ისინი ამხელდნენ მოსამართლეს დანაშაულის ჩადენაში.

მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ ლ. ა-ულის მიერ გაზეთ „ა. დ-ში“ ანონიმური ფორმით წარდგენილი განცხადება შეიცავს სინამდვილისათვის შეუსაბამო, მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ცნობებს, კერძოდ, მასში მითითებული იყო, რომ ნ. გ-მე ყალბი დოკუმენტებით ან უკვე გაუქმებული, ვადაგასული მინდობილობებით ითვისებს მეანაბრეთა ქონებას, გაყიდა და მიისაკუთრა მეანაბრეთა დიდი რაოდენობით ქონება და ფული მაშინ, როდესაც ზოგიერთი მეანაბრე, ვინც მას მინდობილობა მისცა, დღემდე ელოდება თანხას. ქონების დატაცებაში მას ხელს უწყობს სასამართლოს თავმჯდომარე ნ. ბ-ული, რომელმაც ნ. გ-მეს მარტო არხილოსკალოდან, მეანაბრეთა დიდი ქონება გადასცა, სხვა მეანაბრეებს კი ქონება დაუშალა. მას კი, რომელმაც 1998 წელს ქონება მიიღო არხილოსკალოდან, დღემდე აძლევს ქონებას. მათ ხელთ არსებული დოკუმენტებით სხვა ქონებასთან ერთად ნ. გ-მეს 1998 წლის 27 აგვისტოს გადაეცა 11 000-ლარიანი მეცხოველეობის ფერმა. დედოფლისწყაროს სასამართლოს თავმჯდომარე ნ. ბ-ულმა 04.10.99-ში ხელმეორედ გამოწერა სააღსრულებო ფურცელი, სადაც 11 000 ლარი 1998 წელს არსებული კურსით გადაუანგარიშა, მაშინ, როდესაც ნ. გ-მემ აღნიშნული ფერმა უკვე მიიღებული ჰქონდა. როგორც ირკვევა, ნ. ბ-ული ახლა 128 000 ლარად ღირებულ მეცხოველეობის კომპლექსს აძლევს 63 000 ლარად, რომელიც დოკუმენტებში არ ჩანს. ნ. ბ-ულმა 04.10.99 წელს განმეორებით გადასცა ნ. გ-მეს 57 687 დოლარის ქონება, რომლის გადაცემის აქტი 1999 წლის 30 აპრილს დაიწერა. ჩამონათვალი ქონების ფასია 439 363 ლარი, რასაც ხელს აწერს ქვემო ქედის კოოპერატივის თავმჯდომარე ა. პ-შვილი. ნ. ბ-ულმა 10.08.99 წელს გამოიტანა განჩინება და ა. პ-შვილისა და ნ. გ-მის მიღება-ჩაბარების აქტი განჩინებით გააუქმა. ნ. ბ-ულმა ნ. გ-მისათვის 57 687 დოლარის ქონების ხელმეორედ გადაცემით თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე კ-ვას 1999 წლის 26 ოქტომბრის განჩინება გააუქმა, ნ. გ-მემ საოლქო სასამართლოს 1999 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით სხვაზე მიკუთვნებული დაყადაღებული ქონებაც მიითვისა. მისთვის ცნობილია, რომ ყველა ის ქონება, რაც მან მიითვისა და გაყიდა, იყო, დაყადაღებული აღმასრულებლების მიერ. ცნობის მიხედვით, ნ. გ-მეს 1999 წელს ქვემო ქედიდან მიიღო 3300 ლარი ერთ-ერთი მეანაბრის ვადაგასული მინდობილობით, ნ. ბ-ულის, ნ. გ-მისა და ა. პ-შვილის თანამონაწილეობით გაქრა ბიუჯეტში გადასარიცხი თანხა 235 000 ლარი.

მოსარჩელის მითითებით, ამავე შინაარსის ცნობებით ლ. ა-ულმა მიმართა სხვადასხვა უწყებებს - დედოფლისწყაროს რაიონის გამგებელს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საგამომიებო ორგანოებს. გამგებლისადმი 2000 წლის 6 იანვარს და იმავე წლის 11 ნოემბერს მიმართულ განცხადებებში, ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე აღნიშნულია, რომ ნ. გ-მე მეანაბრეთა აქციონერების ზედამხედველობის სამსახურის ყალბი დოკუმენტებით სარგებლობდა, რაზედაც ამ სამსახურის მიერ გაფრთხილებული იყო წერილობით 15.10.00 წელს. ლ. პ-შვილმა მთელი ქონება მიღება-ჩაბარების აქტით 113 000 ლარის გადასცა ნ. გ-მეს, თანაც ფასდაკლებით, ე.ი. იმ ფასად, რაც გ-მეს სურდა. ეს მაშინ, როდესაც საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით „ქ. ქ-ს“ დავალიანება ჰქონდა 74 000 ლარი. ნ. გ-მეს ყალბი დოკუმენტებით თანხების მითვისებაზე 1989 წელს მისჯილი ჰქონდა 7 წელი.

მოსარჩელე ნ. გ-მემ მიუთითა, რომ შპს „ა. დ-ში“ წარდგენილი ანონიმური განცხადება უკვე ლ. ა-ულის და მასთან ერთად 4 მეანაბრის ხელმოწერით გამოქვეყნდა გაზეთში სათაურით, „სად გაქრა მეანაბრეთა ქონება“.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 5 სექტემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა ნ. გ-მის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ყადაღა დაედო მოპასუხე ლ. ა-ულის კუთვნილ ქონებას, კერძოდ: კოოპერატივ „ქ. ქ-ში“ არსებულ მეძროხეობის კომპლექსში მდებარე 2300 ლარად ღირებულ ფერმას, 1500 ლარად ღირებულ სახბორეს, 800 ლარად ღირებულ ავტომანქანა ვაზ. 664-ს, 650 ლარად ღირებულ ხორბლის სათესს, 8900 ლარად ღირებულ აგურის ქარხანას, 500 ლარად ღირებულ ავტომანქანა „გაზს“, 400 ლარად ღირებულ 25-ტონიან ტრაქტორს, 200 ლარად ღირებულ 9 მტ 8-80 და მის ლაფეტს, 10 რძის მიმღებს, 857 ლარად ღირებულ ოთხ ცალ მაცივარს, სულ საერთო ღირებულებით - 16050 ლარი, აგრეთვე, ყადაღა დაედო ქ.თბილისში, ... მე-4 მ/რ-ის მე-2 კორპუსში მდებარე მე-4 ბინას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2001 წლის 30 მარტის განჩინებით თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 5 სექტემბრის განჩინება გაუქმებულ იქნა საცხოვრებელ ბინებზე ყადაღის დადების ნაწილში.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 5 დეკემბრის განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

საქმის წარმოება განახლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 27 ნოემბრის განჩინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. გ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ნ. გ-ძემ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 აგვისტოს საოქმო განჩინებით ამავე სასამართლოს 2008 წლის 16 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ნ. გ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მარტის განჩინებით ნ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2008 წლის 8 აგვისტოს საოქმო განჩინება.

სააპელაციო პალატამ დადგინილად ცნო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ივნისის საოქმო განჩინებით ნ. გ-ძის სარჩელის განხილვა გადიოდა 2008 წლის 16 ივნისის, 13.00 საათზე. ასევე დადგინილად ცნო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. გ-ძის სარჩელი მოპასუხეების - ლ. ა-ულის, შპს „ა. დ-ს“ მიმართ არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო.

სააპელაციო პალატამ განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი და მიუთითა, რომ აღნიშნული მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს, აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლთ გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

პალატამ განმარტა, რომ კანონმდებელი სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზთან ერთად აუცილებელ პირობად ადგენს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შესახებ შეტყობინების შეუძლებლობაზე მითითების ვალდებულებას.

პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, ბავშვის ავადმყოფობა სწორად მიიჩნია საპატიო მიზეზად, თუმცა მიუთითა, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, მხოლოდ აღნიშნული გარემოება ვერ დაედება საფუძვლად დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას. იმავდროულად უნდა არსებობდეს სასამართლოსათვის სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე შეტყობინების შეუძლებლობა. აღნიშნული გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრება საჩივრის ავტორს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ნ. გ-ძის საჩივარი ემყარება შემდეგ გარემოებებს: დილის 10 საათიდან საღამომდე იმყოფებოდა ბავშვთა პოლიკლინიკაში, სადაც ბავშვს ჩაუტარდა გადასხმები, ამიტომ ვერ შესძლო სასამართლოსთან დაკავშირება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ნ. გ-ძის განმარტება ბავშვთა პოლიკლინიკაში დილიდან საღამომდე ყოფნის თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სწორად მიიჩნია დაუდასტურებელ გარემოებად.

ასევე პალატამ დადგინილად ცნო ის გარემოება, რომ 2008 წლის 16 ივნისის პოლიკლინიკის რეგისტრატურაში სატელეფონო შეტყობინებით, 12 საათსა და 30 წუთზე, გამოიძახეს ბინაზე ... ქ.#9-ში მცხოვრებ მ. ხ-შვილთან. ასევე, დაწესებულებაში არანაირი გადასხმები არ ტარდება და, შესაბამისად, არც ავადმყოფ მ. ხ-შვილს არ ჩატარებია გადასხმა. ამდენად, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება იმის თაობაზე, რომ დილის 10 საათიდან იმყოფებოდა ბავშვთა პოლიკლინიკაში, სადაც ბავშვს ჩაუტარდა პროფილაქტიკური პროცედურები. სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის განმარტება, რომ ბავშვთან იმყოფებოდა მართლ და ვერ შეძლო სასამართლოს ნომერზე ზარის განხორციელება, ვინაიდან მიიჩნია, რომ აღნიშნულის საწინააღმდეგოს მიუთითებს შს ბავშვთა #13 პოლიკლინიკის გენერალური დირექტორისა და პედიატრის 2009 წლის 11 მარტის #24 წერილი, რომ პედიატრს ბინაზე დახვდა ავადმყოფი ხ-შვილი, მისი დედა და ნათესავი ქალბატონი, ასევე, საქმეში წარმოდგენილი ფილიალი „თბილისი ტელეკომის“ დირექტორის წერილი იმის თაობაზე, რომ ასს-93-ის უბნის ინჟინერმა ი. შ-შვილმა შეამოწმა ნომრებიდან ... ნომერზე დარეკვის ალბათობა - ზარები განხორციელდა ყოველგვარი შეფერხების გარეშე - პასუხობს ავტომოპასუხე შიდა სამციფრიანი ნომრის აკრეფის მითითებით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები გამორიცხავს მტკიცებას იმის თაობაზე, რომ საჩივრის ავტორი მოკლებული იყო შესაძლებლობას, ეცნობებინა სასამართლოსთვის გამოუცხადებლობის მიზეზები, მით უფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საჩივრის ავტორი არის თბილისის მცხოვრები და მას შეეძლო უშუალოდ ან მესამე პირთა დახმარებით უზრუნველყო სასამართლოს ინფორმირება გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების შესახებ.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ნ. გ-მემ. მან მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ და შემდეგ სააპელაციო პალატამ უგულუბელყო სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლითაც დარეგულირებულია რა შემთხვევაში შეიძლება სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა ჩათვალოს საპატიოდ. მიუხედავად იმისა, რომ მან წარმოადგინა პოლიკლინიკის ცნობა 6 წლის შვილის ავადმყოფობის შესახებ, მისი პროცესზე გამოუცხადებლობა სასამართლომ საპატიოდ არ მიიჩნია. კასატორმა ასევე მიუთითა, რომ მან ვერ მოახერხა სასამართლოში დარეკვა და შეტყობინება, ვინაიდან სახლის ტელეფონებიდან არ ირეკებოდა, მოსამართლის თანაშემწის მობილური ტელეფონის ნომერი კი არ იცოდა, რის გამოც მიმართა სატელეფონო კვანძს, საიდანაც მოსწერეს, რომ, სავარაუდოდ, შიდა ატეესზეა ჩართული სასამართლოს ტელეფონები და მან ვერ მოახერხა შიდა ნომრებით დარეკვა. ამდენად, სააპელაციო პალატამ უგულუბელყო ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივად არასწორად შეაფასა მის მიერ წარდგენილი შვილის ავადმყოფობაზე გაცემული ცნობა, ასევე, არასწორად შეაფასა მოწინააღმდეგე მხარის - ლ. ა-ულის წარმოდგენილი პოლიკლინიკის წერილები და უკანონოდ არ დააკმაყოფილა მისი სააპელაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 ივნისის სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაკმაყოფილდა მოპასუხეების - ლ. ა-ულისა და შპს "ა. დ-ს" წარმომადგენელ მ. კ-ძისა და მ. ჯ-ძის შუამდგომლობა, მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ და ნ. გ-ძის სარჩელი პატივისა და ღისრების შემლახველი ცნობების უარყოფისა და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა მოსარჩელე ნ. გ-ძის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 აგვისტოს განიხილა ნ. გ-ძის საჩივარი და საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა. ზემოაღნიშნული განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილებასთან ერთად გაასაჩივრა ნ. გ-მემ სააპელაციო საჩივრით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი. ამასთან ერთად სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებელი სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზთან ერთად აუცილებელ პირობად ადგენს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შესახებ შეტყობინების შეუძლებლობაზე მითითების ვალდებულებას. ამდენად, ნ. გ-ძის გამოუცხადებლობა სასამართლომ არ მიიჩნია საპატიოდ, რადგან მან ვერ დაადასტურა, მისი შვილის ავადმყოფობის გამო, სასამართლოსათვის სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე შეტყობინების შეუძლებლობა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც საკმარისია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის დადგომისათვის, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილია ბავშვთა #13 პოლიკლინიკის მიერ 2009 წლის 30 ივნისს გაცემული ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მ. ხ-შვილი (ნ. გ-ძის შვილი) დაბადებული 21.09.01 წელს 2008 წლის 16 ივნისიდან - 2008 წლის 19 ივნისამდე იმყოფებოდა ავად დიაგნოზით - მწვავე რესპირატორული დავადება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის თანახმად, ბავშვის ავადმყოფობა არის საპატიო მიზეზი, მაგრამ მიიჩნია, რომ, ასევე უნდა არსებობდეს სასამართლოსათვის სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე შეტყობინების შეუძ-

ლებლობა. ამასთან, სააპელაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ შპს ბავშვთა #13 პოლიკლინიკის გენერალური დირექტორისა და პედიატრის #24 11.03.09 წლის წერილზე, რომლითაც დადგენილად მიიჩნია, რომ 2008 წლის 16 ივნისს პოლიკლინიკის რეგისტრაციაში სატელეფონო შეტყობინებით, 12 საათსა და 30 წუთზე, გამოიძახეს ... ქ. #9-ში მცხოვრებ მ. ხ-შვილთან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ წერილში მითითებულია, რომ ავადმყოფ მ. ხ-შვილს ჰქონდა მწვავე რესპირატორული ვირუსული დავადება, მაღალი ტემპერატურა (39 გრადუსი), მძაფრად გამოხატული კატარალური მოვლენებით. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ, აღნიშნული წერილის თანახმად, მკურნალი ექიმი გამოიძახებული 12 საათსა და 30 წუთზე მივიდა მხოლოდ 16 სთ-ის შემდეგ. ამრიგად, უშუალოდ ის ფაქტი, რომ ნ. გ-მის ბავშვს ჰქონდა მაღალი ტემპერატურა (39 გრადუსი) დროის ზემოაღნიშნულ მონაკვეთში შეიძლება მიუთითებდეს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე. საკასაციო პალატა ასევე განმარტავს, რომ მ. ხ-შვილთან ერთად, ნ. გ-მის გარდა, მისი ნათესავის არსებობის ფაქტი არ შეიძლება თავისთავად მიუთითებდეს ნ. გ-მის მიერ სასამართლო პროცესზე გამოცხადებისა ანდა სასამართლოსათვის სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე შეტყობინების შესაძლებლობის ფაქტზე, ხოლო, რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტს იმის შესახებ, რომ ... ნომერზე ზარები განხორციელდა ყოველგვარი შეფერხების გარეშე, შეიძლება მიუთითებდეს ზუსტად იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელე ცდილობდა დაკავშირებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (განჩინებები), რადგან კონკრეტულ შემთხვევაში მისი შემოწმების უშუალო ობიექტს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (განჩინება).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მარტის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. გ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილი შესაგებლის წარუდგენლობის გამო განჩინება

#ას-652-959-09

21 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: საერთო სარგებლობის ადგილას უნებართვოდ დადგმული წისქვილის გადატანა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2008 წლის 12 სექტემბერს სარჩელით მიმართა ნ. ს-შვილმა მოპასუხე ა. ბ-ავას მიმართ და მოითხოვა, მოპასუხეს დავალებული

ბოდა საცხოვრებელ კორპუსთან, მდებარე ... ქ.#7-ში, უნებართვოდ დადგმული წისქვილის გადატანა, კერძოდ, სარჩელში მითითებულია, რომ ... ქ.#7-ში სანიტარული სამსახურის ნებართვის გარეშე გახსნილია და მოქმედებს წისქვილი. ა. ბ-ავა ცხოვრობს იმავე კორპუსში მე-4 სართულზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ თვითონ და კორპუსის მაცხოვრებლები მოითხოვენ აღნიშნული უნებართვო წისქვილის გადატანას, ვინაიდან სახლი დგას წყლიან, გრუნტიან ნიადაგზე, ავარიულია სინესტის გამო, სარდავის გარეთა და შიგნითა კედლები სველია, რასაც ემატება წისქვილის ხმაური და ვიბრაცია, არის საშიშროება სახლის დანგრევის. აღნიშნულთან დაკავშირებით მან 1997 წელს მიმართა მერიას, რის შემდეგაც 1997 წლის 16 სექტემბრიდან სანიტარული სამსახურის დადგენილების საფუძველზე წისქვილი გაუქმდა, რაც ამჟამადაც ძალაშია. ამის მიუხედავად, მოპასუხე აგრძელებს ობიექტის ექსპლუატაციას, რაზედაც არ გააჩნია არანაირი უფლება და არც ლიცენზია. მოსარჩელემ მოითხოვა, დავალებოდა მოპასუხეს ... ქ.#7-ში სადარბაზოში, სახლის საძირკველში უნებართვოდ დადგმული წისქვილის გადატანა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ს-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ნ. ს-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარმოდგენლობის გამო, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ნ. ს-შვილის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა - ა. ბ-ავას დაევალა თბილისში, ... ქ. #7-ში საცხოვრებელი კორპუსის, ცენტრალურ სადარბაზოში, სახლის საძირკველში, უნებართვოდ დადგმული წისქვილის გადატანა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ა. ბ-ავამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 აპრილის განჩინებით ა. ბ-ავას საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. ამავე სასამართლოს 2009 წლის 11 მაისის განჩინებით ა. ბ-ავას საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ა. ბ-ავამ. მან მიუთითა, რომ იგი არის 87 წლის, ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ადვოკატის აყვანა და დროულად შესაგებლის წარდგენა სასამართლოში, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მის მიმართ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიაჩნია, რომ ა. ბ-ავას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოპასუხეს უფლება აქვს, მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია, აღძრას შეგებებული სარჩელი სასამართლო პაექრობის დაწყებამდე, თუ საქმის ზეპირი განხილვისთვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე შეგებებული სარჩელის წარდგენა ვერ მოხდა საპატიო მიზეზით. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2321 თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ნ. ს-შვილის სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლები, ასევე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) ფორმის ნიმუში, რომელშიც მითითებულია შესაგებლის წარმოდგენლობის შედეგებზე, სსკ-ის 373-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, გაეგზავნა ა. ბ-ავას და განესაზღვრა შესაგებლის წარსადგენად 7 დღე. სააპელაციო საჩივარი და თანდართული დოკუმენტების ასლები ა. ბ-ავას ჩაჰბარდა 2009 წლის 1 აპრილს. მას შესაგებელი უნდა წარმოედგინა სააპელაციო სასამართლოში 2009 წლის 8 აპრილის ჩათვლით, თუმცა მას შესაგებელი სასამართლოში არ წარმოდგენია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენები, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპატიო მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მან, ავადმყოფობის გამო, ვერ წარადგინა შესაგებელი სასამართლოში. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კასატორს არ წარუდგენია სასამართლოში შესაბამისი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ იგი ამ პერიოდისათვის ავად იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრი უსაფუძვლოა და არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ბ-ავას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2009 წლის 11 მაისის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლები

განჩინება

#ას-723-943-08

5 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ც-აიამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ჭ-იას, ჟ. ც-აიასა და ა. ჭ-იას მიმართ თვითნებურად გაუქმებული წყალსაწრეტი არხის აღდგენის მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: აბაშის რაიონში, ... ქუჩიდან ქუჩამდე მდებარე, მოპასუხეთა მიერ თვითნებურად გადაკეტილი წყალსაწრეტი არხის გამო იტბორება მოსარჩელის ეზო და ყანა. შესაბამისად, იგი ვერ იღებს მოსავალს. 2000 წლის 12 აპრილს შედგენილი ექსპერტის დასკვნის თანახმად, ცენტრალური არხის აღდგენასთან ერთად საჭიროა ჟ. ც-აიას ეზოში მ. და ა. ჭ-იების ნაკვეთის საზღვართან არსებული ორი არხის დაგრძელება და მოწესრიგება. ზემოხსენებული დასკვნის საფუძველზე 2001 წლის 12 ივლისს სადავო არხი მოწესრიგდა, რაც მ. ჭ-იამ და სხვებმა კვლავ გადაკეტეს.

მ. ჭ-იამ ასევე სარჩელით მიმართა სასამართლოს ნ. ც-აიას, გ. ა-იას, ი. რ-უას, მ. ჭ-იას, ე. ჭ-იას, რ. ჭ-იას, თ. ც-აიას, თ. ც-აიას, აბაშის პოლიციის მუშაკების - თ. ნ-უასა და მ.

ჭ-იას მიმართ მოპასუხეთა მიერ თვითნებურად გათხრილი არხების ამოვსების, გ. ა-იასა და ლ. ჭ-იას შორის გამავალი არხის ბეტონის ჯებირით ჩაკეტვის, დაზიანებული ღობის აღდგენის, მორალური და მატერიალური ზიანის - 20000 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: 1991 წელს მოპასუხებმა, აბაშის რაიონის გამგებელთან შეთანხმებით გაჭრეს გ. ა-იასა და ლ. ჭ-იას შორის გამავალი წყლის არხი და, მოსარჩელესთან შეთანხმების გარეშე, მიაერთეს მის ეზოში არსებულ წყალსაწრეტ თხრილს, რის გამოც მ. ჭ-იას ადგება ზიანი, იტბორება მისი ეზო, ხეხილი, ნარგავები, ოდა-სახლის საყრდენი, დაზიანდა ასევე ხის მასალა. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით მოპასუხეებს უარი ეთქვათ სადავო არხის მ. ჭ-იას ეზოში გატარებაზე, რაც ასევე გაზიარებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, მოპასუხებმა თვითნებურად, მ. ჭ-ისათვის შეტყობინების გარეშე, დააზიანეს მისი კუთვნილი ეზოს რკინის ღობე და გაიყვანეს 15 მეტრის სიგრძის არხი. მოპასუხეთა აღნიშნულ ქმედებაზე მ. ჭ-იამ განცხადებით მიმართა აბაშის პოლიციასა და პროკურატურას, თუმცა მის განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია. ქუთაისის საოლქო სასამართლოში საქმის განხილვისას, მ. ჭ-იას დასწრების გარეშე, მ. ჭ-იას მოთხოვნის საფუძველზე, ჩატარდა გეოდეზიური ექსპერტიზა და შედგა უკანონო ნახაზი, თუმცა, საკასაციო სასამართლოს განჩინების თანახმად, აღნიშნული ნახაზით ხელმძღვანელობა დაუშვებელია. მოპასუხეთა, მათ შორის, ნ. ც-იას, მიწის ნაკვეთს წყლის დინება არ აზიანებს მაშინ, როცა მ. ჭ-იას უძრავი ქონება აღნიშნული არხის დენის შედეგად ზიანდება.

აბაშის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 სექტემბრის განჩინებით ნ. ც-იასა და მ. ჭ-იას სარჩელები გაერთიანდა ერთ წარმოებად. ამავე სასამართლოს 2001 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ც-იას სარჩელი წყლის არხების მ. ჭ-იას, ჟ. ც-იასა და ა. ჭ-იას ნაკვეთების საზღვართან გათხრის შესახებ დაკმაყოფილდა, ხოლო მ. ჭ-იას უარი ეთქვა მოპასუხეთა მიმართ თანხის - 20000 ლარის დაკისრებაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ჭ-იამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

აღნიშნული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ, რა დროსაც საქმის განხილვისას მ. ჭ-იამ რამდენჯერმე დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა მეპასუხეებს - ნ. ც-იას, ს. ც-იას, გ. ა-იას, ი. რ-უას, მ. ჭ-იას, ე. ჭ-იასა და თ. ც-იას დაეკისროთ მათი უკანონო მოქმედებით მიყენებული მორალური ზიანის - 5000 ლარის გადახდა, ხოლო მატერიალური ზიანის ოდენობა ანაზღაურდეს ექსპერტიზის მიერ განსაზღვრული ოდენობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო ნ. ც-იას შუამდგომლობა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა, მ. ჭ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა აბაშის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წლის 31 იანვრის განჩინებით, აპელანტის ავადმყოფობის გამო, საქმის წარმოება შეჩერდა ორი თვით. მხარეს განემარტა, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი ვალდებული იქნებოდა, დაენიშნა წარმომადგენელი, ვინაიდან სასამართლო განაახლებდა საქმის წარმოებას. აპელანტს წარმომადგენელი არ დაუნიშნავს და ამავე სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის განჩინებით საქმის წარმოება განახლდა. სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2008 წლის 15 მაისს, შემდეგ კი მოსამართლის დღესთან დაკავშირებით მისი განხილვა გადაიდო 2008 წლის 22 მაისისათვის. აღნიშნულის თაობაზე აპელანტს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 75-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პირადად ეცნობა სასამართლოს შენობაში და მან უარი განაცხადა უწყების ჩაბარებაზე. სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე - 2008 წლის 22 მაისს მ. ჭ-ია არ გამოცხადებულა და არც გამოუცხადებლობის მიზეზი უცნობებია სასამართლოსათვის. სააპელაციო პალატის მითითებით, 2008 წლის 15 მაისს წარადგინა 2008 წლის 17 თებერვალს გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რაც საქმის განხილვის გადადების საფუძველად ვერ მიიჩნევა, რადგან მ. ჭ-იას ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით საქმის წარმოება მანამდე შეჩერებული იყო და ამ დროის განმავლობაში აპელანტს უნდა დაენიშნა წარმომადგენელი. ამასთან, აღნიშნულ ცნობაში პირდაპირ არ იყო მითითებული სასამართლო სხდომის დღისათვის მ. ჭ-იას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ზემოხსენებული სამედიცინო ცნობა აპელანტმა სასამართლოში წარადგინა რა პირადად, მას სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შესაძლებლობაც ჰქონდა. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 242-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მოწინააღმდეგე მხარის - ნ. ც-იას შუამდგომლობა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე საფუძველიანია.

სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მ. ჭ-იამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ სასამართლოს მთავარი სხდომა ჩაინიშნა 2008 წლის 15 მაისს, მოსამართლის დღესთან დაკავშირებით, საქმის განხილვა გადაიდო 2008 წლის 22 მაისს, რის თაობაზეც მ. ჭ-იას ეცნობა სასამართლო შენობაში და მან უწყების ჩაბარებაზე უარი განაცხადა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით პალატამ არასწორად ჩათვალა, რომ მხარეს უწყება ჩაჰბარდა და მისი გამოუცხადებლობის გამო გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მცდარია სასამართლოს დასკვნა 2008 წლის 27 თებერვლის ცნობასთან მიმართებით, კერძოდ, ცნობაში მითითებული გარემოებები არ ასახავს აპელანტის ჯანმრთელობის მდგომარეობას 22 მაისისათვის; ასევე, რადგან მ. ჭ-ია გამოცხადდა 2008 წლის 15 მაისს ჩაინიშნულ სხდომაზე, მას შეეძლო 22 მაისის სხდომაზე გამოცხადებაც. სასამართლოს წინასწარ უნდა ეცნობებინა მხარისათვის სასამართლო სხდომის გადადების შესახებ. სააპელაციო სასამართლოს კურიერმა 2008 წლის 13 მაისს სადამოს ფოსტას ჩააბარა გზავნილი სასამართლო სხდომის გადადების შესახებ, რომელიც 2008 წლის 14 მაისს იყო თბილისის ფოსტაში და ფოსტის მუშაკმა აღნიშნული შეტყობინება მ. ჭ-იასთან მიიტანა 15 მაისს - მაშინ, როცა იგი უკვე ქ.ქუთაისში იმყოფებოდა, ამდენად სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადანიშნვის თაობაზე სასამართლო შეტყობინება მხარეს არ ჩაჰბარებია და აღნიშნული ქმედებით მ. ჭ-იას მიადგა ზიანი. 2008 წლის 15 მაისს მ. ჭ-იას სასამართლოს შენობაში უწყება არ ჩაჰბარებია, რადგანაც სხდომის სხვა დროისათვის გადადებით აღმფოთებულ მხარეს სასამართლო მანდატურმა დაატოვებინა შენობა და მისთვის სხდომის ახალი დროის თაობაზე ცნობილი არ გამხდარა. სასამართლომ არასწორად მიუთითა, რომ მ. ჭ-იამ წარადგინა 2008 წლის 27 თებერვალს გაცემული ცნობა თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რადგან აღნიშნული ცნობა იყო არა მ. ჭ-იას, არამედ მისი ძმის სახელზე გაცემული. 2008 წლის 15 მაისს სააპელაციო სასამართლოში დატოვებული #318 განცხადებით დასტურდება, რომ სასამართლო პროცესი არ ჩატარდა მოსამართლეთა არყოფნის გამო. აღნიშნულ განცხადებაში არ არის მითითებული სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე. სააპელაციო პალატამ არასწორად ჩათვალა, რომ მ. ჭ-იასათვის სასამართლოს სხდომის შესახებ ცნობილი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად და არასწორად გამოიტანა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივნისის განჩინებით აწ გარდაცვლილი ნ. ც-იას უფლებამონაცვლედ საქმეში - ნ. ც-იას სარჩელის გამო ქ. ც-იას, მ. და ა. ჭ-იების მიმართ საერთო სარგებლობის წყლის არხის აღდგენის, ასევე, მ. ჭ-იას სარჩელის გამო ნ. ც-იასა და სხვათა მიმართ ნივთის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის ნაწილში - ჩაება ხ. შ-ია. ამავე სასამართლოს 2009 წლის 7 სექტემბრის განჩინებით მ. ჭ-იას საკასაციო საჩივარი ნ. ც-იას მიმართ ზიანის ანაზღაურების ნაწილში დარჩა განუხილველად, ხოლო 2010 წლის 2 თებერვლის განჩინებით გარდაცვლილი თე. ც-იას უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება გ. კ-ია.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მ. ჭ-იას სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნული იყო 2008 წლის 15 მაისს.

მ. ჭ-ია 2008 წლის 15 მაისს სააპელაციო სასამართლოში გამოცხადდა, თუმცა, მოსამართლის დღის გამო, მოცემული საქმის განხილვა გადაიდო 2008 წლის 22 მაისისათვის. აპელანტს წარედგინა სასამართლო უწყება სასამართლოს მთავარი სხდომის 2008 წლის 22 მაისს, 15.00 საათზე დაინიშნის შესახებ, თუმცა მან უწყების მიღებაზე უარი განაცხადა.

სააპელაციო პალატის 2008 წლის 22 მაისის სხდომაზე მ. ჭ-ია არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა სასამართლოს არ აცნობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ჭ-იას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ მისთვის 2008 წლის 22 მაისის სასამართლო სხდომის შესახებ ცნობილი არ იყო, კერძოდ:

მოცემული საქმის მასალებში წარმოდგენილია მოსამართლის თანაშემწე ვ. ხ-მის მიერ ხელმოწერილი სასამართლო უწყება და ამავე მოსამართლის თანაშემწის, მანდატურის სამსახურისა და

ცვლის უფროსების მიერ ხელმოწერილი 2008 წლის 15 მაისის აქტი, რომელთა შინაარსით დასტურდება, რომ 2008 წლის 15 მაისს მ. ჭ-ია გამოცხადდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. მას განემარტა საქმის განხილვის გადადების მიზეზი და ეცნობა, რომ საქმის განხილვა გაიმართებოდა 2008 წლის 22 მაისს, 15.00 საათზე, თუმცა მ. ჭ-იამ წარდგენილი სასამართლო უწყების ჩაბარებაზე უარი განაცხადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, სასამართლომ დასაბარებელ პირს უწყება შეიძლება ჩააბაროს სასამართლოს შენობაში. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც სასამართლოს უბრუნდება. ასეთ შემთხვევაში უწყება ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება და სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებით მხარეს სასამართლო უწყება ჩააბაროს სასამართლოს შენობაში. სასამართლო უწყების მიღება მხარის საპროცესო ვალდებულებას წარმოადგენს და მის მიღებაზე უარის თქმას მხარის ინტერესებისათვის საზიანო შედეგი მოჰყვება. კერძოდ, სასამართლო უწყება მხარისათვის კანონით დადგენილი წესით ჩაბარებულად მიიჩნევა მაშინაც, თუ იგი უწყების მიღებაზე უარს განაცხადებს და ასეთ დროს სასამართლოს სრული უფლება გააჩნია, განიხილოს საქმე, მიუხედავად იმისა, ცნობილია თუ არა მხარისათვის საქმის განხილვის დროის შესახებ. მხარის მიერ სასამართლო უწყების ჩაბარებაზე უარის თქმისას უწყების ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი წერილობით დააფიქსირებს მხარის უარს, რაც სასამართლო უწყების ჩაბარების სანაცვლოდ დაერთვება საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, მ. ჭ-იამ 2008 წლის 15 მაისს სასამართლო უწყების ჩაბარებაზე უარი განაცხადა, რაც სააპელაციო პალატამ მხარისათვის უწყების ჩაბარებად სწორად ჩათვალა. ამასთან, 2008 წლის 15 მაისის აქტიდან ირკვევა, რომ 2008 წლის 22 მაისისათვის მ. ჭ-იას საქმის განხილვის გადადების თაობაზე განემარტა. ზემოხსენებული აქტის საწინააღმდეგო გარემოებად საკასაციო სასამართლო ვერ მიიჩნევს მ. ჭ-იას მითითებას, რომ 2008 წლის 15 მაისს მან განცხადება წარადგინა სააპელაციო პალატაში, სადაც დააფიქსირა სასამართლო სხდომის გადადების მიზეზი, ხოლო სასამართლო სხდომის დანიშვნის თაობაზე ამ განცხადებაში საუბარი არ ყოფილა. მხარის აღნიშნული განცხადება სასამართლოს უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი დოკუმენტის გამაბათილებელ საკმარის მტკიცებულებას არ წარმოადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. დასახელებული ნორმა განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოში აპელანტი მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივ შედეგს და ადგენს, რომ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდება, თუკი აპელანტი, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება სასამართლოში და არც თავისი გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოს არ აცნობებს. ამასთან, ამავე კოდექსის 242-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, თუ მხარის მიმართ ერთხელ უკვე არის გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, კანონით დადგენილი წანამძღვრების არსებობისას შესაძლებელია მიღებულ იქნეს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მ. ჭ-ია 2008 წლის 22 მაისის სასამართლოს მთავარ სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოს არ აცნობა, ამავდროულად, მოცემულ საქმეზე მ. ჭ-იას მიმართ 2006 წლის 31 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლოს მიერ უკვე იყო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რის გამოც განსახილველ შემთხვევაში არსებობდა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი საფუძველი.

გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კასატორის არგუმენტები, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი 2008 წლის 27 თებერვლის სამედიცინო ცნობა არასწორად მიიჩნია მ. ჭ-იას ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველად მაშინ, როცა აღნიშნული დოკუმენტი ეხებოდა კასატორის ძმის ჯანმრთელობის მდგომარეობას. გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების დასაბუთება ეფუძნება არა მითითებულ მტკიცებულებას, არამედ საქმის განხილვაზე მ. ჭ-იას არასაპატიოდ გამოუცხადებლობისა და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის შეუყობინებლობის ფაქტს.

აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ნ. ც-იას უფლებამონაცვლის დადგენის მიზნით წარმოდგენილ იქნა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც ირკვევა, რომ 2007 წლის 27 სექტემბერს ნ. ც-იამ აბაშაში, ... ქ.#2-ში მდებარე, კუთვნილი უძრავი ნივთი მიჰყიდა ხ. შ-იას. ამდენად, 2008 წლის 22 მაისს ნ. ც-იას აღარ ეკუთვნოდა ის მიწის ნაკვე-

თი, რომლის ხელყოფის აღკვეთასაც იგი მოითხოვდა, თუმცა აღნიშნული გარემოება სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერებაზე ვერ იმოქმედებს, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ მხარის საპროცესო უფლებამონაცვლეზე ამ მხარის საპროცესო უფლება-მოვალეობანი გადადის იმავე მოცულობით, რაც ეს თავად მხარეს გააჩნდა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ხ.შ-იასათვის სავალდებულოა ნ. ც-იას მიერ შესრულებული საპროცესო მოქმედებები, მათ შორის, ნ. ც-იას შუამდგომლობა სადავო განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ და ხ.შ-იას ნაცვლად ამ შუამდგომლობის ნ. ც-იას მიერ წარმოდგენა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივ საფუძვლად ვერ მიიჩნევა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სააპელაციო პალატისათვის 2008 წლის 22 მაისს ნ. ც-იასა და ხ.შ-იას შორის 2007 წლის 27 სექტემბერს დადებული გარიგების თაობაზე ცნობილი არ ყოფილა, შესაბამისად, იგი სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას ამ გარემოებას ვერ გაითვალისწინებდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ჭ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

განჩინება

#ას-1022-1294-09

25 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: დავალიანების გადახდევინება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 17 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა შპს „ა-ის“ დირექტორმა და მოითხოვა შპს „ს. რ-ის“ მიმართ დავალიანების გადახდევინების შესახებ გადახდის ბრძანების მიღება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის გადახდის ბრძანებით შპს „ს. რ-ს“ შპს „ა-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 17 103.80 ლარის გადახდა.

მოპასუხე შპს „ს. რ-ის“ მიერ კანონით განსაზღვრულ ვადაში შეტანილ იქნა შესაგებელი (პროტესტი), რის საფუძველზეც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინებით გაუქმდა 2008 წლის 26 დეკემბრის გადახდის ბრძანება და დადგინდა საქმის განხილვა საერთო სასარჩელო წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს „ა-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „ს. რ-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 17103 ლარისა და 80 თეთრის გადახდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს „ს. რ-მ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საქმის ზეპირი განხილვისას, რომელიც დაწინაურებული იყო 2009 წლის 17 ივნისის 14 საათზე, არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე შპს „ა-ი“, რომელიც სასამართლო სხდომის შესახებ გაფრთხილებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამასთან, გამოცხადებულ მხარეს სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ არ უცნობებია.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა აპელანტის წარმომადგენელმა მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „ა-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2009 წლის 7 ივლისის მოწინააღმდეგე მხარემ შპს „ა-მა“ საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. საჩივრის ავტორმა მოითხოვა 2009 წლის 17 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება და მიუთითა, რომ მათ არ ჩაჰბარებიათ უწყება 2009 წლის 17 ივნისის, 14.00 საათზე სასამართლო სხდომის დაწინაურების შესახებ, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივლისის განჩინებით შპს „ა-ის“ საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად და დაინიშნა მისი ზეპირი განხილვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 სექტემბრის განჩინებით შპს „ა-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო მიუთითა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება საჩივრის არგუმენტი იმის შესახებ, რომ 2009 წლის 17 ივნისის, 14.00 საათზე, დაწინაურებულ სხდომაზე გამოუცხადებელი მხარე - შპს „ა-ი“ მოწვეული არ იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. შპს „ა-ის“ წარმომადგენელმა ვერც საჩივრის ზეპირი განხილვისას დაამტკიცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული იმ გარემოებების (კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიობა) არსებობა, რაც შეიძლება საფუძველად დასდებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის განხილვის განახლებას. ამ გარემოებათა მტკიცების ტვირთი კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეს ეკისრება.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შპს „ა-მა“ და აღნიშნა, რომ მათ ჩაჰბარდათ მხოლოდ სააპელაციო საჩივარი, უწყება სასამართლო პროცესის შესახებ არ ჩაჰბარებიათ. გზავნილი მიიტანა კურიერმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კი ითვალისწინებს უწყების ჩაბარების ტექნიკურ საშუალებებსაც, რაც სასამართლოს არ გაუკეთებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ შპს „ა-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.

ამავე კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მათ კანონით დადგენილი წესით არ გაეგზავნათ უწყება სასამართლო პროცესის დაწინაურების შესახებ.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 ივნისის მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ იყო გაფრთხილებული სასამართლოს სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ.

დადგენილია, რომ შპს "ს. რ-ის" სააპელაციო საჩივრის განხილვა დანიშნული იყო 2009 წლის 17 ივნისს, 14.00 საათზე. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის შპს „ა-ის“ დირექტორ ა. ო-შვილს 2009 წლის 18 მაისს, ჩაჰბარდა უწყება-საჩივარი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ 2009 წლის 17 ივნისს, 14.00 საათზე დანიშნულ სხდომაზე გამოუცხადებელი მხარე - შპს „ა-ი“ მოწვეული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, შპს „ა-ს“ გაეგზავნა უწყება-საჩივარი, საიდანაც ჩანს, რომ მათ გაეგზავნათ სააპელაციო საჩივრის ასლი, თუმცა არ ჩანს სასამართლო პროცესზე მათი მოწვევის შესახებ. უწყებაზე არ არის აღნიშნული სასამართლო პროცესის დრო და ადგილი.

ამდენად, მხოლოდ გზავნილზე გაკეთებული წარწერით (უწყება-საჩივარი) და რეესტრის ფურცელზე გაკეთებული ჩანაწერით სხდომის ჩატარების შესახებ, რომელსაც ხელს არ აწერს შპს „ა-ის“ დირექტორი, შეუძლებელია დადასტურდეს მისი კანონით დადგენილი წესით, სასამართლო პროცესზე მოწვევის ფაქტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ შპს „ა-ის“ გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე არასწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად და მის მიმართ არასწორად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შპს „ა-სი“ სასამართლო სხდომაზე მოწვეული არ იყო კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს „ა-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლები

განჩინება

#ას-67-64-2010

19 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

სს "ს-მა" სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. კ-შვილისა და ი. დ-მის უფლებამონაცვლე ც. კ-მის მიმართ მოპასუხეთა შორის 2007 წლის 27 თებერვალს დადებული, ქ. ბათუმში, ... ქ. #78/88-ში მდებარე 24,4 კვ.მ-ს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და უძრავი ნივთის მოსარჩელის სახელზე აღრიცხვის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 1997 წლის 27 თებერვლის #83 დადგენილებით, ქ. ბათუმში, ... 78/88 საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის მთლიანი ფართი - 1200 კვ.მ გამოეყო ჯანდაცვის სამინისტროს რესპუბლიკურ, სტომატოლოგიურ და ბავშვთა პოლიკლინიკას, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სს

“ს-ი”. აღნიშნული ფართის სადავო ნაწილი უკანონოდ მიითვისა დ.კ-შვილმა, რაზეც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სასამართლო დავა. 2007 წლის 27 თებერვალს დ.კ-შვილმა თვალთმაქცურად მიჰყიდა სადავო ფართი სს “ს-ის” ყოფილ თანამშრომელ ი.დ-ძეს, რომლისთვისაც ცნობილი იყო აღნიშნულ უძრავ ნივთთან დაკავშირებული სასამართლო დავის თაობაზე, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 56-ე მუხლების შესაბამისად გარიგება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 27 თებერვალს დ. კ-შვილსა და აწ გარდაცვლილ ი. დ-ძეს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულებიდან ამოირიცხა ქ.ბათუმში, ... ქ#78/88-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი 24,4 კვ.მ და ამ ფართზე აღიარებულ იქნა სს “ს-ის” საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უფლებით.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ც. კ-ძემ, რაც ამავე სასამართლოს 2009 წლის 6 ივლისის განჩინებით დაკმაყოფილდა, გაუქმდა 2009 წლის 25 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა.

მოპასუხე ც.კ-ძემ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა – ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი დ. კ-შვილსა და აწ გარდაცვლილ ი. დ-ძეს შორის 2007 წლის 27 თებერვალს დადებული, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულებიდან ამოირიცხა ქ.ბათუმში, ... ქ#78/88-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი 24,4 კვ.მ და ამ ფართზე აღიარებულ იქნა სს “ს-ის” საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უფლებით.

საქალაქო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება ც. კ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქალაქო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2009 წლის 25 მაისის მოპასუხე ც. კ-ძის მიერ სს „ს-ის“ სარჩელზე შესაგებლის წარუდგენლობის გამო მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამავე სასამართლოს 2009 წლის 6 ივლისის განჩინებით ც. კ-ძის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა 2009 წლის 25 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა. სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2009 წლის 21 ივლისს 16.00 საათისათვის. მხარეები სასამართლო სხდომის დღის შესახებ გაფრთხილებულ იქნენ ხელწერილით და განემარტათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე მხარეების გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო არასაპატიო მიზეზით, რის გამოც სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

დამატებით სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის სხდომის დღის შესახებ მხარეები (მოსარჩელე, მისი წარმომადგენელი, მოპასუხე ც. კ-ძე, მისი წარმომადგენელი დ. ჭ-ძე, დ. კ-შვილის წარმომადგენელი მ. მ-ძე) ხელწერილით გაფრთხილებულ იქნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 72-ე მუხლის „ზ“ პუნქტის დაცვით გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 241-ე მუხლებით და არ გაიზიარა აპელანტ ც. კ-ძის წარმომადგენელ დ. ჭ-ძის განმარტება, რომ იგი 2009 წლის 21 ივლისს საქმის განხილვაზე ვერ გამოცხადდა ამავე დღეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე სხვა პროცესში მონაწილეობის გამო. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად აპელანტმა წარადგინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ გ. ჩ-ძის სახელზე ამოწერილი უწყება 2009 წლის 21 ივლისის სასამართლო მთავარი სხდომის შესახებ და ამავე სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგენილი მიმართვა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 2009 წლის 21 ივლისს 13.00 საათზე დანიშნული იყო ნ. ჩ-ბას სააპელაციო საჩივრის განხილვა ნ. ლ-ძისა და გ. ჩ-ბას წინააღმდეგ, აღნიშნული საქმის განხილვა დაიწყო 14.15 საათზე, ხოლო დასრულდა 14.50 საათზე. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის ზემოხსენებული არგუმენტი და ბათუმის საქალაქო სასამართლოში მისი გამოუცხადებლობა საპატიოდ არ ჩათვალა, რადგან აპელანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება, რომ თავად დ. ჭ-ძე მონაწილეობას იღებდა 2009 წლის 21 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაში. გარდა ამისა, მას გამოუცხადებლობის თაობაზე სასამართლოსათვის წინასწარ არ უცნობებია. ამასთან, პა-

ლატამ მიუთითა, რომ წარმომადგენლის მიერ საქმის განხილვაზე გამოცხადების შეუძლებლობისას თავად ც. კ-მე ვალდებული იყო, გამოცხადებულიყო პირველი ინსტანციის სასამართლოში და მიეღო მონაწილეობა მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის განხილვაში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ც. კ-მის წარმომადგენლებმა - გ. კ-ანმა და დ. ჭ-მემ გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება არასწორად იქნა მიჩნეული განმეორებითად იმის გამო, რომ ამავე საქმეზე 2009 წლის 25 მაისს უკვე იქნა მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო. სასამართლომ უგულებელყო ის გარემოება, რომ აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა, რადგან დადგინდა, რომ მოპასუხეს შესაგებელი კანონით დადგენილ ვადაში ჰქონდა წარდგენილი და სასამართლოს იგი კაცელარის მოხელეთა დაუდევრობის გამო არ გადაეცა. ამდენად, 2009 წლის 21 ივლისის მიღებულ უნდა ყოფილიყო პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც გასაჩივრებოდა არა სააპელაციო წესით, არამედ იმავე სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით.

პალატამ საქმის განხილვის თაობაზე დ. კ-შვილს არ აცნობა მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი საქმეში მხარე იყო. სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა და არ გამოარკვია, თუ რომელ კონკრეტულ გარიგებას ფარავდა სადავო ხელშეკრულება და დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს არარსებულ სამართლებრივ დასაბუთებას. ამდენად, დავის გადაწყვეტის დროს სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მეორე ნაწილით. პალატამ არ გაითვალისწინა, რომ სარჩელში მითითებული, დადასტურებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, ამდენად, არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მეორე ნაწილი, რაც ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კასაციის საფუძველს წარმოადგენს. სადავო ფართის მესაკუთრე ი. დ-მე გარდაიცვალა რა სარჩელის აღძრამდე, სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, იყო თუ არა დადგენილი საქმეზე უფლებამონაცვლეობა ც. კ-მის მიმართ და ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე შეეჩერებინა საქმის წარმოება მის დადგენამდე. პალატას უნდა ემსჯელა იმაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ 2009 წლის 21 ივლისს, 16 საათზე მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ კანონით დადგენილი წესით მოპასუხეებს არ აცნობა, კერძოდ, არ გამოიტანა განჩინება მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ, არ მიუთითა სასამართლოს დასახელებაზე, რომელ საქმეზე იყვნენ ისინი მოწვეულნი, დროსა და ადგილზე, აგრეთვე, ვალდებულებაზე გამოუცხადებლობის მიზეზებზე სასამართლოსათვის შეტყობინების შესახებ. ასეთ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ უნდა მიეღო, ხოლო სააპელაციო სასამართლოს იგი უნდა გაეუქმებინა. სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა რა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მან გადაწყვეტილება ფაქტობრივად გამოიტანა საქმეში სავალდებულო წესით ჩაბმულ მეორე მოპასუხის - დ. კ-შვილის მიმართაც, მაშინ, როდესაც იგი საქმეში მხარედ არ ჩაუბამს. აღნიშნულით სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლის მოთხოვნა. პირველი ინსტანციის სასამართლომ 2009 წლის 6 ივლისის სხდომაზე გააუქმა რა პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დაუსაბუთებლად გადადო საქმის განხილვა სხვა დროისათვის, რასაც კასატორისათვის საზიანო გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ც. კ-მის წარმომადგენლების - გ. კ-სა და დ. ჭ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევა არ მომხდარა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა. ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით კი, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებასა თუ განჩინებას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის საფუძველით გააუქმებს მხოლოდ მაშინ, როცა საპროცესო ნორმების დარღვევას არასწორი გადაწყვეტილე-

ბის მიღება მოჰყვება, ხოლო მხარის მიერ ისეთი სახის საპროცესო დარღვევებზე მითითებისას, რომლებიც დავის გადაწყვეტის სამართლებრივ შედეგზე გავლენას ვერ ახდენს, სააპელაციო სასამართლოს განჩინება დარჩება უცვლელად.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება არასწორად ჩათვალა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებულ განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებად მხოლოდ იმის გამო, რომ მას წინ უსწრებდა მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2009 წლის 25 მაისს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნული საკითხის შეფასებისას სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ 2009 წლის 25 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, კერძოდ, მოპასუხემ შესაგებელი სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში დროულად შეიტანა, ხოლო სასამართლოს იგი სასამართლო კანცელარიის მხრიდან შეფერხების გამო დროულად არ გადაეცა.

ამდენად, დასაბუთებულია კასატორის მოსაზრება, რომ მოპასუხე ც.კ-ძის გამოუცხადებლობის მოტივით მიღებული, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრებულიყო იმავე სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით, რაც სააპელაციო პალატას არ შეუფასებია. თუმცა აღნიშნული გარემოება 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინების გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენს. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებულ საპროცესო დარღვევას სააპელაციო პალატის მიერ უკანონო გადაწყვეტილების მიღება არ მოჰყვოდა და დავის განხილვის სამართლებრივ შედეგზე გავლენა არ მოუხდენია, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება, როდესაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად, უცვლელად დატოვა იგი იმ მოტივით, რომ მოპასუხე ც.კ-ძე და მისი წარმომადგენელი დ. ჭ-ძე საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდნენ და არც აღნიშნულის შესახებ სასამართლოს არ აცნობეს. მითითებული ნორმის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

კანონის დასახელებული დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო საქმის განხილვაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, თუ მოპასუხე სარწმუნოდ დაადასტურებს, რომ სასამართლო პროცესზე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა და ობიექტურად არ შეეძლო, სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის თაობაზე შეეტყობინებინა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასაბუთებას, რომ სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი, მათ შორის, მოპასუხის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობისა და აღნიშნულის შესახებ სასამართლოს შეუტყობინებლობის საპატიო გარემოებების არსებობა ც.კ-ძემ ვერ დაადასტურა.

საფუძველს მოკლებულია კასატორის არგუმენტი, რომ მოპასუხე მხარე 2009 წლის 21 ივლისის სასამართლო სხდომის თაობაზე კანონის მოთხოვნათა დაცვით გაფრთხილებული არ ყოფილა, ვინაიდან საქმის მასალებში წარმოდგენილი ხელწერილის შესაბამისად, მხარეებს, მათ შორის, მოპასუხე ც. კ-ძესა და მის წარმომადგენელ დ.ჭ-ძეს წერილობით ეცნობათ სასამართლო სხდომის 2009 წლის 6 ივლისიდან 21 ივლისის 16.00 საათისათვის გადადების თაობაზე და განემარტათ სასამართლოში მათი გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენს კასატორის არგუმენტი, რომ სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას არ გამორკვეულა, იურიდიულად ამართლებდა თუ არა შპს "ს-ის" სარჩელში დასახელებული გარემოებანი მის სასარჩელო მოთხოვნას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულიად ითვლება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა უნდა განიმარტოს იმდაგვარად, რომ მხარეს სურვილი არ გააჩნია, უარყოს მოსარჩელის პრეტენზიები მის მიმართ და თანახმაა, სასამართლომ გაიზიაროს მისი მოთხოვნა.

ნები. ამავდროულად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება ეფუძნება დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების იურიდიულ შეფასებას.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა რა მოპასუხის არასაკატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ფაქტი, დადასტურებულად ჩათვალა მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებანი და კანონიერად მიიჩნია, რომ აღნიშნული ფაქტები, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, იურიდიულად ამართლებს ც.კ-მის სასარჩელო მოთხოვნას 2007 წლის 27 თებერვალს დ.კ-შვილსა და სს "ს-ის" ყოფილ თანამშრომელ ი.დ-მეს შორის თვალთმაქცურად დადებული გარიგების ბათილად ცნობის შესახებ.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კასატორის არგუმენტი სააპელაციო პალატის მიერ თანამოპასუხე დ. კ-შვილს საპროცესო უფლებების დარღვევის შესახებ, ვინაიდან აღნიშნულთან დაკავშირებით პრეტენზიების წარდგენის უფლება გააჩნია არა კასატორ ც.კ-მეს, არამედ, თავად დ.კ-შვილს, რაც ამ უკანასკნელს არ განუხორციელებია.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატას უნდა გამოერკვია, იყო თუ არა ც. კ-მე თავისი გარდაცვლილი მეუღლის - ი. დ-მის უფლებამონაცვლე, რადგან აღნიშნული საკითხი არც ერთი ინსტანციის სასამართლოში სადავოდ არ გამხდარა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ც. კ-მის წარმომადგენლების - გ. კ-სა და დ. ჭ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შედეგები. შესაგებლის წარდგენის ვადა

განჩინება

#ას-72-69-2010

19 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ც-უამ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. ც-მის მიმართ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, სესხის ძირითადი თანხის - 10000 აშშ დოლარისა და 2007 წლის 10 ივლისიდან ყოველთვიურად დარიცხული სარგებლის - 2000 აშშ დოლარის, სულ - 12000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2007 წლის 9 ივნისს რ. ც-მემ აღიარა ა. ც-უას წინაშე ვალის - 10 000 აშშ დოლარის არსებობა. მოვალის დავალიანება წარმოიშვა 2006 წლის ივნისში, როდესაც კრედიტორმა მას თანხა გადასცა ავტომატურად შესაძენად. მოვალეს სესხი 2007 წლის 10 ივლისამდე უნდა დაებრუნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვიურად დაერიცხებოდა ძირითადი თანხის 2%. მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება დროულად არ შეასრულა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივლისს, მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში შესაგებლის შეუტანლობის გამო, მიღებულ იქნა დაუსწრებელი

გადაწყვეტილება, რომლითაც ა.ც-უას სარჩელი დაკმაყოფილდა, რ.ც-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 12000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა რ.ც-ძემ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებით რ.ც-ძის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე რ.ც-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის განჩინებით რ.ც-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: პალატამ დაადგინა, რომ რ.ც-ძეს ა.ც-უას სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გზავნილი 2008 წლის 23 ივნისს მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე გაეგზავნა, წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად განესაზღვრა 10 დღის ვადა და სასამართლო გზავნილი პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 27 ივნისს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. რ.ც-ძეს სასამართლოს მიერ დანიშნულ 10 დღის ვადაში სასამართლოსათვის წერილობითი შესაგებელი სარჩელთან დაკავშირებით არ წარუდგენია და არც მისი წარუდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ არ უცნობებია. 2008 წლის 18 ივლისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით 2008 წლის 4 აგვისტოს რ.ც-ძემ წარადგინა საჩივარი, ხოლო 2008 წლის 2 სექტემბერს დაზუსტებული საჩივარი, რომლითაც მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი, ჩხოროწყუს ამბულატორიულ-კლინიკური გაერთიანების დირექტორის მიერ 2008 წლის 8 ივლისს გაცემული ცნობის თანახმად, 2008 წლის 4 ივლისიდან 8 ივლისის ჩათვლით რ.ც-ძე მკურნალობას გადიოდა ჩხოროწყუს პოლიკლინიკაში მარჯვენა თირკმლის ჭვალის დიაგნოზით. საქმეში ა.ც-უას წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი, ჩხოროწყუს რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორის 2008 წლის 6 ნოემბერს გაცემული ცნობით, 2008 წლის 27 ივნისიდან 8 ივლისამდე რ.ც-ძეს საავადმყოფოსათვის არ მიუშვრთავს და, შესაბამისად, სტაციონალური მკურნალობა არ გაუვლია. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე თავად აპელანტმა დაადასტურა ის გარემოება, რომ არც საავადმყოფოში და არც პოლიკლინიკაში მას სტაციონარული მკურნალობა არ გაუვლია. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლით და მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო სასამართლოს მიერ ზეპირი განხილვის გარეშე მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების აუცილებელი წინაპირობებია, რომ მოპასუხე გაფრთხილებული იყოს მის მიერ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შესახებ, შესაგებლის წარუდგენლობა გამოწვეული უნდა იყოს არასაპატიო მიზეზით და სარჩელში მითითებული გარემოებები უნდა ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ რ.ც-ძემ პირადად ჩაიბარა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები. ამასთან, იგი სარჩელზე თანდართული გზავნილის მეშვეობით გაფრთხილებულ იქნა სარჩელთან დაკავშირებით შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა გამოწვეულ იქნა მისი ავადმყოფობით, რაც დასტურდება საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას რ.ც-ძის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობით, თუმცა ზემოთაღნიშნული ნორმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სამედიცინო ცნობა უნდა შეიცავდეს პირდაპირ მითითებას მხარის პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონალური მკურნალობა. განსახილველ შემთხვევაში მხარემ სასამართლოს განუმარტა, რომ სტაციონალურ მკურნალობას არ გადიოდა და იმყოფებოდა სახლში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის წარმოება განახლდეს მხოლოდ იმიტომ, რომ აპელანტი ავადმყოფობდა და არ შეეძლო შესაგებლის წარდგენა სასამართლოში. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის, 233-ე მუხლის მესამე ნაწილის, 65-ე მუხლისა და 215-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი სათანადოდ მტკიცებულებები, რაც უტყუარად დაადასტურებდა შესაგებლის წარუდგენლობის საპატიოობას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება რ.ც-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოპასუხე კანონით გათვალისწინებული სათანადო წესით შესაგებლის წარდგენის ვადებისა და მისი წარუდგენლობის არასაპატიო მიზეზის შესახებ გაფრთხილებული არ იყო. აღნიშნული მოქმედებები მოსამართლეს არ შეუსრულებია,

არამედ შეასრულა მისმა თანაშემწემ - ე. კ-შვილმა, რაც არღვევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლს და წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს, რადგან თანაშემწის მიერ გაგზავნილი წერილი არ წარმოადგენს იმ პროცესუალურ დოკუმენტს, რომლის საფუძველზე მოპასუხეს ევალება შესაგებლის წარდგენა. გზავნილის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება ვადის განსაზღვრის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე არსებობს ერთმნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა, რომელსაც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება. იგი მიღებულ იქნა საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით, ვინაიდან სასამართლოს არ გამოუყენებია ნორმა, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ კასატორმა აღიარა 8000 ლარის სესხის არსებობა. აღნიშნული აღიარება მოხდა იძულების წესით, რის შესახებაც რ.ც-მემ უკვე მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს, ხოლო რეალურად გააჩნია ა. ც-უას ვალი - 3500 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ც-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორ რ.ც-მის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივლისისა და 12 ნოემბრის განჩინებების კანონიერების შემოწმებისას არ გამოიყენა და უგულებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის დანაწესი, კერძოდ:

ზემოხსენებული ნორმის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის პირველი წინადადების თანახმად, საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით მოსამართლე დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისთვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. ამავე კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით.

მითითებული კანონის დანაწესებიდან გამომდინარე, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოს ავალებს, საქმის განხილვისათვის მომზადების მიზნით განუსაზღვროს მოპასუხეს საპროცესო ვადა სარჩელით მის მიმართ წარდგენილი პრეტენზიებისათვის პასუხის გასაცემად - წერილობითი შესაგებლის შესადგენად. მოპასუხის წერილობითი შესაგებლის არსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი შედგენისათვის საჭირო სათანადო ვადა უნდა განისაზღვროს განჩინებით თვით საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ.

განსახილველ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ივნისის განჩინებით ა. ც-უას სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში, დადგინდა, რომ მოცემული საქმე უნდა მომზადდეს მთავარ სხდომაზე განსახილველად და მოპასუხეს გაეგზავნოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები, თუმცა საპროცესო ვადა ა.ც-უას სარჩელზე შესაგებლის წარსადგენად რ.ც-მეს განესაზღვრა არა სასამართლოს განჩინებით, არამედ - მოსამართლის თანაშემწის მიერ.

ამდენად, სააპელაციო პალატამ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაირღვა თუ არა სასამართლო გზავნილით რ. ც-მისათვის ა. ც-უას სარჩელზე შესაგებლის წარმოდგენის საპროცესო ვადის დადგენით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნა, რაც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

რ. ც-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების
გამოტანის დაუშვებლობა**

განჩინება

#ას-1009-1282-09

19 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
თ. თოდრია**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 19 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ა. ბ-მემ მოპასუხეების - ზ. პ-შვილისა და შ. ა-ძის მიმართ. საბოლოოდ, სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის შედეგად, მოსარჩელის მოთხოვნა ამგვარად ჩამოყალიბდა: ა) მოპასუხე ზ. პ-შვილს დაეკისროს 100 000 აშშ დოლარის, აგრეთვე, წლიური 20%-ის ოდენობით სარგებლის გადახდა, 1996 წლის სექტემბრიდან 2008 წლის მაისის ჩათვლით, რაც ჯამში შეადგენს 333 000 აშშ დოლარს; ბ) მოპასუხე შ. ა-ძეს დაეკისროს 72 000 აშშ დოლარის გადახდა, რომელიც მას არ გადაუხდია 2008 წლის 30 აგვისტომდე, 2005 წლის 20 მაისის სანოტარო აქტით გათვალისწინებული გრაფიკის მიხედვით.

სარჩელის თანახმად, 1996 წლის სექტემბერში შ. ა-ძემ ზ. პ-შვილისაგან ისესხა 150 000 აშშ დოლარი, 10 წლის ვადით. სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავდა შ. ა-ძის შვილის - ზ. ა-ძის სახელზე რიცხული ბინის 1/2 10 წლით. ზ. პ-შვილი 1994 წლიდან 1999 წლამდე მოსარჩელს თანამშრომელი და პარტნიორი იყო. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მას ვალად 100 000 აშშ დოლარი ერიცხებოდა, ყოველწლიური 20%-ის სარგებლით. მოსარჩელის მტკიცებით, მას და ზ. პ-შვილს შორის არსებობდა მოთხოვნის დათმობის შესახებ ზეპირი ხელშეკრულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით ა. ბ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე: ზ. პ-შვილი ა. ბ-ძის პარტნიორი იყო და მათ საერთო ბიზნესი გააჩნდათ;

2005 წლის 20 მაისის სესხის დაბრუნებისა და გირავნობის უზრუნველყოფის ხელშეკრულება ზ. პ-შვილსა და შ. ა-ძეს შორის დაიდო;

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ შ. ა-ძემ 1996 წლის სექტემბერში ზ. პ-შვილისაგან 150 000 აშშ დოლარი ისესხა, რომლის დაბრუნების ვალდებულება 2010 წლამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად იკისრა;

სესხის დროულად დაბრუნების გამწელების გამო, 2000 წლის 13 სექტემბერს, ზ. პ-შვილსა და შ. ა-ძის შვილს - ზ. ა-ძეს შორის საცხოვრებელი სახლის გირავნობის ხელშეკრულება გაფორმდა;

2007 წლის 10 ოქტომბერს ზ. ა-ძესა და ზ. პ-შვილის რწმუნებულს შორის გირავნობის გაუქმების შესახებ შეთანხმება გაფორმდა;

2006 წლის 3 ივნისს ა. ბ-ძესა და ზ. პ-შვილს შორის ხელშეკრულება-შეთანხმება შედგა, რომლის თანახმადაც მხარეებს ერთმანეთის მიმართ ვალი არ აქვთ, მთლიანად გასწორებული აქვთ ოფიციალური თუ არაოფიციალური ვალდებულებები და რაიმე პრეტენზიის დაყენების უფლება არც ერთ მხარეს აღარ აქვს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ ზ. პ-შვილს გააჩნდა ა. ბ-ძის ვალი (ძირითადი ვალი) 100 000 აშშ დოლარის ოდენობით. ამასთან, ა. ბ-ძესა და ზ. პ-შვილს შორის მოთხოვნის დათმობის (შ. ა-ძის მიმართ არსებული მოთხოვნის დათმობის) შესახებ ხელშეკრულება არ დადებულა. ყოველივე აღნიშნული კი ა. ბ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ა. ბ-ძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა და მისი გაუქმება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 სექტემბრის სხდომაზე არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე შ. ა-ძე, გამოცხადდა ზ. პ-შვილი, რის გამოც აპელანტმა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ იშუამდგომლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 სექტემბრის განჩინებით ა. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც მას უარი ეთქვა შ. ა-ძისათვის 72 000 აშშ დოლარის დაკისრებაზე, არ დაკმაყოფილდა, ამ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ბ-ძის საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა შ. ა-ძის მიმართ სასარჩელო მოთხოვნას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ბ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

კასატორის მტკიცებით, 2009 წლის 30 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე ზ. კ-შვილმა აღიარა, რომ შ. ა-ძის სესხში მისი წილობრივი მონაწილეობა 100 000 აშშ დოლარით განისაზღვრება, შესაბამისად, შ. ა-ძის მიმართ მოთხოვნა იურიდიულად გამართლებული იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 სექტემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდება მოწინააღმდეგე მხარე, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივანის ახსნა-განმარტებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლი, რომელიც ამავე კოდექსის 387.3, 372-ე მუხლების შესაბამისად გამოიყენება სააპელაციო ინსტანციით საქმის განხილვისას, ადგენს, რომ, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 სექტემბრის განჩინების გამოტანას საფუძვლად დაედო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომელიც, სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების იურიდიულად გაუმართლებლობის გამო, გამორიცხავს მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობას. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საპროცესო თავისებურებებიდან გამომდინარე, ა. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა არა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, არამედ იმის გამო, რომ აპელანტის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სააპელაციო საჩივრის ავტორის მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ დასკვნას. ა. ა-ძის სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს უშუალოდ ა. ბ-ძესა და შ. ა-ძეს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის შესახებ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებას. შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას ასეთი გარემოებები ვერც ჩაითვლებოდა დამტკიცებულად. სამოქალაქო კოდექსის 317.1 მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ვალდებულების წარმოშობის საფუძვლების არსებობის შესახებ ფაქტების დაუდგენლობა კი, თავის მხრივ, ვერ გამოიწვევს კრედიტორის (ა. ა-ძე) მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აპელანტს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე მართებულად უთხრა უარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ა. ბ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
 უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 2 სექტემბრის განჩინება;
 საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის შედეგები

განჩინება

#ას-104-99-2010

10 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, ფულადი ვალდებულების ვადის გადაცილების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 11 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. ი-შვილმა მოპასუხეების - ნ. უ-ავასა და დ. ჟ-იანის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: მოპასუხეებს დაეკისროთ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი თანხის - 3 000 აშშ დოლარისა და მასზე დარიცხული პროცენტის - 3 960 აშშ დოლარის, სულ 6 960 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ნოემბრის საოქმო განჩინებით დ. ჟ-იანის მიმართ მოთხოვნის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება. ამ შემთხვევაში საქმეზე წარმოების შეწყვეტას საფუძვლად დაედო ლ. ი-შვილის განმარტება, რომ დ. ჟ-იანს ვალდებულება შესრულებული ჰქონდა - მან გადაიხდა 1 500 აშშ დოლარი და ამ თანხის სარგებელი, მანვე გადაიხდა დასახელებული თანხის პროცენტი. შესაბამისად, დ. ჟ-იანის მიმართ მოთხოვნა აღარ არსებობდა.

საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა მოთხოვნა შეამცირა, კერძოდ, მან განმარტა, რომ ნ. უ-ავამ გადაიხდა 2007 წლის 3 ოქტომბრისა და 15 აგვისტოს ხელწერილებში აღნიშნული 300 აშშ დოლარი. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან სესხის - 1 200 აშშ დოლარის დაბრუნება, აგრეთვე, ამ თანხის 3%-ის ანაზღაურება (თვეში 120 აშშ დოლარის გაანგარიშებით) 78 თვის განმავლობაში (3 330 აშშ დოლარი). დასახელებული თანხის ჯამი 4 830 აშშ დოლარს შეადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ი-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეზე წარდგენილ 2007 წლის 15 აგვისტოს ხელწერილზე, რომლის თანახმად, დ. ჟ-იანმა და ნ. უ-ავამ ლ. ი-შვილს გადაუხადეს 200 აშშ დოლარი. მხარეთა განმარტებებით დგინდებოდა, რომ ამ თანხიდან 100 აშშ დოლარი იყო ნ. უ-ავას კუთვნილი თანხა. გარდა ამისა, სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ 2007 წლის 3 ოქტომბრის ხელწერილზე, რომ დ. ჟ-იანმა და ნ. უ-ავამ ლ. ი-შვილს გადასცეს 400 აშშ დოლარი. მხარეებმა განმარტეს და სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ამ თანხიდან ნ. უ-ავას მიერ გადახდილი იყო 200 აშშ დოლარი.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. 316-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. 624-ე მუხლის შესაბამისად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა

არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. კანონის აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობის დასადასტურებლად საკმარისი არაა მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები. აუცილებელია მსესხებლის სავალო ხელწერილის ან სხვა რაიმე დოკუმენტის წარდგენა, რომლითაც დადასტურდება მსესხებლისათვის განსაზღვრული თანხის ან სხვა ნივთის გადაცემის ფაქტი. კანონმდებელი სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს წერილობით მტკიცებულებას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში საქმეში არ იყო წარდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხის მიერ 1 200 აშშ დოლარის მიღებას.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაკითხვის ოქმით მოპასუხემ აღიარა ვალის არსებობა. მოსარჩელის მიერ ასეთი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაშიც კი სასამართლომ მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაკითხვის ოქმი, თავისი ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით, არ შეიძლება განხილულიყო როგორც ხელშეკრულება, რომელიც, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს.

რაც შეეხებოდა საქმეში წარდგენილ ხელწერილებს, რომლითაც დასტურდება მოპასუხის მიერ ლ. ი-შვილის წინაშე ფულადი ვალდებულების 300 აშშ დოლარის ოდენობით შესრულება, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მასში არ იყო მითითებული გადახდილი თანხის გარდა სხვა თანხის გადახდის ვალდებულებაზე.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო შემთხვევაში არ დგინდებოდა მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების ფაქტი, რომელიც მხარეების უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავდა. აქედან გამომდინარე, მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობა არ არსებობდა და მოთხოვნა მოპასუხისაგან ვალდებულების შესრულების შესახებ იყო უსაფუძვლო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ი-შვილმა (წარმომადგენელი თ. გ-მე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძველებით:

ლ. ი-შვილს დაუკავშირდნენ ნ. უ-ავა, დ. და ჯ. ჟ-იანები და სთხოვეს, 2 თვით მათთვის ესესხებინა 3 000 აშშ დოლარი. თბილისში, ... ქ. 37-ში მდებარე ოფისში ლ. ი-შვილმა ნ. უ-ავას გადასცა 3 000 აშშ დოლარი, სესხის თანხა უნდა დაებრუნებინათ 2 თვეში. დასაბრუნებელი თანხა პროცენტებით შეადგენდა 4 200 აშშ დოლარს;

თავდაპირველმა მოპასუხე დ. ჟ-იანმა სასამართლო პროცესის დასრულებამდე მოსარჩელეს დაუბრუნა ძირითადი თანხა - 1 500 აშშ დოლარი თავისი პროცენტით, რის გამოც მის მიმართ საქმის წარმოება შეწყდა;

ნ. უ-ავამ მოსარჩელეს გადაუხადა 300 აშშ დოლარი, მას გადასახდელი დარჩა 1 200 აშშ დოლარი და თვეში 3%. იმის გამო, რომ გასული იყო 78 თვე, პროცენტის სახით გადასახდელი თანხა 3 330 აშშ დოლარს, ხოლო მთლიანობაში გადასახდელი თანხა - 4 830 აშშ დოლარს შეადგენდა;

აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაითვალისწინა ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის დადგენილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რომლის თანახმად, აღძრული იყო საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" პუნქტით, სადაც ნ. უ-ავამ აღიარა ზემოაღნიშნული ვალი. ამასთან, მოპასუხემ ლ. ი-შვილს ხელწერილით დაუბრუნა 300 აშშ დოლარი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ მან აღიარა აპელანტის ვალი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2009 წლის 10 ივნისს დაინიშნულ მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე ნ. უ-ავა. სხდომაზე გამოცხადებულმა აპელანტმა ლ. ი-შვილმა და მისმა წარმომადგენელმა თ. გ-მემ იშუამდგომლეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის თანახმად დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე სხდომაზე აპელანტმა შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა პროცენტის ნაწილში, კერძოდ, მოითხოვა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში - 2 თვის მანძილზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის, ხოლო ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის 60 თვის მანძილზე (2007 წლის აგვისტომდე) თვეში 3%-ის, ანუ 2 232 აშშ დოლარისა და ძირითადი თანხის - 1 200 აშშ დოლარის, სულ - 3 432 აშშ დოლარის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ლ. ი-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება. ახალი გადაწყვეტილებით ლ. ი-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა: ნ. უ-ავას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 3 432 აშშ დოლარის გადახდა; მასვე დაევალა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 137 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში არსებული საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდებოდა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გაგზავნილი უწყება ნ. უ-ავას მეუღლეს ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო სხდომაზე თუ გამოცხადდება აპელანტი, მაგრამ არ გამოცხადდება მისი მოწინააღმდეგე მხარე, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ შემდეგი პირობების შემთხვევაში:

ა) აპელანტი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე;

ბ) არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით;

გ) სააპელაციო საჩივარში მითითებული და აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობით დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ამართლებს მოთხოვნას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტი შუამდგომლობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას; საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ სააპელაციო სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს კანონით დადგენილი წესით ეცნობა და მისი გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზი სასამართლოსათვის უცნობი იყო; აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ითვლებოდა. ამასთან, დასახელებული გარემოებები სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 623-ე, 625-ე მუხლებისა და 403-ე მუხლის (2007 წლის აგვისტომდე მოქმედი რედაქცია) საფუძველზე, იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა ნ. უ-ავამ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

საჩივრის ავტორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის სხდომაზე გამოუცხადებლობა არ ყოფილა გამოწვეული მისი ბრალით - ნ. უ-ავასათვის არავის უცნობებია აღნიშნული სხდომის ჩატარების დროსა და ადგილზე. აქედან გამომდინარე, დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი სასამართლო შეტყობინებისა და დაბარების წესები, კერძოდ, კოდექსის 70-ე მუხლის მოთხოვნა. დასახელებული საპროცესო ნორმის თანახმად, უწყება უნდა ჩაჰბარებოდა პირადად ნ. უ-ავას ან მის წარმომადგენელს, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა. მხარის არყოფნის შემთხვევაში, ამავე კოდექსის 74-ე მუხლიდან გამომდინარე უწყება უნდა ჩაჰბარებოდა მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, რასაც საჩივრის ავტორთან მიმართებით ასევე არ მომხდარა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიხედვით, ნ. უ-ავასათვის განკუთვნილი სასამართლო უწყება ჩაჰბარდა მის მეუღლეს, რაც არასწორია, რადგან საჩივრის ავტორს მეუღლე არ ჰყავდა. ეს უკანასკნელი ქორწინებაში არ იმყოფებოდა, რის დამადასტურებელ ცნობასაც იგი სასამართლო სხდომაზე წარადგინდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინებით ნ. უ-ავას საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსთვის.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 მაისის განჩინება ლ. ი-შვილის სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და სხდომის დანიშვნის თაობაზე, ასევე, ლ. ი-შვილის სააპელაციო საჩივარი და 2009 წლის 10 ივნისის სხდომის დღის შესახებ უწყება მოწინააღმდეგე მხარე ნ. უ-ავას ერთდროულად გაეგზავნა საქმეში არსებულ მის მისამართზე: თბილისი, ... #9. საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ აღნიშნული გზავნილი 21.05.2009წ. ჩაიბარა მ. ჭ-შვილმა, როგორც ნ. უ-ავას მეუღლემ;

გზავნილის ჩაბარების შემდგომ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, ნ. უ-ავამ სასამართლოში წარადგინა ლ. ი-შვილის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ნ. უ-ავას გაეგზავნა იმავე მისამართზე, სადაც იგი 7.07.2009წ. ისევ ჩაიბარა მ. ჭ-შვილმა, თუმცა ამჯერად როგორც ნ. უ-ავას მამიდაშვილმა;

მ. ჰ-შვილის მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ, ასევე კანონით დადგენილ 10-დღიან ვადაში, ნ. უ-ავამ სააპელაციო სასამართლოში წარადგინა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაზე, რომლის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტს. დასახელებული 74-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება, დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

შემოადინებული გარემოებების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ სხვადასხვა დროს (18.05.2009წ. და 6.07.2009წ.) გაგზავნილი გზავნილები ჩაბარდა ნ. უ-ავას საცხოვრებელ ადგილზე მასთან მცხოვრებ ოჯახის სრულწლოვან წევრს, რომელმაც შეასრულა კიდეც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება - გზავნილის ადრესატისათვის გადაცემის თაობაზე, რაც დასტურდებოდა იმ გარემოებით, რომ სასამართლოს მიერ მისთვის ჩაბარებიდან განსაზღვრულ და საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადებში ნ. უ-ავამ განახორციელა შესაბამისი საპროცესო უფლება-მოვალეობები - წარადგინა შესაგებელი, შეიტანა საჩივარი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები. ამასთან, მხარის სხდომაზე გამოუცხადებლობა არ იყო გამოწვეული სხვა რაიმე საპატიო მიზეზით, რომლის შესახებ მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. შესაბამისად, არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. უ-ავამ (წარმომადგენელი ე. ქ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის სხდომაზე იგი მიწვეული არ ყოფილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სააპელაციო სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათს, საიდანაც ირკვევა, რომ უწყება ჩაიბარა ვინმე მ. ჰ-შვილმა, როგორც ნ. უ-ავას მეუღლემ. ამის საწინააღმდეგოდ ნ. უ-ავამ სასამართლოში წარადგინა სამოქალაქო რეესტრის 18.09.2009წ. #01/14-12-532 ცნობა, რომლის თანახმად, იგი არ იმყოფება ქორწინებაში. გარდა ამისა, ნ. უ-ავამ სასამართლოში წარადგინა შვილების დაბადების მოწმობები, რომლებითაც ირკვევა, რომ ორივე მათგანის გვარია ნ-მე. ასეთ პირობებში სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, ვინმე მ. ჰ-შვილისათვის ჩაბარება მიეჩნია ნ. უ-ავას მიერ უწყების ჩაბარებად.

კასატორი აგრეთვე მიუთითებს საქმის არსებითად არასწორად გადაწყვეტაზე. მისი მოსაზრებით, საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება ნ. უ-ავას მიერ ლ. ი-შვილისაგან 1 200 აშშ დოლარის მიღების ფაქტი. შესაბამისად, მათ შორის არც ვალდებულებითი ურთიერთობა არსებობს, რაც ლ. ი-შვილის სარჩელის დაკმაყოფილებას გამოიცხადებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. უ-ავას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპა-

ტიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მითითებული 233-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მოცემულ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად საჩივრის ავტორი მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის სხდომაზე (რა დროსაც საქმეზე გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მის მიუწვევლობაზე. იგი სადავოდ ხდის საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დადასტურებულ მის ინფორმირებას, რომელსაც სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას და საინფორმაციო ირკვევა, რომ უწყება ჩაიბარა ვინმე მ. ჭ-შვილმა, როგორც ნ. უ-ავას მეუღლემ. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გასაქარწყლებლად ნ. უ-ავამ სააპელაციო სასამართლოში წარადგინა იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახურის უფროსის 18.09.2009წ. #01/14-12-532 ცნობა, რომლის თანახმად, იგი ქორწინებაში არ იმყოფება, აგრეთვე, შვილების დაბადებისა და პირადობის მოწმობები, რომლებითაც ირკვევა, რომ ორივე მათგანის გვარია ნ-ძე. საკასაციო სასამართლო მხარის ამ არგუმენტს ვერ განიხილავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად, რამდენადაც საქმეში არსებული მასალები ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის სხდომაზე ნ. უ-ავას კანონით დადგენილი წესით მიწვევას - რომ აღნიშნული სხდომის დროისა და ადგილის შესახებ ნ. უ-ავა ინფორმირებული იყო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებით დადგენილია, რომ უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. მითითებული 74-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებულმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება, დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო შემთხვევაში საქმეში არსებული მასალები იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ სასამართლოს მიერ დროის სხვადასხვა მონაკვეთში (18.05.2009წ., 6.07.2009წ.) გაგზავნილი გზავნილები ჩაბარდა ნ. უ-ავას საცხოვრებელ ადგილზე მასთან მცხოვრებ ოჯახის სრულწლოვან წევრს. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, შეასრულა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება გზავნილის ადრესატისათვის გადაცემის თაობაზე, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ გზავნილის მ. ჭ-შვილისათვის ჩაბარებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ და საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადებში ნ. უ-ავამ განახორციელა შესაბამისი საპროცესო მოქმედებები - წარადგინა შესაგებელი, შეიტანა საჩივარი. ნიშანდობლივია, რომ სააპელაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დღის (10.06.09წ.) შესახებ მითითებულია სასამართლოს სწორედ იმ გზავნილში, სადაც განმარტებულია შესაგებლის წარდგენის ვალდებულება და რომლის საფუძველზეც ნ. უ-ავამ საპროცესო მოქმედება შეასრულა (სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში შეიტანა შესაგებელი). აღნიშნული ცხადყოფს, რომ მისთვის ცნობილი იყო გზავნილის შინაარსი და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დღე. კასატორი ვერ ადასტურებს, რომ პირი, რომელიც მის საცხოვრებელ მისამართზე მისთვის განკუთვნილ კორესპონდენციას იბარებდა, რის შედეგადაც იგი სასამართლოში შესაბამის საპროცესო მოქმედებებს ახორციელებდა (შესაგებლის წარდგენა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება), არ წარმოადგენს მასთან მცხოვრებ ოჯახის წევრს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამარბოვლებელ გარემოება - სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით მხარის მიუწვევლობა სახეზე არ არის, რის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

კასატორი სადავოდ ხდის ლ. ი-შვილისაგან 1 200 აშშ დოლარის მიღების ფაქტს, რაც, მისი აზრით, საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, თუმცა მხარის ეს მსჯელობა ასევე არ წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს. აპელანტი,

რომლის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასაც ნ. უ-ავას მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულება და ამ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურება წარმოადგენდა, მიუთითებდა ნ. უ-ავას მიერ ძირითადი თანხის სახით მისთვის 1 200 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულებაზე, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დასახელებული ფაქტობრივი გარემოების დამტკიცებულად მიჩნევის წინაპირობას წარმოადგენდა. აღნიშნული მუხლის თანახმად, რომელიც ამავე კოდექსის 387.3, 372-ე მუხლების შესაბამისად გამოიყენება სააპელაციო ინსტანციით საქმის განხილვისას, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. უ-ავას (წარმომადგენელი ე. ქ-შვილი) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
 უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინება;
 განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველები

განჩინება

#ას-951-1230-09

13 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 27 აპრილს მარნეულის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს დ. და პ. კ-ძეებმა მოპასუხე ქ. ო-ოვის მიმართ და მოითხოვეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელები თავის სასარჩელო მოთხოვნას ამყარებენ შემდეგ გარემოებებზე:

2007 წლის 15 თებერვალს ქ.თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე ამერიკის საელჩოს მხრიდან, რობაქიძის გამზირის მიმართულებით, დაახლოებით 70-80 კმ.სთ სიჩქარით მოძრავი ავტომობილი „ვაზ-2106“, რომელსაც მართავდა მოპასუხე ქ. ო-ოვი, შეეჯახა პ. კ-ძის კუთვნილ ავტომობილს - „მერსედეს ბენცს“.

წინასწარი გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამოწვეული იყო მოპასუხე ქ. ო-ოვის მიერ სატრანსპორტო საშუალების არასწორი მართვით, რაც დასტურდება თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორ ა. გ-იას დადგენილებით წინასწარ გამოძიების შეწყვეტის შესახებ. შეჯახების შედეგად პ. კ-ძის კუთვნილი ავტომანქანის ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა. ზიანის ანაზღაურების მიზნით, ის ზეპირად შეუთანხმდა სამართალდამრღვევს, რომელმაც იკისრა ზიანის ანაზღაურება. შეთანხმების თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო, სრულად აღედგინა დაზიანებული ავტომანქანა და გამართული ჩაებარებინა მესაკუთრისათვის. მოპასუხემ არ შეასრულა დათქმულ ვადაში ვალდებულება, მოგვიანებით ქ. ო-ოვმა უარი განუცხადა მოსარჩელებს დაზიანებული ავტომანქანის აღდგენაზე.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით პ. და დ. კ-ძეების სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ქ. ო-ოვმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ქ. ო-ოვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა მისი გამოუცხადებლობის გამო.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ქ. ო-ოვის წარმომადგენელმა რ. მ-იანმა. მან საჩივარში აღნიშნა, რომ, მართალია, მისთვის ცნობილი იყო სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ზუსტი დრო და ადგილი, მაგრამ მარნეულში უამინდობისა და გზებზე შექმნილი საცობების გამო, ვერ შესძლო სასამართლო სხდომაზე დროულად გამოცხადება. სააპელაციო სასამართლოს სხდომათა დარბაზში იგი გამოცხადდა 15 წუთის დაგვიანებით, მას შემდეგ, რაც სასამართლომ გამოაცხადა დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 მარტის განჩინებით ქ. ო-ოვის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე და 233-ე მუხლით გათვალისწინებული მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი. თავად საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მისთვის ცნობილი იყო სასამართლოში საქმის განხილვის დრო და ადგილი. მის მიერ მითითებული მიზეზი, კერძოდ, მოძრაობის შეფერხება, არ წარმოადგენს საპატიო მიზეზს.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ქ. ო-ოვმა. მან მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრის განხილვის დღეს - 2008 წლის 16 დეკემბერს ისინი იმყოფებოდნენ სასამართლოში, სანამ ისინი შევიდნენ დარბაზში, მანამდე სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მან შეიტანა განცხადება სასამართლო პროცესზე მისი გამოცხადების დასამტკიცებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიაჩნია, რომ ქ. ო-ოვის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამ მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დადგენილია, რომ 2008 წლის 16 დეკემბერს, 11.30 საათზე, დანიშნული სხდომის თაობაზე და გამოუცხადებლობის შედეგებთან დაკავშირებით 2008 წლის 11 ნოემბრის სხდომის გადადებისას ხელწერილით იყო გაფრთხილებული აპელანტი ქ. ო-ოვი, რაზედაც ჩამოერთვა ხელწერილი. სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა აპელანტი, რის გამოც მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რომლებსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლო პროცესზე გამოცხადდნენ დროულად. მან ვერ დაადასტურა სასამართლო პროცესზე დროულად გამოცხადება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული იმ სამართლებრივ საფუძველზე, რომლის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ აპელანტის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად და მის მიმართ მართებულად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რამდენადაც საჩივარში ქ. ო-ოვი მიუთითებს, რომ მისთვის ცნობილი

იყო სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ზუსტი დრო და ადგილი, მაგრამ მარნეულში უამინდობისა და გზებზე შექმნილი სავალი საცობების გამო ვერ შესძლო სასამართლო სხდომაზე დროულად გამოცხადება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება არ შეიძლება ჩაითვალოს საპატიო მიზეზად.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქ. ო-ოვის სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყო კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ქ. ო-ოვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2009 წლის 10 მარტის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლები

განჩინება

#ას-224-213-2010

31 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ს-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს "ყ. თ-ის" მიმართ უკანონოდ დარიცხული დავალიანების - 1648,18 ლარის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე ირიცხებოდა მოპასუხე საზოგადოების აბონენტად და სისტემატურად იხდიდა ბუნებრივი აირის გადასახადს. 2007 წელს მის ბინაში არსებული მრიცხველი შეიცვალა. შეცვლისას დაფიქსირდა, რომ მრიცხველის დაყენების დღიდან მის მოხსნამდე ნაჩვენები იყო 1089 მ³. მოგვიანებით მოსარჩელეს დაეკისრა ბუნებრივი აირის გადასახადი 1648,18 ლარის ოდენობით. როგორც ვ. ს-მისათვის გახდა ცნობილი, ძველი მრიცხველის შეცვლისას შედგა აქტი, რომელსაც მოსარჩელემ ხელი მოაწერა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ ადასტურებდა ახალი მრიცხველის დამონტაჟების ფაქტს. აღნიშნულ აქტში კი ძველი მრიცხველის საბოლოო ჩვენებად დაფიქსირდა 4345 მ³, რაც შეცდომაა, გამოწვეულია ჩინური წარმოების მრიცხველის გაუმართაობით და რეალობას არ შეესაბამება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელემ თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დაცვით ვერ დაასაბუთა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ვ.ს-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ვ. ს-მის სააპელაციო საჩივარი, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ვ. ს-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, ვ.ს-მე გათავისუფლდა შპს "ყ. თ-ის" მიერ დარიცხული დავალიანების - 1648.18 ლარის გადახდისაგან.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა შპს "ყ. თ-მა".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის განჩინებით შპს "ყ. თ-ის" საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება

ყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით და მიიჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ ისეთი გარემოებების დადასტურება, რომელიც სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობისა და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის დროულად შეუტყობინებლობის საპატიო მიზეზზე მიუთითებს. ამდენად, კანონმდებელი მხარეს აკისრებს ვალდებულებას, დროულად აცნობოს სასამართლოს თავისი გამოუცხადებლობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სათანადო მტკიცებულებით დაადასტუროს ისეთი გარემოებების არსებობა, რომლის გამოც გამოუცხადებლობის მიზეზის სასამართლოსათვის დროულად შეტყობინება, ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, შეუძლებელი გახდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „ყ. თ-ის“ წარმომადგენელს ეცნობა 2009 წლის 26 ოქტომბრის სხდომისა და გამოუცხადებლობის შედეგებთან დაკავშირებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მერვე ნაწილით დადგენილი წესით, რასაც თვითონაც არ ხდის მხარე სადავოდ, ხოლო ამავე კოდექსის 241-ე და 233-ე მუხლებით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების რომელიმე სხვა საფუძვლის არსებობის შესახებ საქმის მასალებიდან არ დადასტურდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები, კერძოდ, 2009 წლის 26 ოქტომბერს ი. ნ-შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და საგზაო მოძრაობის შეფერხება, ვერ ჩაითვლება ისეთი სახის საპატიო მიზეზად, რაც შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. სასამართლომ აღნიშნა, რომ პროცესში მონაწილე პირის ავადმყოფობა შეიძლება ჩაითვალოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელ გარემოებად მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითებული გარემოებების არსებობისას. განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით არ დასტურდება, რომ ი. ნ-შვილს არ შეეძლო, გამოცხადებულიყო სასამართლო პროცესზე. საწინააღმდეგოვე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მკურნალობის ჩატარების შემდეგ ი. ნ-შვილი გადაადგილდებოდა დამოუკიდებლად. ამდენად, მას უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, დროულად შეეტყობინებინა სასამართლოსათვის პროცესზე გამოცხადების დამაბრკოლებელი გარემოების თაობაზე. პალატის მოსაზრებით, პროცესზე გამოუცხადებლობისათვის საპატიო გარემოებად ასევე ვერ ჩაითვლება ავტოსაგზაო საცობში მოხვედრა, რადგან მხარეს შეეძლო, წინდახედულობის ნორმებიდან გამომდინარე, გაეთვალისწინებინა აღნიშნული. ამასთან, სადავო გარემოება არც რაიმე სახის მტკიცებულებით არ დადასტურებულა. პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებული იქნება პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე სასამართლოსათვის შეუტყობინებლობის საპატიო მიზეზი. კონკრეტულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი, მართალია, მიუთითებს, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოკლებული იყო შესაძლებლობას, გაეცნობიერებინა პროცესზე დაგვიანება, მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივარი არ შეიცავს მტკიცებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება, რომ 2009 წლის 26 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, ვინაიდან აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები მის მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ სააპელაციო საჩივრის მიხედვით, აბონენტ ვ.ს-მის მიერ 2007 წლის 2 აპრილს მრიცხველის მოხსნის დროისათვის გადახდილი იყო მოხმარებული გაზის საფასური 2007 წლის 27 თებერვლის ჩვენების - 1044 მ³-ის შესაბამისად და მას არ გააჩნდა დავალიანება, ხოლო 8 თვის შემდეგ - 2007 წლის დეკემბერში ახალი მრიცხველის დამონტაჟების შემდეგ მიიღო შეტყობინება 4345 მ³ ოდენობით მოხმარებული ბუნებრივი აირის მიხედვით 1648,18 ლარის დავალიანების არსებობასთან დაკავშირებით. აპელანტის მითითებით, დასახელებული ოდენობით გაზი მას არ მოუხმარია, რის გამოც სადავო დავალიანების გადახდა არ უნდა დაკისრებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ მომხმარებლის მრიცხველზე დაფიქსირებული ჩვენება არ შეესაბამებოდა რეალურად მოხმარებული გაზის ოდენობას, შესაბამისად, მრიცხველმა იგი არასწორად აღრიცხა, რაც, სემკვის 2004 წლის 30 სექტემბრის #10 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, გამორიცხავს აბონენტის ვალდებულებას, გადაეხადა არასწორად დარიცხული დავალიანება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ყ. თ-ის“ წარმომადგენელმა ი. ნ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლი, როდესაც მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული, სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი არ არსებობს. ი. ნ-შვილი დაუკავშირდა მოსამართლე ნ. გ-მის თანაშემწეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დღეს 15¹³-15¹⁴ სთ-

ზე, აცნობა პროცესზე დაგვიანების საპატიო მიზეზის - ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ და განუმარტა საქმის განხილვაზე რამდენიმე წუთით შესაძლო დაგვიანების თაობაზე ქალაქში არსებული გადატვირთული მოძრაობის გამო.

სასამართლო სხდომის ოქმით ირკვევა, რომ სხდომა დამთავრდა 15 საათსა და 17 წუთზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოსთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროისთვის ცნობილი იყო, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენები, რომლებსაც შეეძლო, ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. სააპელაციო პალატამ სრულიად უსაფუძვლოდ არ გაითვალისწინა კასატორის მიერ წარდგენილი 2009 წლის 27 ოქტომბრის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და გასაჩივრებულ განჩინებაში არასწორად განმარტა კანონი, როდესაც ჩათვალა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის შესაბამისად ნაწილობრივ განსაზღვრული გარემოებანი არ იკვეთებოდა. დასახელებულ ცნობაში ნათლადაა ასახული კასატორის ჯანმრთელობის მდგომარეობის მოულოდნელად გაუარესების შესახებ და სასამართლო პროცესზე დროულად გამოუცხადებლობის მიზეზი, კერძოდ, პაციენტის ჰიპოტონური დაავადება, რა დროსაც პირი ვერ აცნობიერებს რეალურად დამდგარ მდგომარეობას. შესაბამისად, არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 241-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებანი. ამასთან, სამედიცინო ცნობა დამოწმებულია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით, როგორც ამას ზემოთ მითითებული ნორმები მოითხოვს.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რადგან სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნებს. სააპელაციო საჩივარი ემყარება იმ გარემოებას, რომ ორი თვის განმავლობაში აბონენტის მრიცხველს, მცირე წარმადობის გამო, არ შეეძლო, აღერიცხა 3000 მ³ ბუნებრივი აირი. სააპელაციო შესგებელში მითითებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით - აბონენტის ბუნებრივი აირის მრიცხველის ტიპის პასპორტით დგინდება, რომ სადავო მრიცხველს მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში შეეძლო ზემოაღნიშნული ოდენობის ბუნებრივი გაზის აღრიცხვა. აღნიშნულის გარდა, აპელანტთან შედგენილ 2007 წლის 2 აპრილის #125331 აქტითა და მრიცხველის შეცვლის #040562 აქტით დგინდება, რომ მრიცხველის მოხსნის დროს მისი ჩვენება შეადგენდა 4345 მ³-ს, რასაც აბონენტი ადასტურებს ხელმოწერით. შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია სინამდვილეს არ შეესაბამება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 აპრილის განჩინებით შპს "ყ. თ-ის" წარმომადგენელ ი.ნ-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ შპს "ყ. თ-ის" წარმომადგენელ ი. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე კოდექსის 387-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელსაც საქმის განხილვის თარიღი კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც აცნობა სასამართლოს სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე. სასამართლოში მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს მის მიერ საქმის განხილვისადმი ინტერესის დაკარგვის ვარაუდს, რასაც შედეგად მოჰყვება მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამასთან, თუ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდება აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, სასამართლოს შეუძლია სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები,

დამატებითი გამოკვლევის გარეშე, მიიჩნის დამტკიცებულად. სასამართლო სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასების შემდეგ დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს, თუ ჩათვლის, რომ აპელანტის მოთხოვნა საჩივარში აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს იურიდიულად შეესაბამება.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე – შპს "ყ. თ-ი" კანონის მოთხოვნათა დაცვით გაფრთხილებული იყო 2009 წლის 26 ოქტომბრის სასამართლო სხდომის თაობაზე, რასაც თავად მხარე სადავოდ არ ხდის. აღნიშნულის მიუხედავად იგი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა, თავისი გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოს არ აცნობა და ვერც აღნიშნულის საპატიო მიზეზის არსებობა სარწმუნოდ ვერ დაასაბუთა, კერძოდ:

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შპს "ყ. თ-ის" წარმომადგენელ ი. ნ-შვილის არგუმენტს, რომ იგი სადავო პროცესზე ვერ გამოცხადდა საპატიო მიზეზით, რადგან მას ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობის გამო შესაძლებლობა არ ჰქონდა, რეალურად გაეანალიზებინა მომხდარი მოვლენები. აღნიშნული არგუმენტის დასასაბუთებლად მხარემ წარადგინა შპს "მ. კ-ის" მიერ 2009 წლის 26 ოქტომბერს გაცემული ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, რომლის თანახმად, მითითებული დღის 14.00 საათზე ი. ნ-შვილმა გაიარა კონსულტაცია პოლიკლინიკის ექიმთან და დაენიშნა მკურნალობა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სავსებით სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა აღნიშნულ დოკუმენტს და ი. ნ-შვილის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად არ ჩათვალა, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება, კერძოდ, ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა ობიექტურ გარემოებებს, რომლებსაც შეეძლოთ მხარისათვის ხელი შეეშალათ. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა ხსენებული ნორმის დანაწესს არ შეესაბამება, ვინაიდან მითითებული დოკუმენტით არ დასტურდება 2009 წლის 26 ოქტომბერს, სასამართლო სხდომის დღეს, შპს "ყ. თ-ის" წარმომადგენელ ი. ნ-შვილის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რამაც სასამართლოში გამოცხადება ობიექტურად შეუძლებელი გახადა.

ასევე დაუსაბუთებელია კასატორის მითითება, რომ მან სასამართლო სხდომის დღეს თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ 15¹⁴ საათზე საქმის განმხილველი მოსამართლის თანაშემწეს ტელეფონით აცნობა, ვინაიდან აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, რაიმე მტკიცებულებით დადასტურებული არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძველს მოკლებულია კასატორის მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელი გარემოებანი.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად ჩათვალა, რომ, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიოდ გამოუცხადებლობისა და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის შეუტყობინებლობის გამო, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს სააპელაციო საჩივარში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2007 წლის 2 აპრილს შპს "ყ. თ-ის" აბონენტ ვ. ს-მის მრიცხველის დემონტაჟის დროს მას დაფარული ჰქონდა მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება 2007 წლის 27 თებერვლის მაჩვენებლის - 1044 მ³-ის შესაბამისად და მეტი დავალიანება არ გააჩნდა. 2007 წლის დეკემბერში, ახალი მრიცხველის დამონტაჟების შემდეგ აბონენტმა მიიღო შეტყობინება 4345 მ³ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების - 1648,18 ლარის ოდენობით დავალიანების თაობაზე, რაც აბონენტის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის რეალურ ოდენობას არ შეესაბამება და ახალმა მრიცხველმა იგი არასწორად აღრიცხა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ სწორად იხელმძღვანელა სემეკის 2004 წლის 30 სექტემბრის #10 დადგენილების მე-7 მუხლით და მიიჩნია, რომ მრიცხველის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის არასწორად აღრიცხვის ფაქტი გამორიცხავს აბონენტის ვალდებულებას, აანაზღაუროს ამ მრიცხველის მაჩვენებლის მიხედვით გამოანგარიშებული დავალიანება. შესაბამისად, დაუსაბუთებელია კასატორის არგუმენტი, რომ ვ. ს-მის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებანი მის მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად, კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამდენად, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა ვალდებულების არსებობას ემყარება. მოცემულ შემთხვევაში ვალდებულების არსებობა უარყოფილია სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერია და მისი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი წინაპირობა არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს "ყ. თ-ის" წარმომადგენელ ი.ნ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების
ბათილობის საფუძვლები**

განჩინება

#ას-49-48-10

3 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 5 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ნ. თ-მემ მოპასუხეების - ჯ., შ. და ბ. მ-ძეების მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელემ განმარტა, რომ ღია საჯარო აუქციონზე შეიძინა ქ.თბილისში, ... ქ. #9-ში მდებარე 43.40 კვ.მ უძრავი ქონება, რომელიც ირიცხებოდა შ., ჯ. და ბ. მ-ძეების სახელზე. აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით გაიცა სააღსრულებლო განკარგულება და ბინა დარეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოსარჩელის სახელზე. მოპასუხეები არ ათავისუფლებდნენ სადავო ფართს და უკანონოდ ფლობდნენ 2002 წლის 1 მარტიდან.

მოსარჩელეს, მოპასუხეების მიერ ქონებით სარგებლობის ხელშეშლის გამო, მიუღებელი შემოსავლის სახით მიადგა ქონებრივი ზიანი, რაც შეადგენდა ბინის გაქირავებით მისაღები შემოსავლის ღირებულებას - ყოველთვიურად 100 აშშ დოლარს 2002 წლის აპრილიდან 2005 წლის იანვრამდე, ხოლო 2005 იანვრიდან დღემდე ყოველთვიურად - 150 აშშ დოლარს, რაც მთლიანობაში შეადგენს 9850 აშშ დოლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის შუამდგომლობა შ. და ბ. მ-ძეების მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს შ. და ბ. მ-ძეების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა მოსარჩელე ნ. თ-მის საკუთრებაში არსებული 43.4კვ.მ უძრავი ქონება, მდებარე ... ქ. #9-ში, შ. და ბ. მ-ძეებს მოსარჩელე ნ. თ-მის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 6. 566 აშშ დოლარის გადახდა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანეს ბ. და შ. მ-ძეებმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 დეკემბრის განჩინებით ბ. და შ. მ-ძეების საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ამავე სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით ნ. თ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ჯ. მ-მის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ნ. თ-მის საკუთრე-

ბაში არსებული, ქ. თბილისში, ... ქ. #9-ში მდებარე ბინა, მოსარჩელე ნ. თ-მეს მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების ნაწილში ეთქვა უარი.

2008 წლის 5 ნოემბერს ჯ. მ-მემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება.

ასევე, სააპელაციო საჩივარი შეიტანა ბ. მ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების თანახმად, ჯ. მ-მის სააპელაციო საჩივარი გამოუცხადებლობის გამო, არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, ხოლო ბ. მ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის განჩინება და 2008 წლის 14 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ბ. და შ. მ-ძეების სოლიდარულად 5.566 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის განჩინება და 2008 წლის 14 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის შესახებ ნ. თ-მის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში დარჩა ძალაში.

სასამართლომ მიუთითა შემდეგზე: დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით მოპასუხე ჯ. მ-მის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ნ. თ-მის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ... ქ. #9-ში მდებარე ბინა. საქმეში წარმოდგენილია ხელწერილი, რომლითაც დასტურდება, რომ აპელანტს ჯ. მ-მეს 2009 წლის 7 ივლისს, 10 საათზე, დანიშნული სხდომის შესახებ ეცნობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით, რაც დასტურდება მისი პირადი ხელმოწერით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა ჯ. მ-მემ და მოითხოვა გასაჩივრებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ნოემბრის განჩინებით ჯ. მ-მის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიუთითა, რომ ჯ. მ-მე მის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდა იმ საფუძველზე, რომ სასამართლო პროცესზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, მას ჩაეკეტა საცხოვრებელი სახლის კარი, რის დასადასტურებლად მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს სახელზე შედგენილ 2009 წლის 4 სექტემბრის განცხადებას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული განცხადება არ წარმოადგენს აპელანტის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2009 წლის 7 ივლისს, 10 საათზე, დანიშნულ სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ მტკიცებულებას, რადგან საჩივრის ავტორის მითითებას იმაზე, რომ აღნიშნული განცხადება ხელმოწერილია მასში მოხსენებულ პირთა - მ.ჯ-მის, ი.ჭ-შვილის, მ.ფ-მის მიერ, არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ მ. მ-მის გამოუცხადებლობა ჩაითვალოს საპატიოდ.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ განცხადების მეორე გვერდზე არსებული ტექსტიდან დგინდება, რომ სანოტარო წესით დამოწმებულია მხოლოდ განცხადებაში მითითებულ პირთა ხელმოწერის ნამდვილობა და სხვა არაფერი.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ჯ. მ-მემ. მან განმარტა, რომ 2009 წლის სასამართლო სხდომაზე ის ვერ გამოცხადდა, ვინაიდან ბინის შესასვლელი რკინის კარი ჩაეკეტა, რასაც სანოტარო ხელმოწერით ადასტურებენ მის მეზობლად მომუშავე ფირმა "მ. 99-ის" თანამშრომლები - მ. ჯ-მე და მ. ფ-მე, ასევე ამხანაგობის თავჯდომარე ლ. ჭ-შვილი, რომლებიც, კასატორის შუამდგომლობის მიუხედავად, მოწვეული არ იყვნენ სასამართლო სხდომაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიაჩნია, რომ ჯ. მ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამ მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დადგენილია, რომ აპელანტს ჯ. მ-მეს 2009 წლის 7 ივლისს, 10 საათზე, დანიშნული სხდომის შესახებ ეცნობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით, რაც დასტურდება მისი პირადი ხელმოწერით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რომლებსაც შეეძლო ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, კერძოდ, მისი გამოუცხადებლობა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ჩაეკეტა კარი და ვერ შესძლო ამის გამო პროცესზე გამოცხადება.

პალატა განმარტავს, რომ, საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული ის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს. კასატორმა ვერ დაადასტურა პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი. მას შეეძლო სასამართლოსთვის შეეტყობინებინა გამოუცხადებლობის შესახებ, რაც არ გაუკეთებია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ აპელანტის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად და მის მიმართ მართებულად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ჯ. მ-მე სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყო კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ჯ. მ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ნოემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლები

განჩინება

#ას-121-115-10 3 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 23 მაისს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ბ. მ-მემ მოპასუხეების: ნ. მ-ძის, ნ. კ-იანის, თ. დ-შვილისა და თ. გ-შვილის მიმართ და მოითხოვა ნ. კ-იანზე გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ნ. კ-იანსა და ნ. მ-ძეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და აღნიშნული ბინის 5/12-ის მესაკუთრედ ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით ბ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ნ. მ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება.

2009 წლის 13 ოქტომბერს აპელანტ ნ. მ-ძის წარმომადგენელმა მ. ა-მემ საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ იგი საქმეში არსებული დოკუმენტის მიხედვით იყო აპელანტ ნ. მ-ძის წარმომადგენელი და მხარესთან შეთანხმებით, პროცესზე უნდა გამოცხადებულიყო წარმომადგენელი, თუმცა მან ვერ შესძლო ავადმყოფობის გამო პროცესზე გამოცხადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინებით აპელანტ ნ. მ-ძის წარმომადგენლის - მ. ა-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტ ნ. მ-ძის წარმომადგენელი მ. ა-მე სხდომაზე გამოცხადდა დაგვიანებით, იმ დროს, როდესაც სასამართლო გასული იყო სათათბირო ოთახში. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე ნორმის დანაწესს არ შეესაბამება, კერძოდ, ცნობა არ არის ხელმოწერილი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ და ამ ცნობიდან არ დასტურდება 2009 წლის 23 სექტემბერს, სასამართლო სხდომის დღეს, მ. ა-ძის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რაც შეუძლებელს გახდიდა პროცესზე მის გამოცხადებას. ეს გარემოება დასტურდება იმითაც, რომ მ. ა-მე მითითებულ დღეს სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა დაგვიანებით, იმ დროს, როცა სასამართლო გასული იყო სათათბირო ოთახში.

პალატა ასევე აღნიშნავს, რომ აპელანტის წარმომადგენელმა ვერც საჩივრის ზეპირი განხილვისას დაამტკიცა სსსკ-ის 241-ე მუხლით გათვალისწინებული იმ გარემოების არსებობა, რაც შეიძლება საფუძვლად დასდებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის განხილვის განახლებას. ამ გარემოებათა მტკიცების ტვირთი კი, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეკისრება მხარეს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ნ. მ-ძის წარმომადგენელმა მ. ა-მემ და მიუთითა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ მისი გამოუცხადებლობა პროცესზე გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, 2009 წლის 23 სექტემბერს, პროცესის დღეს, მოიწამლა. მან აღნიშნა, რომ 12 საათზე გამოიძახა სამედიცინო დახმარების სამსახური. მან ასევე აღნიშნა, რომ მისი მარწმუნებელი არის ხანდაზმული და სასამართლო სხდომაზე ვერ გამოცხადდებოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიაჩნია, რომ ნ. მ-ძის წარმომადგენელ მ. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამ მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დადგენილია, რომ მოცემული საქმის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 23 სექტემბერს 13.00 საათზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საქმის ზეპირი განხილვისას არ გამოცხადდა აპელანტი ნ. მ-ძე, რომელიც სასამართლოში მოწვეული იყო სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მოწინააღმდეგე მხარის - ბ. მ-ძის წარმომადგენელმა მ. ბ-ძემ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, კერძოდ, აპელანტის წარმომადგენელი გახდა ცუდად, ხოლო მისი მარწმუნებელი არის ხანდაზმული და ვერ შესძლო პროცესზე გამოცხადება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება საპატიოდ, თუ მისი ავადმყოფობა დადასტურებული იქნება სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ უნდა უთითებდეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი აუცილებელ პირობად მიიჩნევს ავადმყოფობის დამადასტურებელ დოკუმენტზე სამედიცინო ხელმძღვანელის ხელმოწერას და ამ დოკუმენტში იმაზე მითითებას, რომ მხარეს სასამართლო პროცესზე გამოცხადება არ შეეძლო.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემული საქმის განხილვა დაინიშნული 2009 წლის 23 ივნისს 13.00 საათზე. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, მ. ა-ძემ დაიგვიანა პროცესზე. მის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო სამსახურის - "009-ის" ცნობიდან ირკვევა, რომ მას აღნიშნებოდა ალიმენტური ინტოქსიკაცია, თუმცა აღნიშნულ ცნობაში პირდაპირ არ არის მითითებული პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. გარდა ამისა, ნ. მ-ძეს პირადად შეეძლო გამოცხადებულიყო ან დაკავშირებოდა სასამართლოს, რაც არ გაუკეთებია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორმა ვერ დაადასტურა მისი და მისი მარწმუნებლის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი.

პალატა განმარტავს, რომ, საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული იმ სამართლებრივ საფუძველზე, რის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ აპელანტის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად და მის მიმართ მართებულად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ნ. მ-ძე სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყო კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. მ-ძის წარმომადგენელ მ. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

განჩინება

#ას-1214-1475-09 14 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე. მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: განქორწინება, ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ი-კომ სარჩელი აღძრა სასამართლოში ო. რ-ოვის მიმართ განქორწინების, ასევე, 1995 წლის 11 ნოემბერს დაბადებული ა. რ-ოვისა და 2001 წლის 15 ივნისს დაბადებული ა. რ-ოვის სასარგებლოდ ალიმენტის - 100-100 ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1993 წლიდან მხარეები იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, რა დროსაც მათ შეეძინათ ორი შვილი. წელიწადნახევრის წინ მეუღლეებს შორის ყოველგვარი ურთიერთობა შეწყდა. ამ ხნის განმავლობაში მოპასუხე თავს არიდებს შვილების რჩენას. ო. რ-ოვის ყოველთვიური შემოსავალი შეადგენს 550 ლარს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი მოტივებით: დაუსაბუთებელია მოსარჩელის მითითება, რომ ო. რ-ოვის ხელფასია 550 ლარი, ფაქტობრივად, მისი ყოველთვიური შემოსავალი 100 ლარს არ აღემატება. ამასთან, მას ჰყავს პენსიონერი, ავადმყოფი დედა. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის მიხედვით, ალიმენტის - 200 ლარის დაკისრება გონივრულ ოდენობას არ წარმოადგენს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. ი-კოს სარჩელი დაკმაყოფილდა, შეწყდა მოსარჩელე მ. ი-კოსა და მოპასუხე ო. რ-ოვის შორის 1993 წლის 15 აპრილს რეგისტრირებული ქორწინება სასამართლოს გადაწყვეტილების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრაციის მომენტიდან მოპასუხე ო. რ-ოვის დაეკისრა არასრულწლოვანი შვილების - ა. და ა. რ-ოვების სასარგებლოდ საალიმენტო გადასახადი - თითოეულისათვის თვეში 100 ლარი, სულ - 200 ლარის გადახდა 2008 წლის ოქტომბრიდან მათ სრულწლოვანებამდე.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ო. რ-ოვმა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის განჩინებით საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით ო. რ-ოვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: პალატამ დაადგინა, რომ მ. ი-კომ სარჩელი აღძრა სასამართლოში ო. რ-ოვის მიმართ, მოითხოვა მასთან განქორწინება და არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის დაკისრება. ალიმენტის დაკისრების ნაწილში მოსარჩელემ სარჩელს საფუძვლად დაუდო ის გარემოებები, რომ რ-ოვი მუშაობს ინდივიდუალურ მეწარმე "ლ. კ-ოვასთან" შუშისა და მინის მჭრელად. მისი შემოსავალი შეადგენს 550 ლარს. მოპასუხე თავს არიდებს არასრულწლოვანი შვილების რჩენა-პატრონობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სასამართლომ არ გაიზიარა ო. რ-ოვის მითითება, რომ სასამართლო უწყება მას არ მიუღია, არამედ ჩაჰბარდა დედამისს, რომელსაც დაავიწყდა უწყების მისთვის გადაცემა. პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას აპელანტს უწყების ჩაბარების ფაქტი სადავოდ არ გაუხდია. მეტიც, საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მან განაცხადა, რომ საქმის განხილვის დრო მისთვის ცნობილი იყო, თუმცა იგი არ გამოცხადდა, რადგან სარჩელში მითითებულ-

ლი გარემოებანი მის მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა. სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამტკიცებლად ჩათვალა სარჩელში მითითებული გარემოებები, რომ ო.რ-ოვი მუშაობს "ლ. კ-ოვას" ინდივიდუალურ საწარმოში მინის მჭრელად და მისი შემოსავალი შეადგენს 550 ლარს. პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტისათვის თვეში 200 ლარის დაკისრება შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლით განსაზღვრულ პრინციპს. სასამართლომ დაუსაბუთებლად ჩათვალა მითითება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 285-ე და 59-ე მუხლების დარღვევის შესახებ, რადგან აღნიშნული ნორმების დარღვევა დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან კავშირში არ არის. პალატა არ დაეთანხმა ო. რ-ოვის არგუმენტს, რომ სასამართლომ მას სახელმწიფო ბაჟის გადახდა ქონებრივი მდგომარეობის გაუთვალისწინებლად დააკისრა. პალატამ ჩათვალა, რომ აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ფაქტი ადასტურებს მის ეკონომიკურ შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ო.რ-ოვმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და მისი შემოსავლის გათვალისწინებით ალიმენტის რეალური ოდენობის - 30-35 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად ო.რ-ოვის ხელფასი შეადგენს ყოველთვიურად 100 ლარს. ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილი და მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ჩათვალა, რომ მხარის შემოსავალი შეადგენდა 550 ლარს, საიდანაც უკანონოდ განუსაზღვრა ყოველ თვე 200 ლარის გადახდა. ო. რ-ოვმა მიმართა საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნით, თუმცა მას აღნიშნულზე უარი ეთქვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 დეკემბრის განჩინებით ო.რ-ოვის საკასაციო საჩივრი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე პალატის 2010 წლის 3 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ო. რ-ოვის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მოცემული საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2009 წლის 9 ივნისის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

საქმეში წარმოდგენილი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 მარტის განჩინებით ამავე წლის 19 მარტს საქმეზე დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა, რის თაობაზეც ეცნობათ მხარეებს კანონით დადგენილი წესით. სასამართლო სხდომის ოქმით 2009 წლის 19 მარტს ჩატარდა მთავარ სხდომა და, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ რადგანაც მხარეები სასამართლო უწყებით მოწვეულ იქნენ საქმის მსამზადებელ სხდომაზე განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, გამოუცხადებელი მხარის თანხმობის გარეშე საქმის განხილველი სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, საქმე განეხილა მთავარ სხდომაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIV თავით დადგენილი საქმის სასამართლოს მთავარი სხდომისათვის მომზადება წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების პირველ ეტაპს. ამ დროს სასამართლო, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოპასუხის ინფორმირებისა და სარჩელთან მიმართებით მისი პოზიციის წერილობითი ფორმით დაფიქსირებასთან ერთად, ამავე კოდექსის 203-ე მუხლის მიხედვით, წყვეტს ისეთ საკითხებს, რომელიც ხელს უწყობს მთავარ სხდომაზე საქმის ეფექტურ განხილვას. საქმის მთავარი სხდომისათვის მომზადების მიზნით, სასამართლოს, კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა. ამასთან, თუ მოსამართლე საქმეს საკმარისად მომზადებულად ცნობს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის შესაბამისად, მოსამზადებელი სხდომის გარეშე ნიშნავს სასამართლოს მთავარ სხდომას. სასამართლო ვალდებულია, გარკვევით შეატყობინოს მხარეებს,

თუ რა სახის სხდომაა დანიშნული. ამავე კოდექსის 205-ე მუხლის მეორე ნაწილი, როგორც საგამონაკლისო ნორმა ადგენს, რომ მოსამართლე უფლებამოსილია, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში მოსამზადებელი სხდომა გადაზარდოს მთავარ სხდომაში. დასახელებული ნორმის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს, თუ საქმეს მოსამზადებელ სხდომაზევე ჩათვლის საქმეს საკმარისად მომზადებულად, გადაზარდოს მთავარ სხდომაში. ასეთ შემთხვევაში, კანონმდებელი იმპერატიულად მოითხოვს, რომ მხარეები თანახმა იყვნენ აღნიშნულზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო, დასახელებული კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მთავარ სხდომას დანიშნავს სხვა დროსათვის, იმ ვარაუდით, რომ მოდავე მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოემზადონ ზეპირი შეჯიბრებისათვის. მხარეთა სავალდებულო თანხმობა მოსამზადებელი სხდომის მთავარ სხდომაში გადაზარდისათვის წარმოადგენს იმ მხარის უფლების დაცვის პროცესუალურ გარანტიას, რომელიც თვლის, რომ არ არის საკმარისად მომზადებული სასამართლოს მთავარ სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად. კანონის აღნიშნული დანაწესი იცავს, აგრეთვე, მოსამზადებელ სხდომაზე გამოუცხადებელ მხარეს მისი მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისაგან.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოპასუხისათვის გაგზავნილი უწყებით იგი ინფორმირებული იყო მოსამზადებელ სხდომაზე გამოსაცხადებლად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სარჩელი მთავარ სხდომაზე არასწორად იქნა განხილული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. დასახელებული ნორმით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების სავალდებულო პირობას წარმოადგენს მხარის სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობა და არა მოსამზადებელ სხდომაზე დაბარებული მხარის გამოუცხადებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებას გამოუცხადებელი მხარის მიმართ ვერ გამოიტანს. დასახელებული ნორმის იმპერატიული დანაწესი, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის სავალდებულო წინაპირობაა მხარის სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობა, თავისთავად გამორიცხავს გამოუცხადებელი მხარის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების, როგორც პროცესუალური სანქციის გამოყენების შესაძლებლობას. რაც შეეხება დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, როგორც პრეზუმფციას, რომ მოპასუხემ ცნო სარჩელი, აღნიშნული კანონმდებელმა დაარეგულირა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლით. აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევის გარდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საქმის მოსამზადებელ ეტაპზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. ამასთან, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მოსამზადებელ სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის ფაქტი სასამართლოს არ აძლევს იმის ვარაუდს, რომ გამოუცხადებლობა ჩათვალს მხარის თანხმობად საქმის მოსამზადებელი ეტაპის მთავარ სხდომაში გადაზარდისა, რაც შემდგომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება გახდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ო. რ-ოვის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა არსებითად განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ო. რ-ოვის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი; განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ას-446-418-2010 28 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ს-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს. გ. ს. კ-ის“ მიმართ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დავალდებულებისა და მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძველებით: 1999 წლის 9 დეკემბერს სს „ს-სა“ და სს „ს. გ. ს. კ-ას“ შორის 2000 წლის 9 ივნისამდე დაიდო ხელშეკრულება საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის მომსახურებაზე შემდგომი პროლონგაციით. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა სს „ს-ის“ მიერ გაზის მომხმარებელთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გაზმომარაგების უზრუნველსაყოფად კორპორაციის კუთვნილი მაგისტრალური გაზსადენების სისტემის ტექნიკური მომსახურება. სს „ს-მა“ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მაგისტრალური გაზსადენის სისტემის მომსახურების თაობაზე, რაც გაზის ტრანსპორტირების ტექნიკური ბალანსით დასტურდება. აღნიშნული არც მოპასუხეს გაუხდია სადავოდ. ამავე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით მოპასუხე სს „ს. გ. ს. კ-ას“ ეკისრებოდა სს „ს-სთვის“ მაგისტრალური სისტემის მომსახურებაზე შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება.

მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად 2000 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მოპასუხეს სს „ს-ის“ მიმართ წარმოეშვა ვალი 8502097,14 ლარის ოდენობით, საიდანაც 4622171,65 ლარი ძირითადი დებიტორული დავალიანებაა, ხოლო 3879925,5 ლარი - დარიცხული საურავი.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში, 1999 წლის 9 დეკემბრიდან 2000 წლის 9 ივნისამდე, სს „ს-ის“ მიერ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის მომსახურებაზე გაწეული მუშაობის შედეგად ტრანსპორტირებული ბუნებრივი გაზის მოცულობამ შეადგინა 1618416 მ³, ხოლო ტრანსპორტირების ღირებულების ასანაზღაურებელმა თანხამ - 5368218 ლარი. ხელშეკრულებაზე სს „ს-ის“ შენიშვნისა და მის მიერ მოპასუხისადმი გაგზავნილი 1999 წლის 3 დეკემბრის #06-12-02/978 წერილის გათვალისწინებით, 1999 წლის დეკემბრიდან 2000 წლის თებერვლის ჩათვლით 1000 მ³ ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების ღირებულება იყო 2,4 ლარი, ხოლო 2000 წლის 1 მარტიდან 9 ივნისის ჩათვლით - 4,5 ლარი.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 1999 წლის 25 ნოემბრის #63 გადაწყვეტილების საფუძველზე სს „ს. გ. ს. კ-ს“ დაუდგინდა ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების ტარიფი 12,9 ლარიდან 16,6 ლარამდე. შესაბამისად, იგი ავტომატურად უნდა გაზრდილიყო სს „ს-სთვისაც“, ვინაიდან საექსპლუატაციო ხარჯებს ამ პერიოდში ფაქტობრივად მოსარჩელე აწარმოებდა. ამავე პერიოდში ტრანსპორტირებისას ბუნებრივი გაზის ტექნოლოგიური დანაკარგების ზენორმატიულმა (6.48%) ოდენობამ შეადგინა 104873,4 მ³, ფაქტობრივმა დანაკარგმა - 96225,6 მ³. ხელშეკრულების 4.5 პუნქტის გათვალისწინებით ზენორმატიულ და ფაქტობრივ დანაკარგებს შორის სხვაობა, რაც სს „ს-ს“ უნდა აუნაზღაურდეს, შეადგენს 1010927,1 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „ს-სთვის“ კორპორაციას უნდა გადაეხადა 6379145,08 ლარი.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების თანახმად, მოპასუხეს ანგარიშსწორება უნდა ეწარმოებინა საანგარიშო მომდევნო თვის 10 რიცხვამდე. კორპორაციის მიერ ფაქტობრივად ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 621194 ლარი. ასანაზღაურებელი თანხიდან უნდა გამოქვითულიყო ასევე სს „ს-ის“ თანამშრომლებისთვის შესყიდული გაზის ღირებულება - 9349 ლარი და ზენორმატიული დანაკარგების ბუნებრივი გაზის მოცულობა 11017 მ³, 1126430 ლარის ღირებულებით, რაც ჯამში შეადგენს 1768516 ლარს. ამრიგად, მოპასუხის ძირითადმა დავალიანებამ 2000 წლის 1 ივლისისთვის შეადგინა 4622171,65 ლარი, რის შემდეგაც კორპორაციას ანგარიშსწორება არ უწარმოებია. მხარეთა შორის ურთიერთანგარიშსწორების აქტი არ გაფორმებულა მოპასუხის უსაფუძველო მოთხოვნებისა და აქტის გაფორმებისაგან თავის არიდების გამო. ამ საკითხთან დაკავშირებით

უთანხმოების შემთხვევაში მოსარჩელემ ზუსტი გაანგარიშების დასადგენად მოითხოვა საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარება.

მოპასუხის მიერ დავალიანების გადაუხდელობამ გამოიწვია სს „ს-ის“ ბიუჯეტისადმი დავალიანება, რამაც 7,3 მილიონ ლარს გადააჭარბა. დავალიანების გამო სს „ს-ს“ საგადასახადო ინსპექციის მიერ, საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის საფუძველზე, ყოველთვიურად ერიცხება საურავი გადაუხდელი თანხის 0,2%.

სს „ს. გ. ს. კ-მ“ შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს-ის“ მიმართ, რომლითაც თანხმობა განაცხადა მოსარჩელის სასარგებლოდ 3900992,40 ლარის ანაზღაურებაზე, მაგრამ ამავე დროს მოითხოვა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე და 394-ე მუხლების საფუძველზე მოსარჩელისათვის დავალიანების - 9996466,13 ლარის ანაზღაურების დაკისრება ან ამავე კოდექსის 442-ე და 444-ე მუხლების შესაბამისად მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შედეგად მოსარჩელისათვის 6095472,60 ლარის გადახდის დაკისრება შემდეგი მოტივებით: დაუსაბუთებელია მოსარჩელის მითითება, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პროლონგაცია სავალდებულო იყო, ვინაიდან ხელშეკრულების 11.1 პუნქტით მისი ვადა განისაზღვრა 6 თვით შესაძლო პროლონგაციით. მოსარჩელეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად არ შეუსრულებია, რაც მხარეთა შორის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი გახდა.

ასევე დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოსაზრება, რომ კორპორაცია ვალდებულია, აანაზღაუროს ძირითადი დავალიანების სახით 4622171,65 ლარი და საურავი - 3879925,50 ლარი. ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, მცდარია მოსარჩელის მოსაზრება შესრულებული სამუშაოს ყოველ 1000 მ³ ტრანსპორტირებულ გაზზე 4,5 ლარის მაჩვენებლით ანაზღაურების გაანგარიშების შესახებ. ამავე ხელშეკრულების 7.1 პუნქტის მიხედვით, აღნიშნულის თაობაზე ანაზღაურების - 2,4 ლარის შემცირების ან გაზრდის შესახებ მხარეები არ შეთანხმებულან და ხელშეკრულება სათანადო წესით არ გაუფორმებიათ.

საფუძველსაა მოკლებული მოსარჩელის მოთხოვნა დამატებითი ანაზღაურების შესახებ, რადგან ხელშეკრულების 4.5 პუნქტით კორპორაციამ უნდა აანაზღაუროს დანაკარგების შემცირების გზით მიღებული მოგების 30% ყოველთვიური ტექნიკური ბალანსების საფუძველზე. სემეკის მიერ დადგენილ ტარიფში არსებული მონაცემით მოგება განსაზღვრულია 14%-ით, ანუ 9,66 ლარი ყოველ 1000 მ³ დაზოგილ ბუნებრივ აირზე, რაც წარმოადგენს 7730 ლარს. ხელშეკრულების 4.5 პუნქტიდან გამომდინარე, მიუღებელია მოსარჩელის მიერ დამატებითი ანაზღაურების გაანგარიშება შემოსავლიდან 50%-ის ოდენობით. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა 1010927,10 ლარის ნაწილში მცდარია და მას შეეძლო მოეთხოვა მხოლოდ 7730 ლარის ანაზღაურება.

არასწორია მოსარჩელის პოზიცია "საქართველოს სათბობენერგეტიკის სამინისტროს დარგობრივ ნორმებთან დაკავშირებით", რომელიც ადგენს "მაგისტრალური გაზსადენებით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისას ტექნოლოგიური დანაკარგების ნორმატივებს - 6,48%-ს. აქვე აღსანიშნავია, რომ 6,48%-იანი ნორმა სემეკმა არ მიიღო და ტარიფი შეადგინა მხოლოდ მოქმედი გაზსადენების მიხედვით არსებულ დანაკარგზე, ანუ - 5,07%-ზე. ამ მეთოდის საფუძველზე მოსარჩელემ ზენორმატიული დანაკარგების დამატებით ასანაზღაურებელი თანხა არასწორად გამოიანგარიშა. სადავო არ არის, რომ სემეკის მიერ დადგენილი ნორმატივით გაზის ტრანსპორტირების დანაკარგად განსაზღვრულია 5,07%, ხოლო ხელშეკრულების 4.3 პუნქტის საფუძველზე სს „ს-ი“ ვალდებული იყო, აენაზღაურებინა ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისას ტარიფით გათვალისწინებული დანაკარგის ზევით მიღებული ზენორმატიული დანაკარგის საფასური გაზის საცალო ფასებით, სულ - 2976614 ლარი.

სს „ს-მა“ ასევე უნდა აანაზღაუროს კორპორაციის კუთვნილი ფართით სარგებლობის გადასახადი, ვინაიდან, აღნიშნული ფართის გამოუთავისუფლებლობის გამო, მხარეს არ მიეცა აღნიშნული შენობის გაქირავების შესაძლებლობა, რამაც გამოიწვია ზიანის მიყენება მიუღებელი შემოსავლის სახით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „ს. ნ. გ. კ-ის“ სარჩელი მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაკმაყოფილდა, სს „ს-ს“ შპს „ს. ნ. გ. კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 9996466.13 ლარის გადახდა. ამავე სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხის საჩივრის საფუძველზე აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის წარმოება განახლდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 აპრილის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „ს. ნ. გ. კ-ის“ სარჩელი, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, დაკმაყოფილდა - სს „ს-ს“ შპს „ს. ნ. გ. კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 9996466.13 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სს „ს-მა“ გაასაჩივრა საპელაგიო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის განჩინებით სს „ს-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოცემული საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში დანიშნული იყო 2009 წლის 24 აპრილს. აპელანტ სს „ს-ის“ წარმომადგენელმა ი. გ-მემ, პროცესამდე ერთი დღით ადრე - 2009 წლის 23 აპრილს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და განმარტა, რომ იგი 2009 წლის აპრილიდან გათავისუფლებული იყო სს „ს-ის“ იურიდიული განყოფილების უფროსის თანამდებობიდან და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე უარს აცხადებდა წარმომადგენლის უფლებამოსილებაზე.

სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით არ დგინდება, რომ სს „ს-ის“ იურიდიული სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლებით, წარმომადგენელი ი.გ-მე საერთოდ გათავისუფლდა დაწესებულებიდან, ვინაიდან იურიდიული სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლება არ ნიშნავს იმას, რომ პირი ვეღარ განახორციელებდა ორგანიზაციის წარმომადგენლობას. შესაძლებელია, იგი გადაყვანილი ყოფილიყო უფრო დაბალი რანგის თანამდებობაზე (მაგალითად, რიგით იურისტად) ან დაწინაურებულიყო ისეთ თანამდებობაზე, რომელსაც შესაძლებლობა ექნებოდა, განეხორციელებინა წარმომადგენლობა სასამართლოში. ეს გარემოება სასამართლოს მიერ გამორკვეული და გათვალისწინებული არ ყოფილა. სასამართლოს ასევე არ გამოუკვლევიო იყო თუ არა ინფორმირებული ი. გ-მის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე მარწმუნებელი ორგანიზაცია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის, მე-100 მუხლის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ წარმომადგენელს უფლება აქვს, საქმის წარმოების ყველა სტადიაზე ყოველგვარი მოტივირების გარეშე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, თუმცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც აღნიშნულის თაობაზე წარმომადგენელი აცნობებს როგორც სასამართლოს, ასევე, მის მარწმუნებელს. მარწმუნებლისთვის ცნობები ამ მუხლის იმპერატიული მოთხოვნაა, ვინაიდან მხარეს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ თვითონ მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში ან/და აიყვანოს ახალი წარმომადგენელი. აღნიშნული მუხლის ბოლო წინადადებაც სწორედ იმის თაობაზე მიუთითებს, რომ სასამართლო ნიშნავს დროს, როდესაც წარმომადგენელს უფლება აქვს შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა. დროს სასამართლო ნიშნავს სწორედ იმ გონივრული ვარაუდით, რომ მარწმუნებელმა თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში ან აიყვანოს ახალი წარმომადგენელი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ გაუთვალისწინებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის დანაწესი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო, შეატყობინა თუ არა წარმომადგენელმა თავის მარწმუნებელს უფლებამოსილების მოხსნის თაობაზე, სასამართლოს არ უნდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ვინაიდან ამ ტიპის საპროცესო აქტი წარმოადგენს ერთგვარ სადამსჯელო ზომას არაპატივსაღებ მიზეზის გამო გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ. განსახილველ შემთხვევაში კი მარწმუნებელი იმედოვნებდა, რომ მისი პროცესზე გამოცხადება უზრუნველყოფილი იყო წარმომადგენელ ი.გ-მით. ამდენად, იმ გარემოების გამორკვევის გარეშე, საერთოდ აცნობა თუ არა ი.გ-მემ მარწმუნებელ ორგანიზაციას და თუ - როდის აცნობა უფლებამოსილების მოხსნის შესახებ, ჰქონდა თუ არა მარწმუნებელს გონივრული ვადა ახალი რწმუნებულის ასაყვანად, სასამართლოს მხარის პროცესზე გამოუცხადებლობა საპატიო გარემოებად უნდა შეეფასებინა, რაც გამოწვეული იყო ობიექტური გარემოებით.

პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებული იყო, გადაედო საქმის განხილვა და დრო მიეცა სს „ს-სათვის“ ახალი წარმომადგენლის დასანიშნად, რადგან საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება წარმომადგენლის მიერ მარწმუნებლის ინფორმირებულობის შესახებ.

სააპელაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელსაც საქმის განხილვის თარიღი კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი აცნობა სასამართლოს. ამდენად, სასამართლოში მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს მის მიერ საქმის განხილვისადმი ყოველგვარი ინტერესის დაკარგვის ვარაუდს, რასაც შედეგად მოჰყვება მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით, სარჩელის აღძვრიდან განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე არ დასტურდება ის ფაქტი, რომ სს „ს-მა“ დაკარგა ინტერესი საქმის განხილვისადმი.

ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხე „ს-ის“ სხდომაზე გამოუცხადებლობა განპირობებული იყო ობიექტური გარემოებით, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალიზიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „ს. ნ. გ. კ-მ“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 377-ე მუხლები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა. შესაბამისად, პალატამ დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი და გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის ერთადერთ საფუძველად აპელანტი მიუთითებდა სასამართლოს მთავარი სხდომის ჩანიშნვის შესახებ სასამართლო უწყების კანონის დაცვით ჩაუბარებლობის ფაქტს, სააპელაციო პალატამ კი იმსჯელა ისეთ გარემოებებზე, რაც სააპელაციო საჩივარში ასახული არ იყო. აღნიშნული საპროცესო დარღვევის არარსებობისას სასამართლო არ დააკმაყოფილებდა სააპელაციო საჩივარს, ვინაიდან სს „ს-სათვის“ სადავო სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება საქმეში წარმოდგენილ შეტყობინების ბარათზე საზოგადოების წარმომადგენელ გ-ძის მიერ 2009 წლის 14 აპრილით დათარიღებული ხელმოწერით. სააპელაციო პალატამ უგულვებელყო ის გარემოება, რომ სამოქალაქო პროცესში სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მოთხოვნებით, ასევე, აღნიშნულ მოთხოვნათა დასაბუთების საშუალებებით.

ამდენად, სასამართლომ არასწორად იმსჯელა ი. გ-ძის, როგორც სს „ს-ის“ წარმომადგენლის უფლებამოსილების თაობაზე და თავისი განჩინება აღნიშნული საკითხის შეფასებას უკანონოდ დააფუძნა.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე და 185-ე მუხლები, ვინაიდან სს „ს-ს“ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილი არ ჰქონდა. 2009 წლის 4 ივნისის, 29 ივნისისა და 23 ივლისის განჩინებებით მას დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა განსაზღვრულ ვადაში მისი გამოსწორება. განჩინებებში მიეთითა, რომ სასამართლოს მიერ აღნიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად. სს „ს-მა“ ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ვერ შეავსო, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ 2009 წლის 25 სექტემბერს, მის მიერ დადგენილი 10-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, არ უთხრა უარი მხარეს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე, არამედ გასცდა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და ამავე წლის 15 ოქტომბერს საჩივარი წარმოებაში მიიღო. ამასთან, აპელანტს საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მოუპარტავს. 2009 წლის 25 სექტემბრის შემდეგ სს „ს-ს“ ხარვეზი რომც შეევსო, ანუ სახელმწიფო ბაჟი გადაეხადა ან წარედგინა უტყუარი მტკიცებულებები ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე, სასამართლოს მაინც არ უნდა მიეღო წარმოებაში სააპელაციო საჩივარი, რადგანაც ხარვეზი შეივსებოდა საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ. სააპელაციო პალატამ კი სადავო სააპელაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო აპელანტის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის მიუხედავად. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებასთან ერთად ასევე საჩივრდება 2009 წლის 15 ოქტომბრის განჩინებაც.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილი. აღნიშნული ნორმით ამომწურავადაა განსაზღვრული ის გარემოებები, რა დროსაც დაუშვებელია სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს 233-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული არც ერთი გარემოება არ არსებობდა, შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილი იყო, გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, სააპელაციო პალატა გასცდა ზემოხსენებული ნორმით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და დაარღვია მისი დანაწესი, რამაც გამოიწვია საქმეზე არასწორი და უკანონო გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ შპს „ს. ნ. გ. კ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას შემდეგი გარემოებები დაუდო საფუძვლად: სს „ს-ის“ წარმომადგენელმა სასამართლოს მთავარ სხდომამდე ერთი დღით ადრე აცნობა წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე უარის თქმის შესახებ. საქმიდან კი არ ირკვეოდა, იყო თუ არა მარწმუნებული აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება.

ამდენად, თუ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით ინფორმირებულია სასამართლო სხდომის თაობაზე და არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ამ სხდომაზე, აღნიშნული შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილზე. იმავე კოდექსის 74-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე კი, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2009 წლის 24 აპრილის სასამართლო სხდომის შესახებ უწყება, სს "ს-ის" სახელზე გაიგზავნა სასამართლოსათვის ცნობილი ორივე მისამართზე. საქმეში წარმოდგენილი შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ აღნიშნული უწყება სს "ს-ის" კანცელარიას 2009 წლის 14 აპრილს ჩაჰბარდა, ამდენად, სასამართლო სხდომის თაობაზე ინფორმირებული იყო უშუალოდ მარწმუნებელი.

2009 წლის 23 აპრილს, სხდომის წინა დღეს, სს "ს-ის" წარმომადგენელმა ი. გ-მემ სასამართლოს განცხადებით მიმართა და აცნობა, რომ ვინაიდან აპრილიდან გათავისუფლდა მოპასუხე საზოგადოების იურიდიული სამსახურის უფროსის თანამდებობიდან, წარმომადგენლის უფლებამოსილებაზე უარს აცხადებდა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ საქმიდან არ ირკვევა, აცნობა თუ არა წარმომადგენელმა მხარეს საპროცესო უფლებამოსილებაზე უარის თქმის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, წარმომადგენელს უფლება აქვს, საქმის წარმოების ყველა სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს როგორც სასამართლოს, ისე მის მარწმუნებელს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში და აიყვანოს ახალი წარმომადგენელი. ამის გათვალისწინებით სასამართლო დანიშნავს დროს, როცა წარმომადგენელს უფლება აქვს შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა.

აღნიშნული ნორმის ანალიზიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ იგი, ერთი მხრივ, ადგენს წარმომადგენლის უფლებას, პროცესის ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, მეორე მხრივ კი მარწმუნებლის დროულად ინფორმირების ვალდებულებას, ამასთან ინფორმირება ემსახურება მარწმუნებლის ინტერესების დაცვას, რათა მან თავად უზრუნველყოს პროცესზე გამოცხადება ან ახალი წარმომადგენლის აყვანა მოახერხოს. ნორმის მიზანი არ არის უშუალოდ რწმუნებულის მიერ შეტყობინების ფორმალური მოთხოვნის შესრულება. მთავარია, მხარე დროულად იყოს ინფორმირებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. ამავდროულად, მარწმუნებლის დროული ინფორმირება არა მხოლოდ წარმომადგენელსა და მარწმუნებელს შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ვალდებულებების დაცვას ემსახურება, არამედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმით უზრუნველყოფილია სამოქალაქო სამართალწარმოების ეფექტურობისა და ეკონომიურობის პრინციპი – სასამართლოში საქმის განხილვის გადადების თავიდან აცილება.

განსახილველ შემთხვევაში წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე უარის თქმა, წარმომადგენლის მითითებით, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზით მოხდა. შესაბამისად, დამსაქმებელი ორგანიზაციისათვის, რომელიც, მარწმუნებელსაც წარმოადგენდა, იმთავითვე ცნობილი იყო ამ გარემოებების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ მარწმუნებელი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, შესაძლოა, გაფრთხილებული არ ყოფილიყო, საფუძველს მოკლებულია. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ წარმომადგენელს მითითება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე რაიმე მტკიცებულებით არ დაუდასტურებია.

საკასაციო პალატა, ასევე, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო სხდომის თაობაზე უშუალოდ მხარე იყო ინფორმირებული, სხდომის ჩატარებამდე საკმარისი დროით (10

დღით) ადრე. შესაბამისად, მოპასუხე ორგანიზაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირებს ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ პროცესზე გამოცხადება უზრუნველყოთ. სასამართლო, ასევე, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ სამსახურიდან გათავისუფლება უალტერნატივოდ არ ნიშნავს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაუქმებას. იურიდიულ პირს შეუძლია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიაწოდოს როგორც მის ორგანოში მომუშავე, ისე სხვა პირს, თუნდაც ყოფილ თანამშრომელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობდა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 აპრილის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები: მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა საჭირო არ არის, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველები (მხარის გამოუცხადებლობის ფაქტი, გამოუცხადებლობის მიზეზი) კანონის დარღვევის გარეშე დადგენილი, ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოცემულ დავაზე სააპელაციო სასამართლოს შეფასებასა და სწორი სამართლებრივი შეფასების საფუძველზე იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ს. ნ. გ. კ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
 2. მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
 3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 აპრილის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
- საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო განჩინება

#ას-88-93-2010 8 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),
მ. სულხანიშვილი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელმა, მოპასუხე შპს „ს-ის“ მიმართ და მოითხოვა საიჯარო ქირისა და ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის დარიცხული საურავის, სულ 22793,61 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრება, ასევე, ქ.ბათუმში, ქ.#17-ში მდებარე საიჯარო ქონების - კინოთეატრ „ი-ის“ შენობის დაბრუნების დავალდებულება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა - შპს „ს-ს“, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა საიჯარო დავალიანებისა და ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის საიჯარო ქირის

- 20558,55 აშშ დოლარისა და დარიცხული საურავის - 2235,06 აშშ დოლარის, სულ - 22793,61 აშშ დოლარის გადახდა; მოპასუხე შპს „ს-ს“ დაევალა იჯარით აღებული ქონების ქ.ბათუმში, ... ქ.#17-ში მდებარე კინოთეატრ „ი-ის“ ბალანსზე რიცხული 656,6 კვ.მ-ის აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის დაბრუნება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

დასახელებული გადაწყვეტილება შპს „ს-ის“ დირექტორმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა მისი გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 6 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, შპს „ს-ის“ დირექტორის თ. შ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა შპს „ს-ის“ დირექტორმა თ. შ-იამ.

2009 წლის 23 დეკემბრის განჩინებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ შპს „ს-ის“ დირექტორის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, ძალაში დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 6 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 6 ნოემბრის სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვევისა და გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე შპს „ს-ის“ დირექტორ თ. შ-იას უწყება ჩაჰბარდა პირადად 2009 წლის 26 ოქტომბერს, ხოლო თ. შ-იას სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე სასამართლოსთვის წინასწარ არ უცნობებია.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი შპს „ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ 2009 წლის 10 ნოემბერს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაცემული #129 ცნობა, რის მიხედვითაც, თ. შ-ია 2009 წლის 5 ნოემბრიდან 9 ნოემბრამდე იმყოფებოდა ავად დიაგნოზით - დაუზუსტებელი ეტიოლოგიის ნაწლავური ინფექცია (კვებითი ინტოქსიკაცია), რის გამოც გადიოდა ამბულატორიულ მკურნალობას.

პალატამ აღნიშნა, რომ შპს „ს-ის“ დირექტორის მიერ წარმოდგენილი ავადმყოფობის ცნობა არ შეიცავს საქართველო სამოქალაქო კოდექსის 215-ე მუხლით დადგენილი წესით მითითებას იმ გარემოებაზე, რომ ავადმყოფობის გამო შეუძლებელი იყო 2009 წლის 6 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე თ. შ-იას გამოცხადება.

იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტს უწყება ჩაჰბარდა 2009 წლის 26 ოქტომბერს, საკმარისი დრო ჰქონდა 2009 წლის 6 ნოემბრის სხდომაზე გამოცხადებისათვის მოსამზადებლად, მითითებულ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება 2009 წლის 5-9 ნოემბერს შპს „ს-ის“ დირექტორის ავადმყოფობა, ვინაიდან ავადმყოფობის დასადასტურებლად წარმოდგენილი ცნობა არ შეიცავს მითითებას გამოცხადების (გადაადგილების) შეუძლებლობის თაობაზე.

პალატამ ასევე აღნიშნა, რომ აპელანტის ავადმყოფობის მიზეზით ერთხელ უკვე გადაიდო საქმის განხილვა სხვა დროისათვის და თუკი იგი პირადად ვერ ახერხებდა პროცესზე გამოცხადებას, ასეთ შემთხვევაში შეეძლო საქმის განხილვაში მონაწილეობა მიეღო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დადგენილი წესით დანიშნული წარმომადგენლის მეშვეობით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განუხორციელებია.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 დეკემბრის განჩინება შპს „ს-ის“ დირექტორმა თ. შ-იამ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი ავადმყოფობა, რის გამოც ვერ შეძლო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადება და უკანონოდ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინებისა და 2009 წლის 6 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2009 წლის 6 ნოემბრის სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვევის თაობაზე შპს „ს-ის“ დირექტორს თ. შ-იას უწყება ჩაჰბარდა პირადად 2009 წლის 26 ოქტომბერს.

დადგენილია, რომ 2009 წლის 6 ნოემბერს სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე აპელანტს, თ. შ-ის სასამართლოსათვის წინასწარ არ უცნობებია.

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებით, შპს "ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო-ს" მიერ 2009 წლის 10 ნოემბერს, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაცემული #129 ცნობით დადგენილია, რომ თ. შ-ია 2009 წლის 5 ნოემბრიდან 9 ნოემბრამდე იმყოფებოდა ავად დაავადებით - დაუზუსტებელი ეტიოლოგიის ნაწლავური ინფექცია (კვებითი ინტოქსიკაცია), რის გამოც გადიოდა ამბულატორიულ მკურნალობას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შპს "ს-ის" დირექტორის მიერ წარმოდგენილ ავადმყოფობის ცნობაში, მართალია აღნიშნულია თ. შ-ის ავადმყოფობის თაობაზე, მაგრამ დასახელებული ცნობა არ შეიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით დადგენილი წესით მითითებას იმ გარემოებაზე, რომ ავადმყოფობის გამო შეუძლებელი იყო 2009 წლის 6 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე თ. შ-ის გამოცხადება. ამასთან, 215-ე მუხლი იმპერატიულად მოითხოვს, რომ ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით. კასატორის მიერ წარმოდგენილ ცნობაში კი დაწესებულების ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელის მოადგილის ხელმოწერისთვის განკუთვნილ გრაფაში არ არსებობს აღნიშნული ხელმოწერა, რაც სრულიად გაუგებარს ხდის, თუ საერთოდ ვის მიერაა ცნობა ხელმოწერილი.

საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ ვერ იქნება გაზიარებული საჩივრის ავტორის მითითება იმის თაობაზე, რომ რადგანაც 2009 წლის 20 ოქტომბერს პირველი სხდომა მისი ავადმყოფობის მიზეზით გადაიდო, სასამართლო ვალდებული იყო, მომდევნო სხდომაც მისი გამოუცხადებლობისას იგივე მიზეზის გამო კვლავ გადაედო.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმის მასალები შეიცავდა საკმარის ინფორმაციას მისი ავადმყოფობის თაობაზე, რაც შეიძლება 2009 წლის 6 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად იქნეს მიჩნეული დაუსაბუთებელია და არაარგუმენტირებულია.

იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტს უწყება ჩაჰპარდა 2009 წლის 26 ოქტომბერს მას საკმარისი დრო ჰქონდა 2009 წლის 6 ნოემბრის სხდომაზე გამოცხადებისათვის მოსამზადებლად, თუნდაც წარმომადგენლის ასაყვანად.

მითუმეტეს, რომ აპელანტის ავადმყოფობის მიზეზით ერთხელ უკვე გადაიდო საქმის განხილვა სხვა დროისათვის და თუკი იგი პირადად ვერ ახერხებდა პროცესზე გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში შეეძლო საქმის განხილვაში მონაწილეობა მიეღო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით დანიშნული წარმომადგენლის მეშვეობით, რაც მოცემულ შემთხვევაში მხარეს არ განუხორციელებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარის გამოუცხადებლობა არ განეკუთვნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებას, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, მით უფრო, რომ ამ გარემოების შესახებ მხარეს სასამართლოსთვის წინასწარ არ უცნობებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს "ს-ის" დირექტორ თ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
 უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 დეკემბრის განჩინება;
 განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების
ბათილობის საფუძველი**

განჩინება

#ას-419-392-2010

27 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
პ. ქათამაძე

სარჩელის დავის საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 8 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. გ-იხმა მოპასუხეების - ს. ჩ-ძის, შპს "ა. ს. ც-სა" და იმერეთის სააღსრულებო ბიუროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა:

ა. შპს "ა. ს. ც-ის" 2003 წლის 25 დეკემბრის #01/90 აუდიტორული დასკვნის უკანონოდ აღიარება;

ბ. კრედიტორ ს. ჩ-ძის რწმუნებულ ი. გ-ძეს, აღმასრულებელ მ. გ-ძესა და შპს შპს "ა. ს. ც-ს" შორის შემდგარი გარიგების კანონსაწინააღმდეგოდ აღიარება;

გ. აუდიტორული დასკვნისა და მის შესაბამისად აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა;

დ. კრედიტორ ს. ჩ-ძის რწმუნებულ ი. გ-ძეს, აუდიტ ვ. ბ-ძეს და აღმასრულებელ მ. გ-ძეს შორის შემდგარი გარიგების კანონსაწინააღმდეგოდ აღიარებით მათი ქმედების, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების ხელშეწყობის აღიარება;

ე. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის რეესტრში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების დავალება და 27კვ.მ სადავო დამხმარე ფართის (რომელიც იპოთეკით არ იყო დატვირთული) მ. გ-იხის საკუთრებაში აღრიცხვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. გ-იხის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-იხმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. გ-იხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოძახებული პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. ამავე კოდექსის 70-ე მუხლის მიხედვით, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილზე. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩამბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მ. გ-იხს გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით, კერძოდ, 2009 წლის 30 დეკემბერს უწყება ჩაჰბარდა აპელანტის რძალს - მ. ს-ძეს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2010 წლის 15 იანვრის მთავარ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარეებმა - ს. ჩ-ძემ და იმერეთის სააღსრულებო ბიურომ იმუამდგომლეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენები, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი სამედიცინო ცნობიდან ირკვეოდა, რომ მ. გ-იხს 2010 წლის 15 იანვარს ჰქონდა ჰიპერტონული კრიზი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი საპატიო მიზეზად განიხილავს მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობას, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით,

ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. გ-იხზე გაცემულ სამედიცინო ცნობაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად არ იყო მითითებული აპელანტის სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ. გარდა ამისა, მ. გ-იხს 2010 წლის 15 იანვრის სასამართლო პროცესის შესახებ სასამართლო უწყება ჩაჰბარდა 2009 წლის 30 დეკემბერს. აქედან გამომდინარე, მას საკმაო დრო ჰქონდა, თავისი უფლებების დაცვა მიენდო წარმომადგენლისათვის.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გასაჩივრა მ. გ-იხმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, 2010 წლის 15 იანვრის სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზს საკმარისად ასაბუთებს საქმეზე წარდგენილი შპს "სასწრაფო სამედიცინო სამსახური - 03-ის" ხელმძღვანელის ცნობა. რაც შეეხება სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერილი დოკუმენტით სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე პირდაპირ მითითებას, მის მიერ პროცესზე წარმოდგენილი დოკუმენტის გარდა სასწრაფო დახმარების სამსახური კერძო პირზე სხვა შინაარსის დოკუმენტს არ გასცემს. აღნიშნული სამსახურის განმარტებით, შეეძლო თუ არა ბარათში მითითებული დაავადებით ავადმყოფს სასამართლოში გამოცხადება, ამ შეკითხვას ისინი არა კერძო პირის, არამედ - სასამართლოს მიერ ოფიციალურად გაგზავნილი შეკითხვის შესაბამისად გასცემენ. ამიტომ საჩივრის ავტორმა იშუამდგომლა სასწრაფო სამედიცინო დაწესებულებისადმი შეკითხვით მიმართვა ან განმარტებისათვის ექიმის პროცესზე მოწვევა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 თებერვლის განჩინებით მ. გ-იხის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია, რომ 2010 წლის 15 იანვრის სხდომაზე აპელანტი მ. გ-იხი მიწვეული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; აპელანტი სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადებულა, ხოლო მის მიერ სხდომის დღეს სასამართლოში წარდგენილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბარათში ასახული ინფორმაცია სააპელაციო სასამართლომ არ ჩათვალა სხდომის გადადების საფუძვლად; სხვა მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა, რომ 2010 წლის 15 იანვარს მ. გ-იხს არ შეეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება, საჩივრის ავტორს არ წარუდგენია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ არ შეეძლო მოეპოვებინა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი მტკიცებულებები. აღნიშნულთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა "საექიმო საქმიანობის შესახებ" კანონის 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, პაციენტს მისთვის მისაღები ფორმით მიაწოდოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მ. გ-იხს შეეძლო მოეპოვებინა და სასამართლოში წარედგინა ცნობა თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნას სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. რამდენადაც საჩივრის ავტორს არ წარუდგენია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა მ. გ-იხის სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 241-ე მუხლებით დადგენილი საფუძვლები. შესაბამისად, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლელად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება მ. გ-იხმა გაასაჩივრა საკასაციო წესით. კასატორი ითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 26 თებერვლის განჩინების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნებას.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა იმ ვითარებაში, როდესაც აპელანტს წარდგენილი ჰქონდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის 2010 წლის 15 იანვრის ცნობა მ. გ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ცნობაში ასახული დიაგნოზი - ჰიპერტონული კრიზი, აშკარად გამორიცხავდა 2010 წლის 15 იანვრის სხდომაზე მ. გ-ის გამოცხადებას, ამიტომ კასატორისათვის გაუგებარია, თუ რატომ არ გაითვალისწინა სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას დასახელებული მტკიცებულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებ მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მითითებული 233-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენები, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებები ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 იანვრის სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიობას, რის გამოც არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

საქმეზე დასტურდება, რომ 2010 წლის 15 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი იყო შპს "სასწრაფო სამედიცინო სამსახური 03-ის" ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მ. გ-ის 2010 წლის 15 იანვარს ჰქონდა ჰიპერტონული კრიზი. დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ გასაჩივრებული განჩინების გამოტანის დროისათვის მ. გ-იმ სასამართლოს განუმარტა შემდეგი: რაც შეეხება სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერილი დოკუმენტით სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე პირდაპირ მითითებას, მის მიერ პროცესზე წარდგენილი დოკუმენტის გარდა სასწრაფო დახმარების სამსახური კერძო პირზე სხვა შინაარსის დოკუმენტს არ გასცემს, შეკითხვაზე პასუხს - შეეძლო თუ არა ბარათში მითითებული დაავადებით ავადმყოფს სასამართლოში გამოცხადება, ისინი არა კერძო პირის, არამედ - სასამართლოს მიერ ოფიციალურად გაგზავნილი შეკითხვის შესაბამისად გასცემენ. მ. გ-ის მითითებული განმარტების სარწმუნოებას ადასტურებს საქმეზე წარდგენილი შპს "ქუთაისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური - 03-ის" დირექტორის 1.06.2010წ. #70 წერილი. მასში აღნიშნულია, რომ შეკითხვაზე - შეეძლო თუ არა არსებული ავადმყოფობის პირობებში მ. გ-ის პროცესზე გამოცხადება, ცნობის გაცემა სცილდება მათი კომპეტენციის ფარგლებს.

საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასება ასევე საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ ავადმყოფობის ცნობაში ასახული დიაგნოზით (ჰიპერტონული კრიზი), ალბათობის მაღალი ხარისხით, მ. გ-ი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 2010 წლის 15 იანვარს დანიშნულ სხდომაზე ვერ გამოცხადდებოდა. ამასთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები, რომ ავადმყოფი, რომელსაც მითითებული დიაგნოზი დაესვა - მ. გ-ი - იყო 82 წლის, ასევე, საქმის მასალების თანახმად, აპელანტი ხშირად ავადმყოფობდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. გ-ის მიმართებით არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საპროცესო საფუძველი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება 2010 წლის 15 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, ისევე როგორც 2010 წლის 15 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, ხოლო საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, მ. გ-ის სარჩელის კონკრეტული მოთხოვნები არის თუ არა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსჯადი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
 გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 თებერვლის განჩინება, 2010 წლის 15 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
 საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლები

განჩინება

#ას-601-564-2010 11 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი
 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
 შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
 ლ. ლაზარაშვილი,
 პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალდებულება, მემკვიდრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-ანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ჯ-შვილისა და ლ. დ-შვილის მიმართ გ. ტ-ანის პირველი რიგის მემკვიდრედ ცნობისა და ნოტარიუსისათვის შესაბამისი სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალების შესახებ შემდეგი საფუძვლით: სასამართლო გადაწყვეტილებით აწ გარდაცვლილი გ. ტ-ანი ცნობილ იქნა მოსარჩელის მამად, მოპასუხეები კი არიან მისი მეხუთე რიგის მემკვიდრეები. ამდენად, გ. გ-ანს არასწორად ეთქვა უარი მამის სამკვიდროს მიღებაზე.

ა. ჯ-შვილმა და ლ. დ-შვილმა სარჩელი არ ცნეს და შეგებებული სარჩელით მიმართეს სასამართლოს გ. ტ-ანის გ. გ-ანის მამად ცნობის შესახებ აქტის გაუქმების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით გ. გ-ანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც გ. გ-ანმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. გ-ანის სააპელაციო საჩივარი, მოწინააღმდეგე მხარეების გამო, დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და გ. გ-ანის სარჩელი დაკმაყოფილდა, გ. გ-ანი ცნობილ იქნა 1998 წლის 29 აპრილს გარდაცვლილი გ. ტ-ანის პირველი რიგის მემკვიდრედ და ქ. თბილისში, ... გამზირის #97-ში მდებარე ... ბინაში მდებარე მისი დანაშთი ქონების მესაკუთრედ. ამავე სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის განჩინებით ა. ჯ-შვილის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ ისეთი გარემოების დადასტურება, რომელიც სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობისა და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის დროულად შეუტყობინებლობის საპატიო მიზეზზე მიუთითებს. ამდენად, კანონმდებელი მხარეს აკისრებს ვალდებულებას, დროულად აცნობოს სასამართლოს თავისი გამოუცხადებლობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში სათანადო მტკიცებულებით დაადასტუროს ისეთი გარემოებების არსებობა, რომლის გამოც გამოუცხადებლობის მიზეზის სასამართლოსათვის დროულად შეტყობინება შეუძლებელი გახდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ა. ჯ-შვილს ეცნობა 2010 წლის 18 თებერვლის სხდომის შესახებ და გამოუცხადებლობის შედეგებთან დაკავშირებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, რაც თავად სადავოდ არ გაუხდია. პალატამ მიიჩნია, რომ ამავე კოდექსის 241-ე და 233-ე მუხლებით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სხვა საფუძვლის არსებობა საქმის მასალებით არ ირკვევა.

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგინილ საპატიო მიზეზად არ ჩათვალა მხარის მითითება 2010 წლის 17 თებერვალს ა. ჯ-შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ, რადგან აღნიშნული გარემოება, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის დაცვით, სათანადოდ არ დადასტურებულა. სამედიცინო ცნობა, რომელიც მხარემ სადავო გარემოების დასადასტურებლად წარადგინა, სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი არ არის. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. ჯ-შვილი ავად გახდა რა 2010 წლის 17 თებერვალს, მითითებულის თაობაზე სასამართლოს არ აცნობა და არც სააპელაციო პალატის გაუფრთხილებლობის საპატიო მიზეზზე არ მიუთითა.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება და ამავე სასამართლოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე ა. ჯ-შვილის წარმომადგენელმა ლ. ლ-იამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ კასატორს არ ჩააბარა მოწინააღმდეგე მხარის შესაგებელი, რითაც დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი და მხარეს არ მისცა შესაძლებლობა, უარეყო მასში დასახელებული არგუმენტები, კერძოდ, შესაგებლის ავტორმა ეჭვქვეშ დააყენა იმ ექიმის კომპეტენტურობა, რომელმაც 2010 წლის 18 თებერვალს ა. ჯ-შვილს გულის შეტევა დაუდგინა. აღნიშნული შესაგებლის ჩაბარების შემთხვევაში კასატორი წარადგენდა ექიმის სათანადო სერტიფიკატს. ამასთან, მითითებულ საკითხზე სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის სხდომაზე არ უმსჯელია. სააპელაციო სასამართლოს არ შეუძლონ აპელანტის მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლთან მიმართებით და არ შეუფასებია, რომ გ. გ-ანის მოთხოვნა ხანდაზმული იყო, რადგან თავად მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ სადავო ქონება მიიღო რამოდენიმე წლით უფრო ადრე, ვიდრე იგი სარჩელს აღძრავდა სასამართლოში.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას გ. გ-ანის წარმომადგენელმა მ. ნ-მემ წარადგინა #ა-1693-10 განცხადება, რომელსაც დაურთო წერილობითი მტკიცებულებები 3 ფურცლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელსაც საქმის განხილვის თარიღი კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც აცნობა სასამართლოს სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე. სასამართლოში მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს მის მიერ საქმის განხილვისადმი ინტერესის დაკარგვის ვარაუდს, რასაც შედეგად მოჰყვება მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამასთან, თუ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდება აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, სასამართლოს შეუძლია სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, დამატებითი გამოკვლევის გარეშე, მიიჩნიოს დამტკიცებულად, რაც სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ 2010 წლის 18 თებერვლის სასამართლო სხდომის თაობაზე ა. ჯ-შვილსა და ლ. დ-შვილს კანონის მოთხოვნათ დაცვით ეცნობათ, თუმცა ისინი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდნენ და არც აღნიშნულის საპატიო მიზეზის შესახებ სასამართლოს არ აცნობეს.

ა. ჯ-შვილი თავის გამოუცხადებლობის მიზეზად უთითებს ავადმყოფობას, რის დასადასტურებლადაც წარმოდგენილი აქვს ექიმ-კარდიოლოგ ლ. ჯ-შვილის მიერ 2010 წლის 17 თებერვალს გაცემული ცნობა. ექიმი ადასტურებს, რომ 2010 წლის 17 თებერვალს ბინაზე მოინახულა ა. ჯ-შვილი და დაუსვა დიაგნოზი გულის იშემიური დაავადება, სტენოკარდია, ჰიპერტენზია და დაუნიშნა წოლითი რეჟიმი 1 კვირის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სავსებით სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა აღნიშნულ მტკიცებულებას და ა. ჯ-შვილის გამოუცხადებლობისა და ამის შესახებ სასამართლოსათვის შეუტყობინებლობის საპატიო მიზეზად არ ჩათვალა, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოე-

ბებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება, კერძოდ, ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა ობიექტურ გარემოებებს, რომლებსაც შეეძლოთ მხარისათვის ხელი შეეშალათ. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა ხსენებული ნორმის დანაწესს არ შეესაბამება, ვინაიდან მითითებულ დოკუმენტს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი არ აწერს ხელს. ასეც რომ არ იყოს, მხარის მითითებით იგი ავად გახდა სასამართლო სხდომის წინა დღეს, რაც არ გამოირიცხავს ა. ჯ-შვილის მიერ სასამართლოსათვის თავისი ავადმყოფობის შეტყობინების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ მას არ ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარის შესაგებელი მის მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ წარდგენილ საჩივარზე და შესაძლებლობა არ მიეცა, უარეყო გ. გ-ანის მოსაზრებანი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებისას სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო არა გ. გ-ანის შესაგებლის მოტივებს, არამედ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობასა და აღნიშნულის თაობაზე სასამართლოსათვის შეუტყობინებლობის ფაქტს, ა. ჯ-შვილის მიერ წარდგენილი სამედიცინო ცნობა კი შეაფასა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის დანაწესთან მიმართებით.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია და სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია გ. გ-ანის მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლთან მიმართებით, კერძოდ:

როგორც განჩინების კვლევით ნაწილში უკვე აღინიშნა, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობა შესაძლებლობას ანიჭებს სააპელაციო სასამართლოს, დავის გადაწყვეტისას დაეყრდნოს მხოლოდ აპელანტის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს. დასახელებული კანონის დანაწესის საფუძველზე, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობისა და აღნიშნულის საპატიო მიზეზის სასამართლოსათვის შეუტყობინებლობის გამო, სააპელაციო პალატამ დადგინილად ჩათვალა გ. გ-ანის სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოება, რომ გ. გ-ანი არის 1998 წლის 29 აპრილს გარდაცვლილი გ. ტ-ანის შვილი, რომლის დანაშთი სამკვიდრო უძრავი ქონებაც მან ფაქტობრივი ფლობით მიიღო.

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სწორედ სამოქალაქო კოდექსის 1306-ე, 1336-1337-ე და 1421-ე მუხლებით შეაფასა.

სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას, სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლის შესაბამისად, უნდა ემსჯელა გ. გ-ანის სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით გარანტირებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი და თუ ერთ მხარეს ენიჭება დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, მეორე მხარე უფლებამოსილია, გამოიყენოს ნებისმიერი სამართლებრივი მექანიზმი მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის გასაქარწყლებლად.

ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილების ე.წ მატერიალური უფლების შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით გამოიკვილოს ხანდაზმულობის საკითხი და კასატორის პრეტენზია აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ იქნება გაზიარებული.

გ. გ-ანის წარმომადგენელ მ. ნ-მეს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ №ა-1693-10 განცხადებაზე დართული წერილობითი მტკიცებულებები 3 ფურცლად, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ა. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.

გ. გ-ანის წარმომადგენელ მ. ნ-მეს დაუბრუნდეს №ა-1693-10 განცხადებაზე დართული წერილობითი მტკიცებულებები 3 ფურცლად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები

განჩინება

ას-839-1125-09

11 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 18 იანვარს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სახელით მ. ც-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე სს „ბანკის“ წინააღმდეგ დოკუმენტის ყალბად აღიარებისა და თანხის დაკისრების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილების მიხედვით, 2008 წლის 2 დეკემბერს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის წარმომადგენელი არ გამოცხადდა, გამოუცხადებობის მიზეზები სასამართლოსათვის უცნობი იყო.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით 2009 წლის 8 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ იქნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საჩივარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 თებერვლის განჩინებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ამავე სასამართლოს 2008 წლის 2 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული სასამართლო აქტების გაუქმება და არსებითად განსახილველად საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 ივნისის განჩინებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2008 წლის 02 დეკემბერს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მოწვეული იყვნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის დაცვით.

პალატის აზრით საჩივრის ავტორმა ვერ წარმოადგინა და ვერ მიუთითა სხდომაზე მათი წარმომადგენლების დროულად გამოცხადების შესახებ დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ის წინაპირობები, რაც აუცილებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მისაღებად მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო. კერძოდ, მოპასუხემ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა, რათა გამოტანილი ყოფილიყო

დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; ამასთან, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ინვისის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის უფროსმა.

კასატორის განმარტებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის წარმომადგენლები მ. შ-ძე და რ. ჯ-ანი სასამართლოს შენობაში გამოცხადდნენ დროულად, მაგრამ ვერ გაიგეს სხდომის მდივნის მიერ სასამართლო პროცესის დაწყების გამოცხადება, შესაბამისად, არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, ვინაიდან მოსარჩელე მხარე გამოცხადდა სასამართლო პროცესზე და მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ვერ დაესწრო სასამართლო პროცესს.

კასატორის აზრით სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს შეეძლო არ გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლო უფლებაა და არა ვალდებულება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული საქმე ეხება დოკუმენტის სიყალბის დადგენას და საბიუჯეტო თანხის დაბრუნებას და აღნიშნული საქმის არსებით განხილვას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ინტერესებისათვის, არც ეს გაითვალისწინა სასამართლომ.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის თანახმად, მოპასუხე მხარეს უნდა წრმოედგინა შესაგებელი. ამავე კოდექსის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილის და 232- მუხლის შესაბამისად, შესაგებელის არასაპატიო მიზეზით წარმოუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც სს „- ბანკის“ შემთხვევაში არ განხორციელებულა.

აღნიშნული გამომდინარეობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების როგორც სპროცესო დასჯის მექანიზმის არსიდან. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, როცა მხარე თავის მოქმედებით ან უმოქმედობით უარს განაცხადებს საპროცესო თანამშრომლობაზე, ანუ როდესაც მას აქვს პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობა, მაგრამ არ აქვს ნება. იმ პირობებში, როდესაც არსებობს მხარის აშკარად გამოხატული ნება, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, მაგრამ ამას ხელს უშლის გარემოებები, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არის გამოწვეული, მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში გამოუცხადებლობა უნდა ჩაითვალოს საპატიოდ და დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდეს. კონკრეტულ შემთხვევაშიც სწორედ ასეთი მდგომარეობა არსებობდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია მითითებული ნორმის მოთხოვნები. კერძოდ, აპელანტი სააპელაციო საჩივარში უთითებდა, რომ მოპასუხე მხარემ მის სარჩელზე არ შეიტანა შესაგებელი სასამართლოში, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია. აღნიშნულის თაობაზე აპელანტი აღნიშნავდა საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაუქმებლად შეტანილი საჩივარშიც. ამასვე უთითებს დღეისათვის წარმოდგენილი საკასაციო საჩივარშიც. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ინსტანციის სასამართლოს ამ საკითხის თაობაზე არ უმსჯელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებელია) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, მოსამართლე დაკმაყოფილებს სარჩელს, თუ საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს მოთხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, სს „- ბანკის“ სასამართლოში შესაგებელი

არ წარუდგენია. სასამართლოს კი დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ გამოუტანია. მან მხარეები მოიწვია მთავარ სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში (მოსარჩელის მიერ საჩივრის შეტანისას მაინც) სასამართლოს უნდა გაეცა პასუხი იმაზე, თუ რატომ არ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ანუ უნდა ემსჯელა იმის თაობაზე, თუ რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოუტანელობისა. თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა მოთხოვნას, ასეთ შემთხვევაში განჩინებაში უნდა მითითებინა ამის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდა საპროცესო დარღვევა, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყოლოდა საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების დასაბუთება მითითებული თვალსაზრისით არასრულია და სააპელაციო საჩივარი ხელახლა უნდა იქნეს განხილული სასამართლოს მიერ. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა იმსჯელოს მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შედეგებზე და იმსჯელოს სააპელაციო საჩივარში მითითებულ ამ გარემოებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები

განჩინება

#ას-238-224-10

ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 2 მაისს გორის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ზ. ნ-შვილმა ი. გ-მის, თ. ქ-მისა და ზ. ყ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისათვის მატერიალური ზიანის - 3904 ლარის დაკისრება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მსჯავრდებულებმა: ი. გ-მემ, თ. ქ-მემ და ზ. ყ-შვილმა დანაშაულებრივი ქმედებებით მოსარჩელეს მიაყენეს 3 000 ლარის ზიანი. აღნიშნული დადასტურებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 5 იანვრის #1ბ/154-06 განაჩენითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 4 ივლისის განჩინებით.

მოსარჩელის განმარტებით, დანაშაულის შედეგად მისთვის მიყენებული პირდაპირი ზიანი შეადგენს 3000 ლარს და ანაცდენი - 904 ლარს, სულ 3904 ლარს.

მოპასუხეებს ი. გ-მეს, თ. ქ-მესა და ზ. ყ-შვილს შესაგებელი არ წარმოუდგენიათ.

სასამართლო სხდომაზე მოპასუხეებმა სარჩელი ცნეს ნაწილობრივ, კერძოდ, 1500 ლარის ნაწილში და მიუთითეს, რომ სარჩელს ცნობენ ნაწილობრივ, რადგან ნივთმტკიცებების ნაწილი მოსარჩელეს დაუბრუნდა და შესაბამისად ზარალიც ანაზღაურებულია.

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზ. ნ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ი. გ-მეს, თ. ქ-მესა და ზ. ყ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 1500 ლარის გადახდა.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხეების: ი. გ-მის, თ. ქ-მისა და ზ. ყ-შვილის ბრალი დადგენილია კასპის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 5 იანვრის განაჩენით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც, თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებს, ესენია: ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის სამოქალაქოსამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიუთითა, რომ, აღნიშნული მუხლის თანახმად, განსახილველი საქმის მიმართ პრეიუდიციული ძალა ენიჭება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ, კანონიერ ძალაში შესულ საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დადგენილი პირის მიერ ჩადენილ ქმედებას, ხოლო ამ ქმედებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის და მათი ოდენობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელე მხარეს.

გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ნ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. მოსარჩელემ მიუთითა, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი მოთხოვნა მოპასუხეებისთვის მიყენებული ზიანის - 3000 ლარის დაკისრების თაობაზე. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ პირველ ინსტანციის სასამართლოში მოპასუხეების მიერ არ იქნა წარდგენილი შესაგებელი სარჩელოზე. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უგულვებელყოფილი იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, სასამართლო ვალდებული იყო, მოპასუხეების მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მან არ გააკეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით ზ. ნ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატამ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი მოპარული ნივთებიდან არსებობს ზიანი მხოლოდ დაუბრუნებელი ნივთების სახით. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მათი ღირებულება თავად აპელანტის მიერ მითითებული ოდენობითაც რომ იქნეს განსაზღვრული (არაბული ტახტის მატრასი - 400 ლარი; მინი ტრაქტორი „კროტი“ - 500 ლარი), იგი არ აღემატება გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხეებისათვის დაკისრებულ თანხას.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, საქმეში არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოპარული მაგნიტოფონი აპელანტს დაუბრუნდა დაზიანებული, მაგრამ აპელანტის მიერ მითითებული მისი სრული ღირებულების (70 ლარის) გათვალისწინებითაც კი გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა (1500 ლარი) აღემატება დანაშაულით მიყენებულ ზიანს (400+500+70=970 ლარს).

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რეალურად გაცილებით მეტი ნივთი იყო მოპარული, ვიდრე განაჩენშია მითითებული, რადგან მიიჩნია, რომ არ არსებობს იმ ნივთების ღირებულების მოპასუხეებისათვის დაკისრების საფუძველი, რომლის ქურდობის ფაქტიც არ არის დადგენილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

სააპელაციო პალატამ განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი და მიუთითა, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის) უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

სააპელაციო პალატამ ასევე განმარტა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მოპასუხეების მიერ მოსარჩელისათვის დანაშაულით 3 000 ლარის ოდენობის ზიანის მიყენება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ნ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორმა მიუთითა, რომ საქმის მასალებით დადასტურებული იყო, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განაჩენი სარჩელის ნაწილში მხოლოდ იმიტომ გაუქმდა, რომ საქმეში არ იყო დაზარალებულად და მოპასუხეებად ცნობის შესახებ დადგენილებები, რასაც შედეგად მოჰყვა

კასატორის სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი სარჩელი, რომლითაც ითხოვდა მიყენებული ზიანის - 3000 ლარის ანაზღაურებას.

კასატორის მოსაზრებით, არც ერთი ინსტანციის სასამართლომ არ შეაფასა ერთ-ერთი მოპასუხის განცხადება სისხლის სამართლის საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, რომლის თანახმადაც ის აღიარებდა ზიანის - 3000 ლარის მიყენების ფაქტს და პატიმრობიდან განთავისუფლების ნაცვლად იღებდა ვალდებულებას მისი პასუხისმგებლობის შესაბამისად ამ თანხის ნაწილის გადახდაზე.

კასატორი მიუთითებს, რომ პირველ ინსტანციის სასამართლოში მოპასუხეების მიერ არ იქნა წარდგენილი შესაგებელი სარჩელზე. ამდენად სასამართლოს უნდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც არ გამოიტანა, რითაც დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლი. ამის შესახებ არც ერთ ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია.

კასატორმა საბოლოოდ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სასარჩელო მოთხოვნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას, დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი აღნიშნავს, რომ პირველ ინსტანციის სასამართლოში მოპასუხეებმა არ წარადგინეს შესაგებელი სარჩელზე. ამდენად, სასამართლოს უნდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც არ გამოიტანა, რითაც დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლი.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორი ზ. ნ-შვილი ჯერ კიდევ სააპელაციო საჩივარში უთითებდა იმაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უგულებელყოფილ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილი, რომლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებული იყო, მოპასუხეების მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მან არ გააკეთა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს და არ იკვლევს საქმეში არსებული პროცესუალური ხასითის ფაქტებს, რაც შეიძლება მიუთითებდეს პირველ ინსტანციის სასამართლოში მოპასუხეების მიერ შესაგებლის წარუდგენლობისათვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხეების მიერ შესაგებლის წარუდგენლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების არგამოტანის მიზეზები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;

დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. უსწორობის გასწორება

განჩინება

#ას-559-868-09

9 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 დეკემბრის განჩინებაში უსწორობის გასწორების საკითხი. საკასაციო სასამართლომ

გ ა მ ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 დეკემბრის განჩინებით სსიპ "შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის" საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინებაზე დაკმაყოფილდა. გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

დასახელებული განჩინების შესავალ ნაწილში მითითებულია: "საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი განხილვის გარეშე", ნაცვლად აღნიშვნისა: "სხდომის მდივანი - ლ. ს-ძე".

ზემოაღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს განჩინებაში დაშვებულ უსწორობას, რომელიც გამოწვეულია მექანიკური ხასიათის ხარვეზით, განჩინება დაბეჭდილია კომპიუტერის მეშვეობით, რა დროსაც არასწორად მიეთითა საქმის განხილვის ფორმად ზეპირი განხილვის გარეშე, ნაცვლად სხდომაზე საქმის განხილვისა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემომითითებული უსწორობა სასამართლოს ინიციატივით ექვემდებარება გასწორებას, შესაბამისად, უნდა შესწორდეს საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობა და ნაცვლად წინადადებისა: "საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი განხილვის გარეშე", მიეთითოს "სხდომის მდივანი - ლ. ს-ძე".

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 დეკემბრის განჩინებაში გასწორდეს დაშვებული უსწორობა და ნაცვლად წინადადებისა: "საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი განხილვის გარეშე", მიეთითოს: "სხდომის მდივანი - ლ. ს-ძე".

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უსწორობის გასწორება

განჩინება

#ას-872-1158-09

10 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

პალატამ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 იანვრის #ას-872-1158-10 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 14 იანვრის განჩინებით სს "ე. ჯ-ს" საკასაციო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 მაისის განჩინებაზე როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

საკასაციო პალატის 2010 წლის 14 იანვრის #ას-872-1158-09 განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებულია უსწორობა - "14 იანვრის" ნაცვლად მითითებული უნდა იყოს "28 იანვარი", რის გამოც სასამართლომ თავისი ინიციატივით განიხილა აღნიშნული უსწორობის გასწორების საკითხი.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის. საკასაციო სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 იანვრის #ას-872-1158-09 განჩინების შესავალ ნაწილში სიტყვები "14 იანვარი" უნდა შეიცვალოს სიტყვებით "28 იანვარი".

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 14 იანვრის #ას-872-1158-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობა გასწორდეს და სარეზოლუციო ნაწილის მეორე აბზაცში მითითებული სიტყვები: "14 იანვარი" შეიცვალოს სიტყვებით "28 იანვარი".

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განცხადება უსწორობის გასწორების თაობაზე**განჩინება**

#ას-746-1044-09

1 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა მ. გ-ოვის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის #ას-746-1044-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინებით მ. გ-ოვის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად; მ. გ-ოვს დაუბრუნდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) 70% - 210 ლარი.

მ. გ-ოვმა განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა აღნიშნულ განჩინებაში უსწორობის გასწორება იმ საფუძველით, რომ დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, განჩინებაში არასწორად არის მითითებული მისი გვარი - "გ-ოვის" ნაცვლად მითითებულია "გ-ოვი".

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა მ. გ-ოვის განცხადების შინაარსის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი სა-ფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი, ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია საკასაციო პალატის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის #ას-746-1044-09 განჩინებაში დაშვებულია უსწორობა. კერძოდ, განჩინების შესავალ, აღწერილობით, სა-მოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში სიტყვა "3-ოვი" უნდა შეიცვალოს სიტყვით - "გ-ოვი".

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. გ-ოვის განცხადება დაკმაყოფილდეს;

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის #ას-746-1044-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობა. განჩინების შესავალ, აღწერილობით, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში სიტყვა "3-ოვი" შეიცვალოს სიტყვით "გ-ოვი".

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორობის გასწორება**განჩინება**

#ას-876-1162-09

18 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

პალატამ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის #ას-876-1162-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის განჩინებით ვ. ფ-ასა და მ. ჯ-იას საკასაციო როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად.

საკასაციო პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის #ას-876-1162-09 განჩინებაში დაშვებულია უსწორობა. კერძოდ, განჩინების მთლიან ტექსტში მითითებულია - ვ. ფ-ია, რაც არასწორია. აღნიშნულის გამო უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 23 თებერვალს განცხადებით მიმართა ვ. ფ-იას წარმომადგენელმა გ. ფ-იამ და მოითხოვა აღნიშნული განჩინების უსწორობის გასწორება.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დროსა და ადგილზე, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გა-

დაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის. საკასაციო სასამართლომ მიზან-შეწონილად არ მიიჩნია სასამართლო გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების სა-კითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემ-ბრის #ას-876-1162-09 განჩინებაში დაშვებული შეცდომა შეიცვალოს შემდეგნაირად: ვ. ფ-იას ნაცვლად მიეთითოს მთლიან განჩინებაში ვ. ფ-ია.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე, 414-416-ე, 420-ე მუხლებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის #ას-876-1162-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობა გასწორდეს და ნაცვლად "ვ. ფ-იასი" მიე-თითოს "ვ. ფ-ია."

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორობის გასწორება

განჩინება

#ას-1200-1461-09

25 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს "მ-ის" მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და თანხის დაკისრების შესახებ.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით მ. მ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მ. მ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. მ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მ. მ-მის სარჩელი ბ. გ-ვას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე. მ. მ-მის სარ-ჩელზე ბ. გ-ვას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე შეწყდა წარმოება, მ. მ-მეს განემარტა, რომ ბ. გ-ვას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე უფლებამოსილია, მიმართოს საგამოძიებო ორგანოებს. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მ. მ-მის მიერ არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკი-ცებულება, რომლითაც დადასტურდება, რომ მხარეები შეთანხმდნენ შრომის გასამრჯელოს მომა-ტებაზე, ამდენად, მოთხოვნა ხელფასის ანაზღაურების შესახებ უსაფუძვლოა. საქმის მასალებით არ დგინდება, კონკრეტულად ბ. გ-ვას მოქმედებით მიადგა თუ არა ზიანი. ასევე, ვერ დასტურ-დება მოთხოვნილი მატერიალური და მორალური ზიანის ოდენობის ანაზღაურების მართლობიერ-ება.

მ. მ-მემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 ოქტომ-ბრის გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინებით მიმოზა მაქანძის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განცხადებაში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს უსწორობის გასწორების საფუძველს და იგი საკასაციო საჩივრის საფუძველია.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. მ-მემ. მან მიუთითა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დაშვებულია უსწორობანი, კერძოდ, დავის საგანში სრულყოფილად არ არის აღნიშნული მ. მ-ძის სასარჩელო მოთხოვნა; გადაწყვეტილებაში არასწორად არის მითითებული აპელანტის მოთხოვნა; ასევე, არასწორად არის აღნიშნული, თითქოს გაუქმდა წესდების მიმღები 2004 წლის 2 ივლისის აქციონერთა საერთო კრების ოქმი, ასევე, თითქოს მხარეებს შორის დადებულია ზეპირი ფორმის შრომის ხელშეკრულება და განსაზღვრული აქვთ შრომის ანაზღაურებაც. გადაწყვეტილებაში არასწორადაა მითითებული, თითქოს მ. მ-მე აღდგენილ იქნა სამუშაოზე 2009 წლის 5 თებერვლის #1 ბრძანებით სს "მ-ის" დირექტორ ბ. გ-ვას მიერ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ მ. მ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი, ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მ. მ-ძის განცხადებაში მოყვანილი მოტივები წარმოადგენს საკასაციო საჩივრის საფუძველს და იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის მოთხოვნებს არ შეესაბამება.

როგორც კერძო საჩივრიდან ირკვევა, კერძო საჩივრის ავტორი მოითხოვს გადაწყვეტილების არა მექანიკური ან არითმეტიკული შეცდომის გასწორებას, არამედ იგი ეხება გადაწყვეტილების არსებით მხარეს. მან კერძო საჩივრით გაასაჩივრა და მოითხოვა უსწორობის გასწორება არა მექანიკურ, არამედ სამართლებრივ საკითხებზე, რაც სცილდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც მ. მ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორობის გასწორება

განჩინება

#ას-856-1142-09

29 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
მოსამართლე თ. თოდრია

დავის საგანი სარჩელში: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. (დ.) ო-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; თ. და მ. ბ-ურიების შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. (დ.) ო-იას დაეკისრა თ. და მ. ბ-ურიების სასარგებლოდ 55231 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. აღნიშნული თანხის ანგარიშში გაიქვითა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. და თ. ბ-ურიებისათვის ქ. (დ.) ო-იას სასარგებლოდ დაკისრებული 53866 აშშ დოლარი და ქ. (დ.) ო-იას, მ. და თ. ბ-ურიების სასარგებლოდ დაეკისრა 1365 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა; გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 5 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა თ. ბ-ურიას საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ... ქ. #10-სა და ... ქ. #12-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 იანვრის დამატებითი გადაწყვეტილებით ქ. (დ.) ო-იას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 6260,58 ლარის გადახდა. მ. ბ-ურია გათავისუფლდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის გადახდისაგან. თ. და მ. ბ-ურიებს ქ. (დ.) ო-იას სასარგებლოდ დაეკისრათ 3429,6 ლარის გადახდა. უარი ეთქვა ქ. (დ.) ო-იას უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების გადადების (შეჩერების) შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიერ 2010 წლის 22 მარტს ამოწერილ იქნა სააღსრულებო ფურცელი, სადაც მოვალის რეკვიზიტებში დაშვებულია შეცდომა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, კრედიტორმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და იშუამდგომლა სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. ამდენად, დასახელებული მუხლის საფუძველზე სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე, ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 მარტის გაცემულ სააღსრულებო ფურცელში არასწორად მიეთითა მოვალის დასახელებასა და რეკვიზიტებზე, კერძოდ, "ქ. ო-ია "პ/მ #ბ 0193340, პირადი #09001000978", სადაც უნდა შეიცვალოს მოვალის დასახელება და რეკვიზიტები: "ქ. ო-ია "გ 0528035, პირადი "#01018000159".

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2010 წლის 22 მარტს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული შემდეგი უსწორობა:

სააღსრულებო ფურცელში მოვალის დასახელება და რეკვიზიტები, კერძოდ: "ჟ. ო-ია "პ/მ #ბ 0193340, პირადი #09001000978", რაც უნდა შეიცვალოს: "ჟ. ო-ია "გ 0528035, პირადი #01018000159".

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორობის გასწორება

განჩინება

#ას-872-1158-09 10 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

პალატამ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 იანვრის #ას-872-1158-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 იანვრის განჩინებით სს "ე. ჯ-ს" საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად. კასატორს დაუბრუნდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (613 ლარის) 70% - 429 ლარი.

საკასაციო პალატის 2010 წლის 14 იანვრის #ას-872-1158-09 განჩინებაში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში არასწორად არის მითითებული სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ოდენობაზე, კერძოდ, მითითებულია "სს "ე. ჯ-ს" დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (613 ლარის) 70% - 429", რაც არასწორია. აღნიშნულის გამო სასამართლოს განცხადებით მიმართა სს "ე. ჯ-ს" და მოითხოვა აღნიშნული განჩინების უსწორობის გასწორება, კერძოდ, სარეზოლუციო ნაწილში სახელმწიფო ბაჟის კასატორისთვის დაბრუნების ოდენობაში მითითებული უნდა იყოს 429 ლარი და 10 თეთრი და არა 429 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის. საკასაციო სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 იანვრის #ას-872-1158-09 განჩინების სარეზოლუციო ნაწილი შეიცვალოს შემდეგნაირად: სს "ე. ჯ-ს" დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (613 ლარის) 70% - 429 ლარი და 10 თეთრი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 იანვრის #ას-872-1158-09 განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა გასწორდეს და ნაც-

ვლად: "სს "ე. ჯ-ს" დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (613 ლარის) 70% - 429 ლარი" მითითით: "სს "ე. ჯ-ს" დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (613 ლარის) 70% - 429 ლარი და 10 თეთრი".

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორობის გასწორება

განჩინება

#ას-957-1236-09

10 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

პალატამ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის #ას-957-1236-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებით შპს "თ. 2000-ის", დ. დ-შვილისა და გ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად. კასატორებს დაუბრუნდათ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (2.347 ლარის) 70% - 1643 ლარი და 43 თეთრი.

საკასაციო პალატის 2010 წლის 4 თებერვლის #ას-957-1236-09 განჩინებაში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში არასწორად არის მითითებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობაზე, კერძოდ, მითითებულია: "კასატორებს დაუბრუნდეთ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (2.347 ლარის) 70% - 1643 ლარი და 43 თეთრი", რაც არასწორია. აღნიშნულის გამო სასამართლოს განცხადებით მიმართა დ. დ-შვილმა და მოითხოვა აღნიშნული განჩინების უსწორობის გასწორება, კერძოდ, სარეზოლუციო ნაწილში გადახდილ სახელმწიფო ბაჟის ოდენობად მითითებული უნდა იყოს 2.347 ლარი და 76 თეთრი და არა 2.347 ლარი. გარდა ამისა, დასახელებული უნდა იყოს სამივე კასატორი.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დროსა და ადგილზე, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის. საკასაციო სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის #ას-957-1236-09 განჩინების სარეზოლუციო ნაწილი შეიცვალოს შემდეგნაირად: შპს "თ. 2000-ს", დ. დ-შვილსა და გ. კ-შვილს დაუბრუნდეთ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (2.347 ლარის და 76 თეთრის) 70% - 1643 ლარი და 43 თეთრი.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე, 414-ე-416-ე, 420-ე მუხლებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის #ას-957-1236-09 განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა გასწორდეს და ნაცვლად: "კასატორებს დაუბრუნდეთ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (2.347 ლარის) 70% - 1643 ლარი და 43 თეთრი" მიეთითოს: შპს "თ. 2000-ს", დ. დ-შვილსა და გ. პ-შვილს დაუბრუნდეთ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (2.347 ლარის და 76 თეთრის) 70% - 1643 ლარი და 43 თეთრი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორობის გასწორება

განჩინება

#ას-437-409-2010 14 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. მ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა დანაშაულით მიყენებული ზიანის - 3400 ლარის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე და მისი შვილი არიან გორის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის მფლობელები. მოპასუხემ თ. მ-ძის მიწის ნაკვეთზე არსებული ვაზი უნებართვოდ აჩეხა, მოხსნა და მიითვისა რკინის მილებისგან შემდგარი ტალავერი, ჩამოუხსნა ჭიშკარი და მოანგრია ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე სახლის კედელი, რითიც ამ უკანასკნელს მიაყენა 3400 ლარის მატერიალური ზიანი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო წინასწარი გამოძიება, თუმცა შეწყდა ამნისტიის გამო.

რ. მ-შვილმა სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელე ვერ ასაბუთებდა მიყენებული ზიანის არსებობას.

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. მ-მემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის განჩინებით თ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება რაიონული სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. მ-მემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ივლისის განჩინებით თ. მ-ძის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2010 წლის 20 აგვისტოს თ. მ-მემ განცხადებით მომართა სასამართლოს და განმარტა, რომ საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 26 ივლისის განჩინებაში სასამართლომ არასწორად მიუთითა ფაქტობრივი გარემოებებზე, კერძოდ, არასწორადაა მითითებული, რომ კასატორი და მისი შვილი სოფ. ...-ში ჩაწერილები არიან 1997-98 წლებში, ნაცვლად 1977-78 წლებისა. ასევე, არასწორადაა მითითებული, რომ თ. მ-მე ოჯახის უფროსად ირიცხება 2009 წლიდან, სადაც მითითებული უნდა იყოს 2003 წელი. განჩინების უსწორობას წარმოადგენს ასევე თავად განჩინებაში მითითებული საქმის ნომერი. განმცხადებლის განმარტებით, 2010 წლის 26 ივლისის განჩინებასთან ერთად ჩაბარებულ გზავნილში საქმის ნომრად მითითებულია #ას-437-409-10, ხოლო განჩინებაში #ას-473-409-10.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ თ. მ-ძის განცხადება საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 26 ივლისის განჩინებაში დაშვებული უსწო-

რობების გასწორების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. ამდენად, დასახელებული მუხლის საფუძველზე, სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებული იყო უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე - ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ივლისის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ივლისის განჩინებაში არასწორად მიეთითა საქმის ნომერზე, კერძოდ, "#ას-473-409-09", განჩინების აღწერილობით ნაწილში ასევე არასწორადაა მითითებული, რომ "ისინი სადავო ფართში ჩაეწერნენ 1997-98 წლებში რ. მ-შვილის მიერ" და "2009 წლიდან ოჯახის უფროსად აღრიცხულია თ. მ-ძე ...", რადგანაც თ. მ-ძე საკასაციო საჩივარში სადავო კომლში ჩაწერის თარიღად უთითებს 1977-78 წლებს, ასევე "2003 წლიდან ოჯახის უფროსად აღრიცხული ვარ მე თ. მ-ძე...", ასევე, არასწორია განჩინებაში მითითებული საქმის ნომერი - "#ას-473-409-2010". დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამავე სასამართლოს 2010 წლის 26 ივლისის განჩინებაში მითითებული საქმის ნომერი "#ას-473-409-09" უნდა გასწორდეს "#ას-437-409-2010-ით". ასევე განჩინების აღწერილობით ნაწილში მითითებული ფრაზა - "ისინი სადავო ფართში ჩაეწერნენ 1997-98 წლებში რ. მ-შვილის მიერ" უნდა გასწორდეს ფრაზით - "ისინი სადავო ფართში ჩაეწერნენ 1977-78 წლებში რ. მ-შვილის მიერ"; "2009 წლიდან ოჯახის უფროსად აღრიცხულია თ. მ-ძე ..." უნდა გასწორდეს ფრაზით - "2003 წლიდან ოჯახის უფროსად აღრიცხულია თ. მ-ძე...".

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

თ. მ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ივლისის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ივლისის განჩინებაში დაშვებული შემდეგი უსწორობა:

განჩინების შესავალ ნაწილში მითითებულ "საქმე #ას-473-409-09-ის" ნაცვლად მიეთითოს "საქმე@#ას-437-409-2010"; ასევე, განჩინების აღწერილობით ნაწილში მითითებული ფრაზა - "ისინი სადავო ფართში ჩაეწერნენ 1997-98 წლებში რ. მ-შვილის მიერ" გასწორდეს ფრაზით - "ისინი სადავო ფართში ჩაეწერნენ 1977-78 წლებში რ. მ-შვილის მიერ"; "2009 წლიდან ოჯახის უფროსად აღრიცხულია თ. მ-ძე ..." გასწორდეს ფრაზით - "2003 წლიდან ოჯახის უფროსად აღრიცხულია თ. მ-ძე...".

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორობის გასწორება

განჩინება

#ას-507-476-10

5 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

პალატამ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 სექტემბრის #ას-507-476-10 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 სექტემბრის განჩინებით ნ. შ-ერის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად. ნ. შ-ერს დაუბრუნდა გ. ს-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (500 ლარის) 70% - 350 ლარი;

საკასაციო პალატის 2010 წლის 2010 წლის 15 სექტემბრის #ას-507-476-10 განჩინებაში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში არასწორად არის მითითებული "ნ. შ-ერს დაუბრუნდეს გ. ს-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (500 ლარის) 70% - 350 ლარი", რაც არასწორია. აღნიშნულის გამო სასამართლოს განცახდებით მიმართა გ. ს-ძემ და მოითხოვა აღნიშნული განჩინების უსწორობის გასწორება, კერძოდ, სარეზოლუციო ნაწილში მითითებული უნდა იყოს - "გ. ს-ძეს დაუბრუნდეს ნ. შ-ერის საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (500 ლარის) 70% - 350 ლარი" და არა "ნ. შ-ერს დაუბრუნდეს გ. ს-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (500 ლარის) 70% - 350 ლარი".

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის. საკასაციო სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, მ პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2010 წლის 15 სექტემბრის #ას-507-476-10 განჩინებაში განჩინების სარეზოლუციო ნაწილი შეიცვალოს შემდეგნაირად: "გ. ს-ძეს დაუბრუნდეს ნ. შ-ერის საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (500 ლარის) 70% - 350 ლარი".

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე, 414-ე-416-ე, 420-ე მუხლებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 სექტემბრის #ას-507-476-10 განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა გასწორდეს და ნაცვლად: "ნ. შ-ერს დაუბრუნდეს გ. ს-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (500 ლარის) 70% - 350 ლარი" მიეთითოს: გ. ს-ძეს დაუბრუნდეს ნ. შ-ერის საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (500 ლარის) 70% - 350 ლარი".

საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.